


საზოგადოებრივ-ცენტრალური ჟურნალი

9 772293 095006

1134
2023

მასი 3 ლაქი

ს რ ი ლ ი



2023
8 (316)

ჯანოზ ახვლედიანი - 90
სალოსი, რომელიც ხელისგულზე
იფერფლებდა სიგარეტს



პორტრეტი	1	ბესო სოლომანაშვილი ერლომ ახვლედიანი - სალონი, რომელიც ხელისგულზე იფერფლებდა სიგარეტს
	11	ნანა კობაიძე ელზა ახვლედიანი - ცხოვრება მარკესთან ერთად
პოეზია	18	ლელა სამნიაშვილი
	21	ნინი ელიაშვილი
	23	ლია სტურუა
	25	ლევან ზარიძე
პროზა	29	ცოტნე ავსაჯანიშვილი მერის მარადიული ახალგაზრდობა
	34	რამაზ გიგაური გლახას მარყუჭი
თარგმანი	44	გერეტ კაიზერი სულიერება ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ
ესე	52	ქეთევან ჯერვალიძე კუდიგორა/კუდიანთა გორა, ანუ უარყოფილი მთები!

გარეკანი: მამუკა ტყეშელაშვილი

სარილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია "არილის" ყოველთვიური გამოცემა

The Literary Magazine "Arili"

რედაქტორები
მალხაზ ხარბედია
ლექსო დორეული
შადიმან შამანაძე

მხატვარი მამუკა ტყეშელაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა თამაზ ჩხაიძე

პროექტის მენეჯერი ეკა ხარბედია

სარედაქციო საბჭო

რატი ამალობელი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე, ლაშა ბუღაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე, ზურაბ კიკნაძე, ვასილ მაღლაფერიძე, ზვიად რატიანი, ჯიმშერ რეზვიაშვილი, ირაკლი სამსონაძე, გულსუნდა სიხარულიძე, ბაკურ სულაკაური, ირმა ტაველიძე, ქეთი ქანთარია, პაატა შამუგია, ზაზა ჭილაძე.



არილი - დასასვენებელი სინდინდოთა
სულხან-საბა

არილი - მზის შუქი, რამეზა დამდბარი
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

არილი - თანამედროვე ქართული ლიტერატურის მარბილი
ხალხური



ელექტრონული ფოსტა: info@arilimag.ge
ვებგვერდი: arilimag.ge



გამოდის 1993 წლიდან


© თურნალი გამოქვეყნებული მასალების გამოყენება "არილის" რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია

თურნალი გამოდის საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით



ბესო სოლომანაშვილი

**ერლომ ახვლედიანი -
 სალოსი, რომელიც ხელისგულზე
 იფერფლებდა სივარეტს**



მასზე ამბობდნენ, რომ ის არ იყო თანამედროვე და სხვა დროს უნდა დაბადებულიყო - ან უფრო, ან უფრო გვიან... ასევე მასზე ამბობდნენ, რომ ვერ ეგუებოდა რეალობას, და რომ იყო ძალიან რბილი ხასიათი...

ცხოვრებაში ძალიან გამიმართლა, არ ვიცი რით დავიმსახურე, პედაგოგებად უდიდესი ადამიანები შეიხვედნენ: გიორგი შენგელია, თამაზ ჭილაძე და ერლომ ახვლედიანი.

ეს ის ადამიანები იყვნენ, იმ ეპოქიდან, რომელიც მე პირადად ძალიან არ მიყვარს და ვფიქრობ რომ, რაც ახლა გვჭირს, იმ ეპოქის შედეგია... ეს იყო ტრავმინი ადამიანების თაობა, რომელთა მავნეც მოძალადე, სამშობლოს მოღალატე ბოლშევიკების ეპოქაში ცხოვრობდნენ. მათმა მამებმა ან შექმნეს ბოლშევიზმი, ან ბოლშევიზმის მსხვერპლნი იყვნენ, ზოგი კი შეეგუა უსამართლობას და მთელი ცხოვრება ტვირთად აწვათ, რომ შიშის გამო ვერ გადაარჩინეს თავიანთი მეგობრები, ახლობლები, ნათესავები... ეს ყველაფერი ხომ მათ შვილებში სულიერ ტრავმად დაიღეჟა. როგორი ძნელია, როცა იცი, რომ მამაშენმა შენი მეგობრის მამა დაახვედრინა ან პირიქით, მამაშენი შენი მეგობრის მამის გადასახლება... მათ უნდა გაეძლიათ ამ ტრავმისთვის, გადაეხარშათ და ნორმალურ ადამიანებად ჩამოყალიბებულიყვნენ. ის, რომ ახლა ჩვენნი საზოგადოება, ავად თუ კარგად, არსებობს, ესეც იმათი სულიერი ბრძოლის შედეგია. ნარმოდიგინეთ ეპოქა... მათი ბავშვობა, ურთულესი პერიოდი, უშეუბუბლო შიშის გარემო და შემდეგ კი, ყმანეილობაში და ახალგაზრდობაში რადიკალურად შეცვლილი სამყარო... სტალინის ფანატიზმამდე მისულ დიქტატურა და უცებ სამყაროს ერთი ყველაზე ცნობილი იდიოტი მმართველის, ხრუშჩოვის ოტტეპელი, რომელიც შენი ქალაქის ქუჩებში ისედაც ფასულყოფილად უაჯანყებს ხვრეტს... როგორ უნდა გაუძლო ამას და შეინარჩუნო ჯანსაღი მენტალიტეტი, რომელიც მერე ისე გადასცე შემდეგ თაობას, არც დანაშაულის ტვირთი განეხილადეს, არც მსხვერპლის სენტიმენტები, და სიმართლაც ამ ეპოქის იყოლად გარემოში ისე გაატარო, რომ არ ასცდეს იმ მარადიულ ჭეშმარიტებას, რომლითაც უბრალოდ ცხოვრობს ცივილიზებული სამყარო.

ეს თაობა, რომელიც დიდი ტერორის შემდეგ, ინჯულთა თავის გადარჩენას, ინტელექტისა და აზროვნების გაცოცხლება ხდებდა... თუმცა უნვეთ ამ რეალობასთან ადაპტირება, რომ ფიზიკურად არ დაიღუპონ, უკვე მერამდენედ ქართულ რეალობაში.

ტყუილია, რომ ამბობენ, საბჭოთა კავშირში ქართული ხელოვნება ვითარდებოდაო, არც ერთი ნამდვილი შემოქმედი არ იყო მაშინ საბჭოთა კავშირში სულიერად, - ფიზიკურად კი, თუმცა ისინი სხვადასხვა მეთოდებით გაუთავებლად იბრძოდნენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, იმ ეველურ დიქტატურის წინააღმდეგ და სხვათა შორის კომუნისტური ნომენკლატურიდან, ვისაც ოდნავ ჭკუა და სინდისი შერჩენილი ჰქონდა, ანგარიშს უწყევდნენ და პატივს სცემდნენ ამ ხელოვანებს, რომლებიც ქმნიდნენ

წინკონფორმისტულ ხელოვნებას.

ერლომ ახვლედიანი იყო ერთ-ერთი მათგანი, და ამ წრისთვის განსაკუთრებით რთული იყო ცხოვრება, რადგან ისინი მუდმივად დაკავრების ქვეშ იყვნენ და მუდამ ეჭვის თვალით უყურებდა რუსული და ქართული კომუნისტების უშიშროების სამსახურები, ვითურ რაიმე სანინალმდგო ჩაედინათ. ამ გარემოში მათ ბრძოლის სხვა ფორმა გამოიხატეს, უბრალოდ ლაპარაკობდნენ სიმართლეს ალვეგორებით, საუბრობდნენ ცხოვრების წესზე, რომელიც მხოლოდ თავისუფლებაში გამოხატავდა.

ერლომი ბავშვობაში განიცდიდა რომ თეთრ გვარდიელს, თეთრს ეძახდნენ, მისი წარმომავლობისა და ხასიათის გამო, თბილისში იმის და ქათინაურადაც კი ეუბნებოდნენ და ის კი განიცდიდა, იძაბებოდა, არ მოსწონდა, რომ ხაზს უსვამდნენ მის „ცისფერ სისხლს“, ღიზიანდებოდა ამაზე, ალბათ უფრო იმიტომ, რომ საშობო იყო, შეიძლება დაექირათ მშობლები.

მათი ცხოვრება ამ ყალბ და აგრესიულ გარემოში რადიკალიზირდა სალოსის ცხოვრებას ჰგავდა და ალბათ ერლომ ახვლედიანი ერთ-ერთი ყველაზე გამოკვეთილი სალოსი იყო თავისი არსებობით.

მისი ყველა მნიშვნელოვანი ფილმის სცენარები ამაზე მეტყველებდა, ეს იყო საოცარი ტანდემები შექმნილი ფილმები: ერლომ ახვლედიანი და ლანა ლოლობერიძე, ერლომ ახვლედიანი და გიორგი შენგელია, ერლომ ახვლედიანი და მერაბ კოკიაშვილი, ერლომ ახვლედიანი და ნოდარ მკვაძე, ერლომ ახვლედიანი და დიმა ბათიაშვილი... და ყველა ფილმში აუცილებლად მოიძებნებოდა ერთ გმირს, რომელიც ერლომ ახვლედიანი ჰგავდა.

მუშაობდა დათო ჯავახიშვილთან და ზაირა არსენიშვილთან ერთად... ხოლო მისი პირველი ფილმი იყო ქართული კინოს ახალი ეტაპი, ახალი ქართული კინოს დასაწყისი ოთარ იოსელიანის „აპრილი“...

მე ოთხმოცდაათიანების რთულ პერიოდში ვიცინი ერლომ ახვლედიანი, პერიოდში, როდესაც ჩვენს გარშემო პირველად იცვლებოდა სამყარო, ხოლო ერლომ ახვლედიანის და მისი თაობის გარშემო უკვე მერამდენედ, და ჩვენ ვვჭირდებოდა იდეალები, გურუები, რომლებიც რაღაცაში გავგარკვევდნენ ამ აღრუელი ფსიქოლოგიების სამყაროში და ჭეშმარიტებას დაგვანახებდნენ. ერთ-ერთი ასეთი გურუ იყო ერლომ ახვლედიანი.

მანამდე სულ მესმოდა, რომ სადღაც არსებობდა ასეთი ადამიანი, რომელიც არ ჩანდა, მაგრამ მასთან მოხვედრა იყო საოცნებო, რომ ადამიანები, ვინც მას იცნობდნენ და ურიოერთობა ჰქონდათ, სულ სხვა ადამიანად ყალიბდებოდნენ იმ საბჭოურ სიყალბეში...

- ეს შენი მოთხრობები არ ვარგა, - მერე დიდი პაუზა, - მაგრამ უნდა ნერო - პირველი ფრაზა რითაც ვავიციანი ეს გენიალური ადამიანი, რომელთან შეხვედრასაც დიდი ხანი ვოცნებობდი. მერე იყო ძალიან ხანგრძლივი და მრავალ თემას მოდებული ახსნა იმისა, რატომ მოთხრა ეს ერთგვარი მკაცრი ოქსიმორონი.

ეს ხდებოდა აღმაშენებლზე, მაშინ ჯერ კიდევ პლენაროვი ერქვა, ძველი კინოსტუდიის ეზო, პირველსართულზე ერთთახიანი სტუდია, სეიფი, რომელიც ნანერების ნაცვლად ჩაის ჭიქები და სამოჯარი იდგა. სტუდიაში დამხმედნ თამაზ პართიაი, ვარჯი აქიმოძე, გია არგანაშვილი, დათო ტურაშვილი, გია რევიშვილი, ბესო ოდიშარია, ქეთი პატარაი, ქეთი გურაბანიძე... სასცენარო სახელოსნო იყო, სადაც ერლომ ახვლედიანის გარემოში შუკრე-ბილიყენენ, როგორ გითხრათ... ერლომ ახვლედიანის რჩეული ადამიანები, მეგობრები. უცნაური ამბავი დამემართა იმ დროს, საერთოდ არანაირი კავშირი არ მქონდა ამ წიგნებთან და რატომღაც ავიხიერე, რომ მიხდოდა რეჟისურაზე სწავლა. რა თქმა უნდა, იმ დროისთვის საკმაოდ რთული იყო იქ მოხვედრა, მაგრამ აესე ქართულურად გავიფიქრე. პატარა თავგადასავალი მქონდა რეზო ჩხეიძისთან და გელა კანდელაკთან, კონფლიქტივით და, როგორც ჩანს, ჩემი თავი გადააბარეს ერლომს, რომელმაც პირველივე შეხვედრაზე ის ფრაზა მითხრა, რითაც დაინწყე ამ ამბის მოყოლა. იჯდა ჩემს წინ, კუბოკრულ პერანგში, მოშვებული წვერით, ცოტა მოუყვლიო, თხელი თმა ოღნავ გაბურჰკნილი. „როლინო“ ნაჭრის რუხი ტვირის მარჯვად, მაშინ ესე ვეძახდით ისეთი ნაჭერს, რომელიც ზაფხულისთვის ცოტა ცხელი კი იყო... და მიხსნიდა, რატომ მითხრა ეს, მიხსნიდა საერთოდ უცხო ადამიანს, მიხსნიდა დიდი ხანი, მონდომებით, ემოციურად, პერიოდულად სახეზე ეტყობოდა, რომ თითქოს ზოდიშს იხსენებდა მკაცრი ნათქვამისთვის, მომხანინებელი ღიმილით... მერე უტებ გამკაცრდებოდა და ხანდახან დამცინავ სიცოცხასე მოაყოლებდა, ოღონდ უფრო საკუთარ ქმედებებზე როცა საუბრობდა ან ისეთ ენაღებებზე, ვინც ძალიან ცნობილი იყო, რა თქმა უნდა, ვინაობის დაუსახებლობა... ხანდახან გაღიზიანება ეპარებოდა ხმაში, ხანდახან სიბრაზეც კი... და ეს ყველაფერი იყო მომხსუსხავად გულწრფელი - ერლომს საუბრის უცნაური მანერა ჰქონდა, კამათისას განსაკუთრებით, ნებისმიერ თემაზე საუბრისას, მას შეეძლო დაენყო დავით აღმაშენებლის მოღვაწეობით და გადასულიყო დღევანდლის სწავლის მანერაზე ვიკიში ან ქართული ღვივის მახასიათებლები და ბეთმოვინის მუსიკა დაეკავშირებინა ერთმანეთთან, მსოფლიო ლიტერატურის რომელიმე ავტორიდან გადასულიყო ეროვნულ მოძრაობაზე საქართველოში... თუმცა ეს ყველაფერი იყო ძალიან ლოგიკური და დამაჯერებელი, დიდი ხანი სჭირდებოდა ამ მანერაში გარკვევას და შეიძლება დაბნეულიყავი, აი სწორედ ასე მიხსნიდა ჩემი მოთხოვნების ავ-კარგს - მეც დავიბენე. მანამდე კი, ვინც იქ დამხვდა, აღმოვაჩინე, რომ აბსოლუტურად ჩვეულებრივ თემაზე საუბრობდნენ - არა ფეილი, არა ვაერია, არა მარკესი, არა ჰეგელი - უბრალოდ საუბრობდნენ ერთმანე ახვლედიანის ქურთუკზე, რომელიც ძალიან უყვარდა, ატარებდა და ახლოებით მეთათე წელი... და ელვა-შესაკრავი ჰქონდა გამობსაცვლელი, ერლომი გოგოებს დასცინოდა და უკუნებოდა, სანამ რამე გენიჭილურს დანერდეთ, სჯობს ელვა-შესაკრავის გამოცვლა ისწავლოთ, ისი-

ნი აპროტესტებდნენ, რომ ყველანი იხელსაქმე კარგად იციან და გამოსდით და ელვა-შესაკრავის გამოცვლა სპეციფიკურია და ხელოსანი სჭირდება, ერლომი აგრძელებდა ხითხითს, იგონებ რაღაცას, უბრალოდ არ იცით საქმის კეთებაო. ბიჭები არ ერეოდნენ, მერე რომელიღაცამ თქვა, მგონი ჯარჯი, რა არის ეგ ათი წლის ქურთუკის ახირება, ახალი ვიყიდითო. ერლომმა - ჰოდა, მყიდვ შენო, ჯარჯი - დავაძინაერთო ის სცენარი, რო გვივლებ ერთი თვე და ვერ წაიკითხეთ და საყიდელი ჰონორარიც იქნებაო. მერე ერლომმა, ახლა მომცილდით თვითნებ, ადამიანს უნდა დავლაპარაკო და საღამოს დათო ჯვახიშვილთან მივდივარ დაბადების დღეზე, აღარ მცალიაო... თუმცა ჰო თქვენც მოდიხართო, გასვლის წინ ჯარჯი მივდივითხილა, არ შეგეშინდეს უცნაური დაზარაკი იცისო.

ქეთი პატარაიამ გაიხსენა, პირველად როგორ შეხვდა ერლომს, ავიჩემე, რომ კინო-დრამატურგია მიხდოდა და იმ წელს ერლომს აჰყავდა თურმე ჯგუფო. მამაჩემის მეგობარი ზურა ჭელიძე იყო და იმ ლეგენდად ქცეულ სახლში შემახვედრეს ერლომს, იქნებ არ გაქვს ნიჭი და ხომ უნდა გაერკვეო.

რა თქმა უნდა, გაიშალა სუფრა, დაიწყო სმა, აღარავინ მაქცევს ყურადღებას, უოი, ბოლოს გაახსენდათ რისთვისაც იყენენ მოსულები, აბაო, უთქვამს ერლომს ქეთისთვის, არც ვიცი რა ვკითხო და აიღე ჭიქა, რამე სადღერძელო გვითხარი და ყველაფერი მიგხვდებო, არ ვსვამო, უთქვამს ქეთის, რატო არ სვამ მერე, თქვი მაინცო, ქეთისაც უთქვამს: მაგონი სწორედ თქვენ მჭირდებოთ მე და ამახ გაუმარჯოსო.

გადარეულა ერლომი, იცოდა ხანდახან გადაჭარბებით ემოციების გამოხატვა. პირველ ლექციაზე გამოუცხადებია, ბი მაქვს ბევრი სცენარი დაწერილი და ცინოზიმე ბევრია გადაღებული, მაგრამ როგორ გასწავლით არ ვიცი და მეგობრობას ვთავაზობთ, მოდით, ახლა მართლა ლექციას ხომ არ ნავიკითხავ... ჰონორარი მაქვს აღებული და კაფეში დავსხვდეთ და მეგობრობა აღვნიშნოთ.

ქეთიმ, არც ვიცი რატო მეგობრობდა ჩემთან ასეთი ადამიანი, ვერაფრით ვხვდები, რით დავიმსახურე ამ მასშტაბების და სიღრმის ადამიანის მეგობრობა, - გულწრფელად თქვა, ყოველგვარი პათეტიკის გარეშე, არ გამოდიოდა ერლომთან პათეტიკა და სიყალბე, მისი გარდაცვალების მერეც არ გამოდის, ყველა ვცინობ ერთმანეთს და არ გამოვკვიდე.

ირბა ჩუბინიძემ თავისი პირველი შობაბეჭდილებები მოყვა, პატარა გოგო ვიყავი 16 თუ 17 წლის, ერლომთან რომ მოვეხვედი, პირველი შობაბეჭდილებების შემდეგ, მეორე ლექციაზე ჩემი დანერდილი, პათეტიკურ-აუტირებელი ლექსი მივუტანე, გადახვდა და მივხვდი, რომ ძალიან, ძალიან არ მოეწონა, უნიათო ღიმილით მითხრა რაღაც და სახეზეც კი გამოეხატა უკმაყოფილება, ჩემი უგემოვნო პათეტიკის გამო. იმავე წუთას მივხვდიო ირმამ და აღარასოდეს ჩამიდგენია მსგავსი ლიტერატურული კვლუცობა. გავიდა წლები, არავის გვახსოვდა ის ლექსი, შეიძლება ცუდ ხასიათზე გამხსენებოდა, ისიც ძალიან იშვიათადო.

ერლომი რომ გარდაცვლილა, მის ნივთებში, სა-
დაც ხატები ელაგა, ნიგნები, ჩანანერები... მოუ-
ლოდნელად დალაგებისას იქ აღმოუჩენია ირმას ის
ლექსი, შეუნახია ერლომს, არ გადაუგდია.

ვანო და ნიკო და ნიკო და ვანო

ადრე ნიკო ვანო იყო, ხოლო ვანო - ნიკო. მერე
ნიკო ვანო გახდა, ხოლო ვანო - ნიკო. ბოლოს ორი-
ვე გავანოვდა.

ეს ასე მოხდა:

ნიკო ცუდი ადამიანი იყო და სულ ავს უკეთებ-
და სხვას, ხოლო ვანო კარგი ადამიანი იყო და სულ
კარგს უკეთებდა სხვას. მაგრამ, რადგან ადამიანს
ერთი და იგივე ბეზრდება ხოლმე, ნიკოს მოებზრდა
ნიკობა, ხოლო ვანოს - ვანობა.

ნიკომ უთხრა ვანოს:

- მოდი, გავვანოვდები!
- ვანოს გაუხარდა და უპასუხა:
- მე კი გავნიკოვდები, კარგი?
- კი ბატონო.

და იმ დღის შემდეგ ნიკო გავანოვდა, ხოლო ვა-
ნო განიკოვდა.

ერლომის ის სახლი ჩემთვის იყო ნამდვილი ზღა-
პარი, ყოველგვარი ზედმეტი რომანტიზმისა და პა-
თეტიკის გარეშე. ყველასთვის ასე იყო, - ქაოსი,
დაძველებული, მორყეული და ზღაპრული. იქ შეე-
ხებოდა ადამიანებს, რომლებიც იმ დროს ქმნიდნენ
საქართველოს ინტელექტუალურ ფონს, თუ ვინმე
აზროვნებდა მაშინ, ყველას იქ შეხედებოდი... აბ-
სოლუტურად უშუალო გარემო კი არა... არც ვიცო,
რა ერქვა იქაურობას. იმ სახლში თვითონ უნდა მო-
გეცებნა ადგილი და მიგელაგებინა, მიგეტანა სას-
მელ-საჭმელი, თვითონვე მოგწახა ჭიქა და თევში,
რეუ იპოვიო... გაგერეცხა ჭურჭელი. არა, ჭურჭლის
თუცა თვითონ უყვარდა, არაფრით დაფრთხილ-
და... სადღაც შეიძლება დაკარგულიყო უამრავი ნა-
წერი და მერე აღმოგეჩინა ყველაზე არალოგიკურ
ადგილას, ერლომს შეიძლება დაეკარგა ტანსაცმე-
ლი თავისივე სახლში და მერე მიმხედარიყო სხვა,
რომ მეორე დღეა, ტანზე აცვიცა... თუმცა ამ ქაოსსა
და უნერსირობაში თვითონ მშვენივრად პოულობ-
და ყველაფერს, მართალია, შეიძლებოდა თარო ჩა-
მოეარდნილიყო, მაგრამ პოულობდა. ფანჯარასთან
მიდგმულ სამუშაო მაგიდაზეც არეულ-დარეული-
ბა ჰქონდა, მაგრამ მუშაობდა კონცენტრირებუ-
ლად, ცოტა გალიზიანებული და სულ სივარულით.
ყველა დიდი სიამოვნებით ხდებოდა ამ ქაოსის
ნაწილი.

თავის დაბადების დღე არ უყვარდა, 23 ნოემ-
ბერი. ვიტირობაა, როგორ არ გიყვარსო, რომ ეტყო-
დი, ჰოდა, რომელი წმინდა გიორგი მე ვარ, კაცო,
ჩემი დაბადების დღე არ მიყვარსო... მაგრამ ვინ აც-
ლიდა, მის დაბადების დღეს უამრავი ხალხი იკრი-
ბებოდა, გიორგი შენგელაია მუდამ, ნოდარ მანაგა-
ძე, ვახო რურუა, დათო ჯავახიშვილი, ზურაბ კიკ-
ნაძე, ლევან მალაზონია, ბესიკ ადგიშვილი, თემო
ჯავახიძე, ვანო ყვავილაშვილი, სხვათა შორის ლი-
ტერატურული ვანოს პროტოტიპი, მალხაზ და ვაჟა
კუხიანიძეები, რამაზ საყვარელიძე, ხანდახან ზუ-

რა ჟვანია, მეზობლები, სტუდენტები... ყველას რა-
ღაც მოჰქონდა, გვიდარ ფალავანდიშვილი უშვე-
ლებელი ხინკლის ქვაბით მოდიოდა ფაქტობრივად
ყოველ დაბადების დღეზე, მარინა რჩეულიშვილი
აუცილებლად გამოგზავნიდა უამრავ რამეს... ეს
იყო სხვადასხვა თაობის ურთიერთობა ერლომის
გარშემო, ყველა ოთახში საოცარი საუბრები, ყვე-
ლაზე მეტად კამათობდა გიორგი შენგელაიასთან
და განსაკუთრებით უყვარდათ ერთმანეთი და ხდე-
ბოდა ეს, ერთი შეხედვით, ძველ, დაშლის პირას მი-
სულ ზღაპრის ქობად ქცეულ სახლში... თვითონ ეს
სახლიც ლიტერატურული გმირივით იყო.

პირველ პენ მართონზე სპეციალური პრიზი
მიმცეს, ერთი ყუთი ღვინო, ეს არის ნამდვილი
მწერლის ნამდვილი ჯილდო, ღვინოო და, რა თქმა
უნდა, ერლომთან გამოვწრუპეთ ნომრამდე მიე-
ლი ყუთი.

ერთხელ ჩეხეთის ელჩმა ნაიკითხა „ვანო და ნი-
კო“, იკითხა, ვინ არის ეს ავტორი, ცოცხალია თუ
არა ეს გენოსიო. რომ უთხროს, აი აქვე ცხოვრობს,
თქვენგან ორ ნაბიჯშიო, გადაიარა, გამაცანიოთ,
მართლაც ესტუმრა ერლომს. ელჩმა იცის, რომ ხედა-
ბა თანამედროვე ქართული ლიტერატურის გენდს,
ელჩი იძახდა, არა მარტო ქართული ლიტერატური-
სო... ხედეოდა საოცარ ადამიანს, განსაკუთრებით
ემზადებოდა. მიადგა სახლს, კარი გააღო და ბრახა,
ჩამოვარდა კარი. შვეიდა ეზოში - ჩავარდა ორბოში,
თხლამ - სახურავიდან ჩამოემხო რაღაც... გამოდის
სახლიდან გაბურძნული კაცი, პლედშიხეველი
ეუბნებოდა, ეს არის ის გენოსიო, ელომზე ენევე
სიგარეტისა და იფერულგებს ხელისგულზე, სახლი ძა-
ლიან აყრილი მაქვს, იქნებ ეზოში ვიყოთო, თან სახ-
ლში ცოვა და ვართუ მზეა, კაი ამინდია, აქ სჯობს
... და მისი დაბამახათებელი მორიდებული ღი-
მილი. ელჩი ელაპარაკებოდა ჩეხურად, ინგლისუ-
რად... უთარგმნია, ერლომი ქართულად, მოკლედ
ერლომივით არეულობა... ხედიერი წავიდა ელჩი,
ერლომი შვევიდა, ვერ გავიჯო რა უნდოდა და მეც
რას ვბოლდავდი, აღარ მახსოვსო.

ჩეხეთის საელჩოს უშველებელი, კომფორტული
გამათბობელი უნდოდა დაემონტაჟებინა, მაგრამ იმ
სახლში არ გამოვიდა და დიდი ჩეხური კომფორტუ-
ლი ღუმელი დაუდგეს. ჯარჯიმ - მივედი მეორე თუ
მესამე დღეს, თხელ მაისურბა გამოწყობილი, ნა-
მონოლილი, ჭყაყუილი, ხითხითყუბო... მგონი მარ-
თლა კარგი რამე დაგენერე, ნახე რას მათბობსო.

ტიციან ტაბიძის ჩიხში იდგა ეს სახლი, ჭავჭავა-
ძიდან აუყვებოდი ზემოთ, მარჯვნივ მარცხნივ და
ვინრო ბილიკით მიადგებოდა ერლომის სახლს, მან-
ქანაც გატყრეებით ადიოდა. განსაკუთრებით სატ-
ვირთოსთვის იყო მიუდგომელი.


ერთხელ ქეთი პატარაიანა სთხოვა, ლექციების
შემდეგ დარჩი, ერთი დღე მიყვინო, აღმოჩნდა, რომ
უნდა იყიდოს საათი... რად უნდოდა და ტიციან ტა-
ბიძის ჩიხში ვერ ადიოდა სანაგვე მანქანა და რომ
მორიდოდა და ატყებდა ზარის რეკვას, ელომზე ვერ
ასწავილიდა ნავის გატანას, ერთხელ, ორჯერ არ
ჯერ... ერთხელ რაღაცნაირად მიახწრო და უთხრა,
რომ გეხვეწებო, სანამ არ ჩამოვიტან, არ ნახვიდე



მთიანეთის რაიონიდან

ხოლმე, ვერ ვასწრებო, ახალგაზრდა კაცი ყოფილა, ეროვნებით ქურთი. ერლომის - „ვერ ვასწრებ“ - იყო ძალიან დიდი დრო და, რა თქმა უნდა, არც ის კაცი ელოდებოდა. ერლომს მოუხერხებია ერთხელ მისწრება, ძალიან გაცხარებულა, უყვირია და იმასაც ხელი აუქნევია და შეუგინებია, ვერ მოვიტოვინე და გავარტყიო - მოუყოლია შეწუხებულს ქეთისთვის - იმან კიდე ხელი დამახვედრა, საათში მოხვდა, დაუვარდა და გაუტყდა და უნდა ვუყიდო... ძალიან

განიცდიდა თურმე, ხელი როგორ გავარტყი ადამიანს და თან საათი გავუტყეო. მთელი გზა ვეზუზუნებოდი ერლომს, რად გინდა, რა უნდა უყიდო... არაფრით არ გადათქვა. მივიდნენ საათის საყიდლად და იყიდა იმ დროსთვის ყველაზე ძვირი საათი ას მანეთად. იაფიანი კატეგორიულად არ უყიდა და მთელი გზა ვეწინინებოდიო, ქეთიმ, რა ას მანეთად, სად ექნებოდა იმას ასეთი ძვირი საათიო. მეორე დღეს ერლომს მოუყოლია, რა ბედნიერები



იყვნენ ორივე, როგორ გადაეხვივნენ ერთმანეთს და შერიგდნენ, როგორ გახარებია იმ კაცს საათი, აღფრთოვანებით ჰყვებოდა თურმე ერლომი.

დიდი ხნით ადრე, წარმოიდგინეთ დრო, როდესაც ერლომი არის 23-24 წლის, ეს დაახლოებით 1957 წელია და გურამ რჩეულოშვილი, რომელიც ამ დროს სადღაც 22-23 წლის არის, ძალიან, ძალიან დიდი მეგობრები იყვნენ ერლომი და გურამი. ეს ის პერიოდაა, თბილისს 1956 წელი აქვს გადატანილი, ხრუშჩოვის მიერ ქუჩაში დახვერტილი ახალგაზრდობა, თან სტალინის გამო... მეტისმეტად აღრეულია ფასეულობები, თუმცა არა ისეთ ადამიანებში, როგორიც ერლომ ახვლედიანი და გურამ რჩეულოშვილი და მათი მეგობრები იყვნენ... ყველამ კარგად იცის რა ხდება, თუმცა გულში ჩახვეული თავისუფლების უფრო უშველებელი სტრესია, ყველაფერი ქუჩის გაუქცობაში განსახიერდება... მოდი თურმე ერლომი და გურამი ქუჩაში, და ხვდებიან თავის კბილა ბიჭებს სხვა თბილისური უბნიდან, როგორც ერლომი იხსენებდა, მიგზვდი, რომ გურამთან ჰქონდათ საქმე, ძველი ურთიერთობის გარჩევა დაიწყაო, არც ის ბიჭები იხივეენ უკან, არც გურამია უკან დამხვევი. მაშინ უკვე ის დროა, რომ დანის გამოყენების შემთხვევები ხშირი არ არის, მაგრამ უკვე რამდენჯერმე იყო. ლაღო ქოქიაშვილის მკვლელობის ცნობილი ამბავიც უკვე მომხდარია. ვხედავ, იმათგან ერთს დანა აქვს, გურამი ვერ ამჩნევს, უნდა ატყვდეს ჩხუბი და კაცმა არ იცის, როგორ დამთავრდება, და უცებ ერლომი ყვება, რა გადამიბრუნდა თავში არ ვიცი და მოუჭრიალდი და გურამს გაეარცყო... დაბნეულა ყველა, განსაკუთრებით გურამი და ჩხუბი შემწყვდარა, ჩვენ ჩვენს გზაზე წავედით, ისინი თავის გზაზე. დიდი ხანი იყო გურამი ნანყენი, თუმცა დანის ამბავი ამშვიდებდა... ეს მე მაქვს მოსმენილი ერლომისგან და სულ მახსოვს, ნებისმიერი უაზრო კონფლიქტური სიტუაციისას მახსენდება ხოლმე.

ერთხელ კი ვანო იყო უსაქმოდ და უთხრა ნიკოს:

- მე შენზე დაბალი ვარ.
- ნიკოს ენყინა და უპასუხა:
- მე კი შენზე დაბალი ვარ.
- ვანო მუხლებზე დაეცა და უთხრა ნიკოს:
- ახლა ხომ ვარ შენზე დაბალი?
- ნიკო იატაკზე განვა:
- ახლა?
- ვანომ მიწა ამოჩიქნა და შიგ ჩანვა:
- ეჰე, ნიკო, რა დაბალი ვარ?
- ნიკომაც ამოჩიქნა მიწა.
- ვანომ ორმო ამოთხარა.
- ნიკომაც - ორმო.
- ვანომ ჭა გათხარა.
- ნიკომაც.
- თხარეს და თხარეს და ისმოდა ხმა:
- ნიკო! ნიკო! ჩამომხედე, რა დაბალი ვარ...
- მაგრამ ეს ხმა გუბებოდა მიწის ღრმა სიბნელებში, გუბებოდა და ჰებელსავით სადღაც ახლოს ილეოდა და კვებოდა.

დაილანენ. ამოვიდნენ. მიწა კვლავ მიწას დაუბრუნეს. დატკეპნეს. თარაზოც მოიტანეს. დაეტოლნენ.

თურმე ორივე ერთმანეთზე თითო-თითო საბტიმროები დაბალო იყო.

„გვიკი“ სწავლებდა ერლომი, ასე ეძახდნენ მაშინ მოსკოვის უმაღლეს კინემატოგრაფიის ინსტიტუტს, „ვსესაიუზნი ვასუდარსტვენნი ინსტიტუტ კინო“ - მოსკოვის სერგეი გერასიმოვის სახელობის კინემატოგრაფიის ინსტიტუტი, სხვათა შორის საკმაოდ პოპულარული იყო ევროპაში, რა თქმა უნდა, უფრო აღმოსავლეთ ევროპაში. იქ მოხვედრა იყო ნამდვილი სასწაული, თბილისში არ იყო ვერ კინოს ინსტიტუტი, ამიტომ სამოციანელებს, ყველას, ვინც ქართული კინო განავითარა ბოლშევიკების დროს, ვეკი ჰქონდა დამთავრებული, ძალიან ცნობილი პედაგოგებაც ასწავლიდნენ... თითქმის ერთ პერიოდში სწავლობდნენ, გიორგი და ელდარ მეგვლიაეები, ოთარ იოსელიანი, ლანა ლოლბერიძე, ბაადურ ნულაძე, მერაბ კოკოჩაშვილი, თამაზ მელიავე, ალექსანდრე რეხვიაშვილი, ანუ მთელი ქართული კინოს ნათელი თავები, შესანიშნავი სამოციანელები.

რომ დაამთავრა თურმე ეს გვიკი, გადაწყვიტა, ყველა თავისი ჯგუფული დაეპატიჟებინა რესტორანში გამოსამშვიდობებლად. მანამდე მოანგზავნა ყველაფერი, გადაიხადა ყველა ვალი, ჩააბარა ყველა წიგნი თუ ნივთი. დათვალა ფული როგორ და რა უნდა ჰყოფოდა და თბილისში გამოფრენის წინ მშვენიერად მოუღობინეს, დაარიგა ტაქსით ყველა სახლში და აი, ამდენი ხანი ნანაგარიმებ ფულში უცებ აღმოჩნდა, რომ აეროპორტამდე ტაქსისთვის აკლდება ორი მანეთი. იმ დროს ტაქსები იდგა მიჯნული და ყველამ იცოდა, რას დაწერდა ტაქსი აეროპორტამდე. ერლომისთვის გამორიცხული იყო თოხნა და უზოლოდ ნაკლების მიცემა... ვერც ტრანსპორტით მიასწრებდა, საკონებელი ჩავარდნილა და უცემ ქუჩაში, მის წინ აფრიალებულა სამ მანეთიანი. ერლომს, რა თქმა უნდა, აუღია, შესულა იქვე მალაზხაში, გადაუხურდავევია, რაც აკლდებოდა, ორი მანეთი შეუნახავს და ზედმეტი მანეთიანი ზუსტად იმ ადგილას ქარისთვის გაუტანებია.

წლების შემდეგ ერლომის შვილი ბაქარი მოუყვა თავის მასწავლებელს, ერთხელ მე და მამაჩემი მოვდივართ ქუჩაში და ძალიან გვიშაო, მამაჩემი სამოთხეს აპყურებს ცაში, მე მიწაში ჩავყურებ ჯოჯოხეთს და უცებ მიწაზე გდია ოც ლარიანი, მე ფეხი დავაბიჯე ამ ოცლარიანს და ცვდილივ, რაღაც ნაირად ავიღო, რადგან ვიცი მამაჩემი ამ ოც ლარიანს რომ ნახავს, ატყვავს ამბავს, გაავებინებს მთელს ქუჩას, სანამ არ დააბრუნებს, ვდგავარ და ვეუბნები, მამა ახლა ოცლარიანი რომ ვიპოვეთ, რას იზამ მეთქი, რას ვიზამ და ერთი კარგად შეეჭამოთ ლობიო, ჰოდა, აგე ოც ლარიანი-მეთქი... - გემრიელად ვგახელით იმ ლობიოს. ხმაც ვერ ამოლიო ერლომმა, - სიცილით ჰყვებოდა ბაქარი, - და არ მიხსენებია ჩემი სამოთხის და ჯოჯოხეთის შედარებაო.

ბაქარი მისი ცხოვრების ტრაგიკული დასასრული იყო, უფრო სწორად, მისი ტრაგიკული ცხოვრე-

ბის დასასრული. ცხოვრების, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ დასრულდა. მანამდე უფროსი შვილი ანა. პირველი კი ალბათ გურამ რჩეულიშვილი... გურამ რჩეულიშვილის შემდეგ ზღვაში არ შესულა ერლომი, ძალიან კარგად ცურავდა, მაგრამ გაუბრაზდა ზღვას, რომელმაც წაართვა საუკეთესო მეგობარი. შემდეგ უმძიმესი იყო ბუბა ყარალაშვილის გარდაცვალება. როდესაც მე გავიცანი, იმ პერიოდში მოხდა ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ეპიზოდი, გაი რევიშვილის, რემკას დაღუპვა. გაი ძალიან ღირსეული ადამიანი იყო. საოცარი მოკლემეტრაჟიანი ფილმი ჰქონდა, - "კვირა დღე", ერლომიც თამაშობდა და ოთხმოცდაათიანებში, როცა ყველაფერი აირია, მან გადაწყვიტა ებრძოდა. მე პირველად მის ხელში ვნახე იარაღი... ერლომი ძალიან დასევედიანდა მაშინ, კარგად მახსოვს, რემკა რომ მოვიდა სტუდიაში და საქმერეში ნაგანი შევამჩნიეთ, არ მოეწონა რემკას ხელში იარაღი. რითაც განსჯი, იმით განისჯები, გაი, რად გინდა ეგო და შემდეგ უზომოდ განიცდიდა ამ სიტყვებს, ფიქრობდა, რომ არ უნდა ეთქვა, ხანდახან თავს ადანაშაულებდა კიდევ, რომ არ მეთქვა, იქნებ არც მომხდარიყო ის ამბავი... რემკა იმ დროის მსხვერპლი იყო... არადა მართლაც უნიჭიერესი და ნამდვილი რანდი, რომელიც ერლომს ჰპირდებოდა, რომ აუცილებლად გამოვიდოდა იმ ვალდებულებებიდან, რაშიც თავი ამოყო ბრძოლის და სამართლიანობის სახელით, არადა თავიდან მართლა ასე იყო... მაგრამ ვერ მოასწრო... მერე ბევრი ტრაგიკული ამბავი მიზა ერთმანეთს.

სახელსნოს ნეერი იყო ზუკა თუთბერიძეც, ერთხელ ერლომს სადღეგრძელოში უთხრა - ქრისტიანულ აღსასრულს გისურვებთო - ზუკა თუთბერიძეც გარდაცვალება და ერლომი მუდმივად იხსენებდა - ამაზე კარგი სადღეგრძელო ჩემთვის არ უთქვამო.

ერლომის თავზე იმ დროს ალბათ ნისქელის ქვაკი დატრიალდა.

არეული ფასეულობები ამ ქვეყანაში და ამ არეულობაში გარკვევა ძალიან რთული იყო, ყოველ სიტყვას შეიძლება ტრაგედია მოჰყოლოდა. პირადი ტკივილები, განცდები, ღალატი, იმედგაცრუება... ყველაფერი თავს დაატყდა, ვისიც სჯეროდა, ვეღარ ენდობოდა, და რომ აღარ ენდობოდა, იმასაც განიცდიდა... ადამიანობა დაეკარგო, დარდობდა ხოლმე.

გადაიღალა.
მე ერლომ ახვლედიანი ძალიან დაღლილ ადამიანად მიმაჩნდა, გადაღლილი იმით, რომ ადამიანები ისეთები არ აღმოჩნდნენ, როგორც მას სურდა, როგორის მას ეგონა, რომ უნდა ყოფილიყო ადამიანი.

სწორედ მაშინ, როდესაც ნიკო მალალ მთაზე იჯდა და ხარხარებდა, ვანო დაბალ მთაზე იდგა და ფიქრობდა:

„რა შემძლია მე? კურდღელს კი გამოვეკიდები, მაგრამ რას დაეკვირვებ?“

მზეს ვერ მივწვდები და, რომც მივწვდე, რას ჩამოვიღებ? ფიქრი შემძლია მხოლოდ და რიგანად ისიც არ შემძლია“.

იდგა ვანო დაბალ მთაზე და წუხდა:
„ვანო ვარ და მორჩა და მხოლოდ ის შემძლია, რომ:

ლაშქები დავაღამო, შავი ფერი გავაშავო, ლუნისა და გავალუნო, სხვისია და გავასხვისო“.

ერთი შეხედვით, ყოველთვის ქაოსი იყო მის გარშემო, დაწყებული სახლიდან - გაგრძელებული მისი ჩინაციულობითა და თუ საუბრის მანერით.

ყველანი ამბობდნენ, რომ ძალიან რბილი იყო, მე დღეს რომ ვფიქრობ, ხანდახან სალოსი მგონია. როდესაც ადამიანს ვერ აგებინებ, როდესაც ადამიანი ისე დგას თავის ნათქვამსა და აზრზე, რომ არაფრის გაგება არ უნდა, რატომ უნდა იძალადო მასზე, რატომ უნდა აიძულო რამე, ის ხომ მერე დაუშვებს, რომ ძალადობა შეიძლება და თვითონაც იძალადებს, თან დარწმუნებული იქნება, რომ მართალია.

თუმცა, ვინც მის კამათს შესწავლიდა, განსაკუთრებით, როცა ეს სამშობლოს შეხებოდა, ერლომი იყო უპრინციპულესი, მეც მახსოვს და ყველა ჰყვება, შეეძლო სტუმრად მოსული ნამომხტარიყო და კარი გაეჯახუნებინა და წასულიყო, თუ მისთვის მიუღებელი გარემოში აღმოჩნდებოდა. იყო პირდაპირი და უკომპრომისო. მე მახსოვს, როგორ მსუბუქად დამცინავდა და აგრესიულად გააგდო მასთან რჩევისთვის მოსული ადამიანები, რომლებიც პარტიას აყალიბებდნენ და უნდაეთათ თავისი ვერსიის ქრისტიანული მოტივები ჩაედოთ ამ პარტიის პატრიოტულ იდეოლოგიაში, ცოტა ქუჩის ტიპებს ჰგავდნენ, გარეგნობითაც კი. ვიცით, რომ რელიგიური ბრძანდებები და ეკონომიკური რამეო. ათ მცნებას იცავთ? ჰკითხა ერლომმა. აი, ერთადერთი, არა იმრულო არ გამოგვიდოს. ჰოდა, შვილებო, რატომ წავლობთ, ნადით და მრუო პატრიოტთა პარტია ჩამოაყალიბეთ, ნუ იგონებთ რალაცას, მარტივად გადაწყვიტეთ... ახლა კი დამტოვეთ, სტუდენტებს უნდა ველაპარაკო.

ეს ის დროა, როდესაც ერლომმა დრამატურგების სახელსნო შექმნა თავის სასცენარო ჯგუფის სტუდენტთა ბაზაზე.

ერთხელ თურმე, 80-იანი წლების ბოლოს, ერლომ ახვლედიანს, ვარდა იმისა, რომ თეატრალურ ინსტიტუტში ჰყავდა კინოდრამატურგები, ასევე უნივერსიტეტში ჩააბარეს მეორადი ფაკულტეტის კინოსცენარისტთა ჯგუფი. ამ ჯგუფში ყოფილან ჯარჯი აქიმიძეც და დათო ტურაშვილიც, თურმე არ დადიოდა ერლომი, არადა ძალიან მაინტერესებდაო, ჯარჯი, მეორე თუ მესამე ლექციაზე, ისეც დაგვიანებით რომ მოვიდა, ჯარჯი ავეცი და ნამოვიდა, და მყავს სკოლიდან გამოსაყვანი და კარგად ბრძანდებოდეთო. არ გაინტერესებს, რატო მიდიხარო? - უკითხავს ერლომს. მაინტერესებს, მაგრამ სულ აგვიანებთო და გა-

მოუხურია კარი და წამოსულა, მერე კიდევ ერთხელ არ მოსულა, კიდევ და კიდევ... ბოლოს ავდექი და კითხვა-კითხვით მივაგენი სახლში ტიციან ტაბიძის ქუჩაზე და რას ვხედავ, ეს მისი ცნობილი სახლი, საშინლად არეული, ქაოსი და თვითონ ზის იატაკზე და არის დემურისულ მდგომარეობაში. ვინ ხარო, - მკითხა. მე ვუთხარი, თქვენი სტუდენტი ვარ, ჯარჯია აქიმობე, უნივერსიტეტიდან-მეთქი. შენ ის არ ხარ, დის მოსაყვანად რომ წახვედიო... კი-მეთქი, კარგად დაგიმასოვრებიოთ, - ეს სულ ხსობოდა, მაშინ ძალიან უმოქმედია ჯარჯის ასეთ დემარსს, - ჰოდა, წადი ახლა სასმელი მოიტანეო. ასე ვისხედით იატაკზე, მაგივის ქვეშ და დავლიეთ. ასე დამეგობრდნენ ერთმანეთს და ჯარჯი, ერთობ ახვედნიანის ერთ-ერთი ყველაზე ახლო მეგობარი. აღმოჩნდა, რომ უბრალოდ დამღლევი იყო ამდენი ლექცია დებურსის ფონზე, ადგა და თეატრალურის და უნივერსიტეტის ჯგუფი შეაერთა და ჩამოყალიბდა ის სახელისნო, რომელშიც მერე მე და ჩემი ძმა, ირაკლი აღმოვჩნდით. ამ სახელოსნოზე ბევრი ბრწყინვალე ფილმის იდეა დაიბადა, რა თქმა უნდა, ბევრი ვერ განხორციელდა, თუმცა ერთობის ბოლო ფილმებში ამ სახელოსნოს ყველა წევრის დიდი როლია. რეზო ჩხვიძის ინიციატივით ამ სახელოსნოს წევრებს კინოსტუდია კონკრეტულ სამუშაოებში უხდოდა ჰონორარს მხოლოდ თეატრალურ დამთავრებული გუნდისთვის, რემკას უთქვამს, თუ ძმობა, ძმობა იყოსო და ეს ჰონორარი ყველაზე იყოფოდა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ამ ჰონორარით დიდი ქეიფი იმართებოდა.

მაშინ წარმოიშვა მრგვალი სოფლის ის უტოპიური იდეა, რომელიც, როგორც ჩანს, იმ საციუეტიდან გარდებობს საშუალება იყო. სერიოზული შეხვედრებზე კი იყო იმ დროის პოლიტიკოსებთან და ბრუნსმენებთან, მაგრამ, როგორც ყოველთვის, საქართველოში ასეთი ჰუმანური იდეის ადგილი არ გამოიხსნა.

ერთობი ძალიან ფრთხილად უყურებდა ეროვნული მოძრაობის ძალიან ისტერიულ ფონს, ამბობდა რომ წლების მერე რუსები ამით ისარგებლებენო... მაშინ ცოტა ძნელი მისაღები იყო ეს აზრები, განსაკუთრებით ჩვენითვის, ახალგაზრდებისთვის. ჯარჯისთან და რემკასთან ამ თემაზე სერიოზული კამათის მოხვლია, შევხსნებოვარ.

ყოველთვის იგრძნობოდა სიფრთხილე იმის მიმართ, რაც მათ და მათი მამების თაობამ ბოლშევიკებისგან გადაიტანა.

გია რევიშვილის ეკამათებოდა მაგალითად იმაზე, რომ არ მოსწონდა მისი იმ დროისთვის მოდური ძვირფასი ფეხსაცმელი, ინსპექტორები, ამით შენ მე მწორდებიო, უუნებოდა. ამაზე ყველას გველიმებოდა, მაგრამ ახლა რომ ვუყურებთ ამ გადმოსახედიდან იმ არეული ფასეულობებს, შეიძლება ძალისა ღრმა ხედვის შედეგი იყო ეს შეფასება.

ფეხსაცმელებზე განსაკუთრებული გართულება ჰქონდა, ეს ის თაობაა და ის სამეგობრო, რომელსაც გურამ რჩეულიშვილის ბათინკები თაობის სიმბოლოდ ჰქონდა ქცეული.

ერთხელ ნიკო უსაქმოდ იყო და უთხრა ვანოს:

- მე შენზე მაღალი ვარ.
- ვანოს ეწყინა და უპასუხა:
- მე კი შენზე მაღალი ვარ.
- ნიკო ფეხის წვერებზე აინია და უთხრა ვანოს:
- ახლა ხომ ვარ შენზე მაღალი?
- მე რა, არ მაქვს ფეხის წვერები? - უპასუხა ვანომ.

ნიკო სკამზე შეხტა და დაიძახა:

- ახლა?
- ვანოც სკამზე შეხტა.
- ნიკო გარეთ გავარდა, ხეზე ავიდა და ვანოს გადმოსძახა:
- ვანო, ამომხედ!
- ვანომ არ ახედა, სხვა ხეზე ავიდა და არაფერი არ თქვა.

ნიკო ხიდან მთაზე გადავიდა და ვანოს გადმოსძახა:

- ეჰე, ვანო, შემომხედე, რა მაღალი ვარ!
- ვანოც ავიდა მთაზე და ნიკოს გადასძახა:
- ეჰე, ნიკო!


ხოლო შემდეგ ვანომა და ნიკომ, რაც ახლომახლო მთები იყო, გაიყვეს, ერთმანეთზე აახოხოლავეს, ზედ შედგნენ... და ისმოდა ყვირილი:

- აუ-უ, ვანო, შემომხედე! რა მა-ლა-ლი ვარ!!!
- და ხევებიდან, კლდეებიდან, უფსკურულებიდან ბრუნდებოდა ათასი პასუხი.

- აუ, ვანო, შემომხედე, რა მა-ლა-ლი ვააარ!!!
დაილაღნენ. სიმაღლეებიდან ბილიკბილიც ჩამოვიდნენ. მთები თავ-თავიანთ ადგილებზე დაა-ლაგეს, მოიტანეს თარაზო, მოასწორეს მიწა და დამეტოლნენ:

თურმე ორივე ერთმანეთზე თითო-თითო სანტიმეტრით მაღალი იყო.

ირმა ჩუბინიძე და ნინო დადვანი მოყვენენ, ერთხელ, იმ ვაკანია 90-იანებში, უტყებ ერთობი ლექციაზე მივიდა, ძალიან ძვირფასი და ხარისხიანი ქურქით, საბჭოთა პერიოდში „დუბლიონკას“ ეძახდნენ. ძალიან მოდაში იყო მაშინ და იშვიათად თუ ვინმე ახერხებდა შეძენას, შემდეგ დღეებში ახალი ფეხსაცმელი მოვიდა, ისიც ხარისხიანი და იმ დროისთვის ძვირი და, რა თქმა უნდა, ყველა სტუდენტმა აღნიშნა, კომპლიმენტებს ეუბნებოდნენ, მოსწონდათ... ერთობიც, რა თქმა უნდა. იმრანჭებოდა, ხუმრობდა ზუმრობით პასუხობდა და ერთხელაც აღარ აცვია, არც ეს „დუბლიონკა“ და არც ფეხსაცმელი, რა თქმა უნდა, ყველამ მოიკითხა. ერთობმა, - ვაჟუქე სხვასო. გადაირიგენ სტუდენტები, - რატომ აჩუქეთ და ერთობმა განმარტა, ეს დუბლიონკა რომ ჩაივიცე, ჩემმა მეგობარმა ფეხსაცმელებზე დამხედა და მითხრა, მაგას ეგ ფეხსაცმელები არ უხდება და აი, შენ ახალი და ხარისხიანი, მოუხდებოა. სახლში რომ მივედი, სარკეში ჩაიხედე, ის დაფშალებული სარკე რომ მაქ, ხომ იცით, იმაშიც კი გამოჩნდა, რომ არც შარვალი არ უხდებოდა, მერე აღმოვაჩინე, რომ შარვალი, არც პერანგი მოუხდებოდა, რაც მაცვია და არც ეს დაძ-



ველბული პიჯაკი, არც ის ჯემპრი - ძალიან რო მიყვარს, მაგრამ დაძინილია უკვე... ეგრე რომ გავუყვიე, არც ეს გაცვეთილი ტყავის ჩანთა უხდება, ამდენი ხანია რომ დამაქვს... არც ფეხით სიარული მოუხდება, მანქანაა საჭირო, მანქანით თუ ვივლი, არც ის სახლი მომიხდება და აბა წარმოიდგინეთ საზრუნავი და საფიქრალი მიჩნდება, მანქანას სანავი უნდა, სახლს რემონტი და მოწყობა... სადამდე უნდა მივიდე, სულ სხვა რამეზე მომიწევს ფიქრი, ცხოვრების შეცვლა... შოდა, ავდექი და ჩემს ახლობლებს ვაჩუქე და დავისვენე, სანამ შემიტოპავსო.

ვანო და შვიდი ნიკო

ერთხელ ნიკო შვიდი იყო. ვანო კი ერთი იყო და თანაც პატარა. ერთმა ნიკომ ვანო გაზარდა და თქვა - ვანო ჩემიაო.

მეორე ნიკომ ტანთ ჩააცვა და თქვა - ვანო ჩემიაო.

მესამე ნიკომ არც გაზარდა და არც ჩააცვა და მაინც თქვა - ჩემიაო ვანო.

მეოთხე ნიკომ ქუდი დაახურა. ქუდი ცოტა დიდი მოუვიდა ვანოს, რადგან პატარა იყო ვანო, მაგრამ მეოთხე ნიკო ვანოს მაინც იჩემებდა.

მეხუთე ნიკო ყველა ნიკოზე ღონიერი იყო და თქვა - ვანო ჩემიაო.

მეექვსე ნიკო, მართალია, არაფერს ამბობდა, მაგრამ ამით ის უნდოდა ეთქვა, რომ ვანო მისი იყო.

მეშვიდე ნიკო ვანოს მასწავლებელი იყო და ბევრი რამე ასწავლა ვანოს, მაგრამ ბოლოს ისიც უნდოდა ესწავლებინა, რომ ვანო სწორედ მისი იყო.


ვანო პატარა იყო და თანაც ერთი და აბა, საიდან უნდა სცოდნოდა, ვისი იყო. ხან ერთ ნიკოს ეუბნებოდა, შენი ვარ, ხან მეორე ნიკოს ეუბნებოდა, შენი ვარ, ხან მესამე ნიკოს ეუბნებოდა, შენი,

და ხან ყველას ერთად ეუბნებოდა, თქვენი ვარო. ერთხელ ვანო წავიდა და დიდი მუხის ქვეშ ამოჯდა და ჩაფიქრდა:

„ვისი ვარ?“

ნინო დადგანი და ირმა ჩუბინიძე, ჯარჯი აქიმიძე, ქეთი პატარაია, ალბათ იმ იშვიათ ადამიანებს შორის არიან, ვინც ერლომ ახვლედიანთან სიცოცხლის ბოლომდე იყვნენ. ბოლოს ძალიან შეეცვალა ჯანმრთელობა, მცდელობა ჰქონდა, მონასტერში დარჩენილიყო, იქაც ვერ იმოვა სიმშვიდე, თუმცა ძალიან რელიგიური იყო. ხანდახან წინააღმდეგობაში ვარდებოდა, ერთხელ მითხრა, შეიძლება ჩემი პრობლემები იქიდან მოდის, რომ მე ზედმეტი ავიღე ჩემს თავზე და არ ვარ ღირსი, რომ სასულიერო პირივით ვიქადაგო, თუმცა რაღაც მოთხრობის თუ სცენარის განხილვისას, უცებ თქვა, აი ეს ქალაღდის ნაკუნი რომ აქ დევს, ეგეც ღმერთისგან არისო, ცოტა გავოგნდით და განმარტა, აბა, დაუკვირდით, ამ ქალაღდის აქ მოხვედრის მიზეზებს, გაჰყვიერებოდა უკან ცხოვრებას და თუ არ მიხვალთ ღმერთამდებო... ამ შემთხვევას ხშირად ვიყენებ ხოლმე კამათისას. მიუხედავად ასეთი რელიგიურობისა, არასოდეს იყო დაჟინებული და არასოდეს უცდია რამე თავს მოეხვია.

ჯარჯი აქიმიძე ჰყვებოდა სახალისო ისტორიას, როგორ იცილებდა თავიდან სამუშაო პროცესს სალოცავად წასვლის მომიზეზებით. ჯარჯისთან, ალვანში წავიდნენ სამუშაოდ, ის კი დადგებოდა ფეხით გზას ალავერდამდე, მიუსწრებდა წირვის ბოლოს, მერე დაბრუნდებოდა უკან დალილი, მერე ისევ საღამოს ლოცვაზე წავიდოდა, ისევ ძლივს მიუსწრებდა ბოლოს, ფეხით ბრუნდებოდა, დალილი ივანშემედა და მერე ეძინებოდა, არ დაუმთავრებიათ მაშინ ის პიესა, ასე ბოლომდე აიცდია თავიდან.



უკანასკნელ პერიოდში მართლაც აღარ წერდა სცენარებს, რაღაცნაირად ინტერესი დაკარგა, თავის მონაფეებს აძლევდა უფრო მიმართულებებს.

ძალიან განიცადა ზუთა ფენიას სიკვდილი.

ძალიან განიცადა დათო ჯავახიშვილის წასვლა, დათოსთან სულ რწმენაზე ჰქონდა კამათი, პანაშვიდზე ვერლომი ყველა ხატს დალაპარაკებია, აი, ასე, ყველა წმინდანთან ილაპარაკა და ურთიერთობა გაარკვეა. ბოლოს ირმას და ნინოს უთხრა, რომ დათოს მაინც სწამდა ლმერთისო.

ერლომი თავისი ცხოვრების წესით საოცრად მიმტვევებელი იყო, თავისი ახლოობებისთვის, ვინც ძალიან უყვარდა, ისეთი უპატიებია, სხვა ნამდვილად ვერ მოახერხებდა, თუ მსგავსი სულის სიძლიერე არ ექნებოდა. მეგობრებიც კი საყვედურობდნენ ასეთ მიმტვევლობაზე, თუმცა ეს ერლომისთვის ალბათ ცხოვრების სულ სხვა შრე იყო, რასაც რიგითი ადამიანები ვერასოდეს მივხვდებით.

ვანო და ნიკო და ვალი

ერთხელ ვანო ნიკოზე ოცი წლით უფროსი იყო...

ნიკოს ვანოს ვალი ჰქონდა, მაგრამ ნიკო ვანოს სულ ატყუებდა: დღეს ეუბნებოდა, ხვალ მოდიო, ხვალ ეუბნებოდა, ხვალ მოდიო და ყოველდღე ეუბნებოდა, ხვალ მოდიო.

ვანოს სწყენდა, ნიკო რომ ატყუებდა, და ფიქრობდა: „თუ შეუძლია ვადამიხადოს - ვადამიხადოს, თუ არ შეუძლია ვადამიხადოს, რატომ მატყუებს? პირდაპირ მითხრას და ვათავებუა“.

მაგრამ ნიკო პირდაპირ არ ეუბნებოდა და თუ ეუბნებოდა, ეუბნებოდა, ხვალ მოდიო.

„თუ ხვალაც მითხრა, ხვალ მოდიო, ავდგები და წყენით შევხედავ. მაშინ ხომ მიხვდება, რომ მწყინს, რომ მატყუებს“.

.....

„ხვალ არ მოვალ, მოვალ ზეგ და თუ ჩემი ვალი არ დამიბრუნე, დაგეწევი. ტყუილად კი არ ვარ შენზე ოცი წლით უმცროსი!“ - და წამოვიდა.

მეორე დღეს ვანო არ მივიდა ნიკოსთან და მთელი დღე დიდ ქვას არჩევდა მისთვის.

მესამე დღეს ვანო მივიდა ნიკოსთან.

- გამარჯობა! - მიესალმა ნიკო.

- გავიმარჯვოს! - უპასუხა ვანომ.

- რისთვის მოსულხარ? - ჰკითხა ნიკომ.

- შენ ჩემი ვალი გმართებს, - უპასუხა ვანომ.

- ხვალ...

- რაო?!

- ხვალ...

- რაო?!

- ხვალ ნუ მოხვალ... დღეს მოგცემ შენს ვალს.

- ნიკო, მაპატიე, რომ შეგაწუხე... შენ ხომ ჩემ-

ზე ოცი წლით უფროსი ხარ...

ნიკომ ვანოს ვალი დაუბრუნა.

რაღაცნაირი სევდა ამყავა ამ ამბების წერისას, ყველაფერი გამახსენდა, გამახსენდა რომ ჩემს ცხოვრებაში ალბათ პირველად და უკანასკნელად შევხვდი ნამდვილ სალოსს, რომელიც ძალიან ბევრს

ენოდა და ხელის გულზე იფერფლებდა, რომლის გარდაცვალების შემდეგ მის წერილებში აღმოჩნდა, რომ საოცრად ბობოქარი ცხოვრებით უცხოვრია და მუდამ შეყვარებული იყო.

რომლის დაბნეულობა მთელი თბილისისთვის ცნობილი იყო, პურის საყიდლად სახლიდან გასული, სამი დღე დაკარგული, ერთი ოჯახიდან მეორეში პატივ-პატივით გადასული და მერე სახლისთვის ძაღვს მიუგნია.

ერთი ქეიფისას ძალიან ბევრი დაელია, მეორე დღეს ბოდიშის მოსახდელად მივიდა იმ ოჯახში, გუშინ ზედმეტი მომივიდა, ბოდიში მიინდა მოგიხადოთო და ისე იმდენი დალიეს, მესამე დღეს უკვე ბოდიშის მოხდის შერცხვა.

ამბების თამაშით წერას გვასწავლიდა და თვითნაც ასე თამაშით წერდა თავის ტრაგიკულ ცხოვრებას.

ღიმილით ამბობდა, ცხოვრება ხანდახან ისეთ უცნაურ ამბებს გთავაზობს, არავინ დაგიჯერებს ყველაფერი რომ დაწერო, ამიტომ მოიგონეთო.

იმასაც ამბობდა ცოტა გაბრაზებული, ძალადობა ცუდი მარტო იმიტომ კი არ არის, რომ ძალადობაა, არამედ იმიტომ, რომ ძალადობა იწვევს ძალადობას და ის კიდევ სხვას და მთელი ჯაჭვი ემბება, სანამ ვინმე ძალას არ გამოიწვევს და ამ ძალადობის ჯაჭვს არ განწყვეტსო.

ზურა კიკნაძემ ღიმილით თქვა მის საფლავზე, ფოლკლორულ მეგამათებოდა და მგონი არ ჰქონდა წაკითხული ან ჰქონდა წაკითხული და ყველაზე უცნაურად ესმოდაო.

ბოლო პერიოდში მე ზურაბ კიკნაძესთან კამათი მომივიდა, ვერ დაემთხვა ჩემი აზრები მისას და ერლომი რომ გამახსენდა, ბოდიში მოვუხადე, მე შეიძლებოდა იმ კავშირების შემდეგ ეს მინიერი კამათები, ახლა აქედანაც ვუხბი ბოდიშს, ერლომს ეწყინებოდა.

ვინც მას იცნობდა, ალბათ ყველას თავის ერლომი ჰყავდა და თავისი ისტორიები ჰქონდა. ალბათ არ მიწყენენ, სხვა ამბები თავად გაიხსენონ.

ჰოდა, ერლომი აუცილებლად მეტყუოდა სცივლით, ეს რა ამბები მოგიყოლიათ ჩემზე, რაები გამოგიგონიათ, ეს მე არ ვარ ბიჭო... მადლობა უთხარო, ბიჭო, ყველასო.

მადლობა, ბატონო ერლომ.


შენი იყოს!

ვანო და ნიკო ქვეყნად დადიოდნენ და უყვართ ეს ქვეყანა. ადიოდნენ მთებზე, მაღალ მწვერვლებზე. მწვერვლებიდან ჩამოდდიოდნენ ველად, კრეფდნენ ყვევილებს და უხაროდათ ჭრელ-ჭრელი ყვევილები. დადიოდნენ გაუვალ ტყეებს. უცქერდნენ მზეს და უხაროდათ მაღალი მზე. კრეფდნენ ხეთა ნაყოფს. თესავდნენ პურს. მკიდნენ პურს. შუქვინდნენ ნისქვილში და იქ მთელი ღამე ზღაპრების ნაცვლად მართლად ჰყვებოდნენ...

ვანო და ნიკო ქვეყნად დადიოდნენ და უხაროდათ ეს ქვეყანა.

ნანა კობაიძე

ელზა ახვლედიანი - ცხოვრება მარკესთან ერთად



„მარკესი წავიღეთ, სარტრი, კამიუ და კორტასარი, კაფკას
ორტომეული. ყველა წიგნი თითქმის ახალი, კარგად შენახუ-
ლი. ტომას ვულფისთვის, ბორხესისთვის და ჰემინგუეისთვის
ხელი არ გვიხლია“.

ზაალ სამადაშვილი, „წიგნების გასაყიდად წასვლა“

ისე მოხდა, რომ შარშანდელი წიგნის ბაზრობიდან ბოლო დროს დაბეჭდილ მარკეებთან ერთად, ზაალ სამადაშვილის „ავტობიოგრაფიული წიგნების ფონზე“ წამოიკვრა - ჯიბის ფორმატი, „დივენსი“ 2006 წლის გამოცემა. იმ დროს კოლუმბიელი მწერლის ქართულ მთარგმნელთან, ელზა ახვლედიანთან ინტერვიუ ახალი ჩანერლი მქონდა და გონებაში, ძირითადად, ეს ავტორი მიტრიალებდა. ამიტომაც არ გამკვირვებია (უფრო - გამიხარდა), როდესაც ერთ-ერთ მინიატურაში მარკეის სახელი შემომხვდა.

ჩანახატს „კვლავაც მოდური სილუეტები“ ჰქვია და 60-70-იანების თილისური ცხოვრების ერთგვარი კულტურულ-ესთეტიკური მანიფესტია. მისი მოცტრო აზნატი კოლუმბიელი მწერლის ყველაზე ცნობილ რომანს ეძღვნება:

„მარტოობის ასი წელიწადი“ ახალი გამოქვეყნებული გახლდათ. ჩვენ მას ძნელად მოსაპოვებელ რუსულ ჟურნალ „Иностранная литература“-ში ვკითხულობდით და ვრცელი ტექსტის დიდი სიამოვნებით შთანთქმის შემდეგ ერთმანეთს ვეჯიბრებოდით პირველი აზნატის სწორად წარმოთქმაში. გემახსოვრებთ ალბათ: „გავა მრავალი წელი და პოლკოვნიკი უკვლავიანო ბუენდია, დახვრები მხოლოდნო, აუღვლათ მდგარი...“

წლების შემდეგ პირველი აზნატის სწორად წარმოთქმაში ერთმანეთს კიდევ ბევრი თაობის მკითხველები შეეჯიბრებიან, „მარტოობის ასი წელიწადის“ დასახელები კი ხელდასვა ეპოქის ყველაზე ცნობილ ლიტერატურულ დასაწყისებში შევა. ქართულ ენაზე ეს სტრიქონები (რასაკვირველია, რომანთან ერთად) ელზა ახვლედიანის ბრწყინვალე თარგმანის წყალობით, გამოჩენულ მოვლენად იქცა.

ოთხი წელი მაკონდომი

თავის დროზე ამ ტექსტმა ისევე შეაზანზარა მაშინდელი მსოფლიოს ლიტერატურული სამყარო, როგორც თითქმის იმავე პერიოდში მუსიკალური აუდიტორია - „ბიტლზმა“. ეს იყო დიდი ცვლილებების ეპოქა, რომლის ექო ვაკეტელ საბჭოთა კავშირშიც შემოიჭრა. რომანი გააქმლევებით „ინსტრანსკაში“ იბეჭდებოდა და ხელდასვა ხელში გადადიოდა. თუმცა, მარკეის მიმართ შედარებით ლიბერალური განწყობის მიუხედავად (მოგვიანებით სტუმრადიც ჩამოვიდა), ცენზურამ საბჭოთა მკითხველის „მორალი“ ღირებულებებზე ირუნდა და რომანი ეროტიკული მონაკვეთებისგან გაათავისუფლა. მარკეის ამას გვარინადად გაუბრაზებია, მით უფრო, რომ დიდად მიზნადეული არც რუსულ გამოცემაში გადახდილი ჰონორარი აღმოჩნდა. თუმცა წლების შემდეგ, როდესაც ცენზურა შედარებით შერბილდა, დაწუნებული ადგილები ტექსტში ისევ დააბრუნეს. აკრძალვებს ვერც ქართული თარგმანი გადაურჩა. მთარგმნელი ამბობს, რომ ამჟამინდელი ეპიზოდების ნაცვლად მრავალნერტილების ჩასმა ურჩიეს. თუმცა ეს იყო მოგვიანებით. მანამდე კი რომანის პირველნაკითხვით მოგვირეილი შთაბეჭდილება ასსენდება:

„მარკეის რუსულად 1975 წელს წავიკითხე. პირველივე აზნატთან მიხვდი, ტექსტში რაღაც უცნაური ხდებოდა. თარგმანში მომიხდა. მოსკოვის საერთაშორისო ნიბლოთიკიდან ორიგინალი გამოვიტხოვე. ამასობაში ვახტანგ ჭელიძემ დამიხარა და რომანის ვადმოქართულება მთხოვა. ასლი გადავიღე და სასწრაფოდ დაიწყე მუშაობა. დავეძგერე. მაინც რა არის ახალგაზრდობა!“

ამბობს, რომ მიმედ თარგმნის - ბევრი დრო სჭირდება. დასრულების შემდეგ ტექსტი შეიძლება ერთი წელი დოს სახლში - გამუდმებით ჩხრიკავს და ჩხრიკავს. მარკეს ორწელიწად-ნახევარი მოანდომა. მერე ერთხანს კიდევ „დაასვენა.“ საბოლოოდ, მაკონდომი ყოფნა ოთხი წელი გაუჭრძელდა.

თავად მარკეის წელიწადი და რვა თვე წერდა რომანს - ვალების გამო დაჩქარებულ ტემპში მუშაობდა. ცნობილი ისტორიაა, მისი თუღულე, მერსედეს ბარანი დროდარო როგორ ყიდდა ოჯახს დასვენებას, თავი რომ გადაერჩინათ. თან ყოველჯერზე სთხოვდა მევალებებს, ცოტაც ეცლიათ. სულ ბოლოს ყველაზე ძვირფასის - მწერლის ავტომობილისა და საკუთარი თმის საშრობის დათმობა მოუწინა, თუმცა შედეგი ამაღ ღირდა - „მარტოობის ასმა წელიწადმა“ ნამდვილი ლიტერატურული ქარიშხალი გამოიწვია.

„რომანი მეტაფორებითაა სახვე და თავადვე ერთი დიდი მეტაფორაა. ჟურნალში „ამერიკა ლატინა“, რომელიც ჩვენთანაც შემოდიოდა, ერთი მარკესოლოგი წერდა: შეიძლება წლები გავიდე და ამ მეტაფორების მნიშვნელობა ვერ გაავლო. თავად მარკეის უარყოფდა ტექსტში მათ არსებობას, თუმცა მკითხველს ინტერპრეტაციის უფლებას ვერ წაართმევდა. ამას ემატებოდა რეალობასა და ფანტასტიკას შორის წაშლილი ზღვარი, რაც კიდევ უფრო ართულებდა კომპოზიციურად და სტილისტურად ისედაც რთულ ნაწარმოებზე მუშაობას. ძალიან ძნელი იყო იმ დროს ამ ყველაფერში გარკვევა.“

ერთ პატარა ეპიზოდში იპოვიან კაცს, რომელსაც ზურგზე ფრთების ნაკვალავი აწნდა - ვიღაცა ნაუჭრია. ვინ იტყვის, რა არის ეს სახეობა, რისთვის შემოიჭრა ავტორმა? კარგა ხანს ვერ ვივებდი. მერე რუსეთში გამოიცა ესპანური ტექსტი არაჩვეულებრივი განმარტებებით, რომელიც ძალიან დამეხმარა მუშაობისას. იქ ამოვიკითხე - ზღაპრის პერსონაჟი ყოფილა.“

დღევანდელობისგან განსხვავებით, სადაც მთარგმნელებს ფაქტების გადამოწმების უამრავი საშუალება აქვთ, „უფუგლო“ ეპოქაში ეს როლი წიგნებითაა ერთად, კონკრეტულ ადამიანებსაც ნიჭიბობდათ. მისთვის ასეთი იყო ესპანურის პედაგოგი, ვერა გრიგორიენა, ეროვნებით - რუსი, რომელიც ძალიან ეხმარებოდა, განსაკუთრებით, თქმულებების და ისტორიის კუთხით. თარგმნის პარალელურად, თავადაც სულ ენციკლოპედიებში იქებებოდა - ისტორიის დეტალები აინტერესებდა. მაგალი-

თად, იყო თუ არა კოლუმბიაში ამდენი სამოქალაქო ომი („ოცდათორმეტი ომი წამოიწყო აურელიანო ბუენდიამ და ოცდათორმეტიცედი დამარცხდა“).

ტექსტის ნახევარს რომ ვასცემა, დამშვიდდა. მიუხედავად იმისა, რომ ხელით წერდა და სულ გადანერაში იყო, პროცესი დიდ საიმონებს ანიჭებდა. მაგდისთან იჯდა და კითხულობდა. რიტმიდან ამოვარდნილ მონაკვეთებს აშლამინებდა. მუშაობდა სხვადასხვა ადგილსა და პირობებში: ავარაჯზე - ბავშვებთან ერთად, საავადმყოფოში... ღამე იყო მისი ხსნა - ღამე თარგმნიდა. კიკეთში ყველაზე გვიან ვნებებოდი და აღერე ვდგებოდიო. სამ საათზე დაძინებული დილის ხუთზე წყლის რიგში იდგა. ამასობაში საქმე წინ მიინევიდა: ტექსტი გაგრძელდებოდა „საუზუნში“ იბეჭდებოდა, წინადაკე 1984 წელს გამოვიდა.

მარკესი ამბობს, რომ 17 წლისას გაუჩნდა რომანის შექმნის იდეა და მხოლოდ ოცი წლის შემდეგ დაწერა. მთელი ეს დრო თხრობის ინტონაციას ეძებდა. არანაკლებ რთული აღმოჩნდა ამ ინტონაციის ქართულ ენაზე მიგნება. განსაკუთრებით, პირველი ფრაზების, რომელთაც უნდა განესაზღვრა ტექსტის მელოდია: „გაივლის წლები და დაბრუნდება მთლიანიმნი კედელთან ადგილი პოლკოვნიკი აურელიანი ბუენდი იმ შორეულ საღამოს გაიხსენებს, მამამისმა ყინულის სანახავად რომ წაიყვანა პირველად“.

„თითქოს ზღაპრის დასაწყისია. ამბობს კიდევ, - გავიხსენე, ბებიაჩემი როგორ მიყვებოდა ზღაპრებს და თავადაც ისე იწყებს. სხვათა შორის, თავიდან ვფიქრობდი, კაცი დახვრეტის მოლოდინშია და არც ცოლი ჰყავს, არც შეყვარებული ან ოჯახი, რომ მაინცდამაინც ყინული გაახსენდამეთქი?! მიხვდები, რაღაც სხვა ხდებოდა. დიდხანს ვინჯავდი, ხან ასე მიუფიქრო, ხან ისე. ერთხელაც თავისით მოვიდა - „გაივლის წლები და“... თითქოს ბავშვებს ვუამბობდი. მერე მიყვირიდა მიყვირი“.

სათაურიდან გამომდინარე და ერთი შესხედვითაც, ეს წიგნი მარტოობაზეა, თუმცა ჰგონია, რომ მარკესის ჩანაფიქრი მარტოობას და საზოგადოებიდან გარიყვას ეწინააღმდეგება. ამაზე პერსონაჟების სიმარტოველი მიანიშნებს. აურელიანობის, ხოც არეკადობის, ურსულუების და სხვათა ქაოსში რომ არ ახლართულიყო, სპეციალური სქემა შექმნა, თუმცა მთავარი სირთულე მაინც სხვა რამეა.

„იმ დროს გავრცელებულ ტრადიციულ რომანში შედარებით, აქ სიმართლის ნატაქალიც არ გვაქვს. მწერლის საიდუმლო რეალობის სხვაგვარად აღქმაშია. ამიტომ ვამბობ - ეს თხზულება ერთი დიდი მეტაფორაა. ბევრი ვერ იცებს. ზოგი ამბობს, რომ სინათლის იმპულსი არ ჩანს. ზოგს სიმძიმეს უტოვებს გულში, მაგრამ შეიძლება, ავტორს სწორედ ეს უნდოდა“.

კიდევ ერთი სირთულე ნაწარმოების მელოდიურობა და თარგმანი მისი ადეკვატურად გადმოტანაა. სხვათა შორის, მარკესს ერთგვარი დაუკმაყოფილებლობის გრძობა ჰქონდა: მევალებებს რომ

არ შეეწუნებინე და მეტი დრო მქონოდა, უკეთესად დაგწერდიო. თუმცა ორიგინალის კითხვამ მთარგმნელს ეს განცდა არ დაუტოვა. მეტიც - ალაფრონიანა ტექსტის მუსიკალობაზე.

ავტობიოგრაფიულ წიგნში - „იცხოვრო, რათა მოჰყვე“, მარკესი ამბობს: იმ პერიოდში, როდესაც წერას ვინწყებდი, მთელი ადგილობრივი შემოქმედება პოეზიით იყო გამსჭვალული და რა უცნაურია, რომ კალამმა პროზისკენ გამიწიაო. როგორც ჩანს, პოეზიისკენ ლტოლვა და სიყვარული (ძალიან კარგად იცოდა ესპანურენოვანი პოეზია და ლექსებს თავადაც წერდა) მის ადრეულ რომანებში პოეტურ პროზად გარდაიქმნა.

„მარკესი ენის, ფრაზის დიდოსტატია. საერთოდაც, პოეზიის რიტმს მიჰყვება. მე პირადად ყველა თარგმანში ვეძებ მელოდიას და გამახარდა, როდესაც ჩემმა შვილიშვილმა ინტერნეტში იპოვა წერილი, რომლის ავტორი თარგმანის მუსიკამ მოხიბლა. არ ვიცი, სხვა ენებზე როგორ ყურს, მაგრამ ის, რომ რიტმული ტექსტია და პოეზიის კანონებს მისდევს, მარკესიც აღიარებდა. მუშაობისას ზუსტად ვხვდებოდი, სადა აკლდა სიტყვა. ისეთი სიტყვა უნდა ჩამესვა, ახორი არ შეეცვალა. ეს კი მთელი ფრაზის გადაკეთებას ითხოვდა - მთლიანობა ირრეკოდა, მახვილი სხვაგან გადადიოდა... უმძიმესი შრომაა.“ ამ შრომის შედეგია, რომ წლების შემდეგ, როდესაც საკუთარ თარგმანებს კითხულობს, არაფრის შეცვლა აღარ უნდება.

„ამას წინათ გამოცემილობა „სიესტამ“ ანა მარია მატუტეს ტრილოგიის გამოცემა გადწყვიტა, რომლის ერთი წიგნი - „ჯარისკაცები ტორიან ღამით“ დიდი ხნის წინ, მარკესამდე ვთარგმნე ესპანურიდან. ვთხოვე, დაბეჭდვამდე ეჩვენებინათ. წავიკითხე და 40 წლის წინ ნათარგმნ ტექსტში არაფერი ჩამიხსრობდა. საკუთარი თავი შევაქე კიდევ (ელიმება - ნ. კ.). მარკესთან უფრო რთულადაა საქმე - ხასიათი თუ არ დაიჭირე, არაფერი გამოგივა. უამრავი დეტალია, ენობრივი პორტრეტი: ზოგი ჟარგონით ლაპარაკობს, ზოგი სოფლურად უქცევს, ზოგი - დახვეწილია. ბევრი ვიმრობე, მაგრამ გამოცემილობაში მიტანის შემდეგ არაფრის შესწორება აღარ იყო საჭირო - მუშაობა დასრულდა.

„მერანში“ ვინც კი წაიკითხა ტექსტი, ყველა აღტაცებული დარჩა. მახსოვს, ნიკა ავაიშვილი, რომელმაც „სიერვანტესის ცხოვრება“ თარგმნა, თავისი წიგნი მაჩუქა. მაშინ კიდევ უფრო მოკრძალებული ვიყავი. იმის მიუხედავად, რომ რამდენიმე ნაწარმოებში მქონდა ნათარგმნი, ბევრმა არ იცოდა ჩემი არსებობა. მარკესმა განსაკუთრებული სახელი მომიტანა, მაგრამ ამ ყველაფერს გაუურბოდი - არ მომწონდა საჯაროობა“.

პატრიარქის შემოდგომა

„პატრიარქის შემოდგომა“ მარკესის კიდევ ერთი გამოჩენილი რომანია, რომლის წერა 1968



ნელს დაიწყო. ეგონა, სამ წელიწადში დაამთავრდება, თუმცა მხოლოდ 1975 წელს გამოცა. ამ წინას განმარტობაში მწერალმა ტექსტი არაერთხელ გადააკეთა: წიგნი აბსოლუტური ძალაუფლების შესახებ იმაზე ბევრად უფრო რთული სამუშაო აღმოჩნდა, ვიდრე წარმოადგენდა.

დიქტატორის თემა მარკესს კარგა ხანია აღელვებდა - ჯერ კიდევ 1958 წლიდან, როდესაც ჟურნალისტად მუშაობისას ვენესუელაში პრეზიდენტ პერეს ხიმენესის დამხობის მოწმე გახდა. როგორც ჩანს, ეს საკითხი მის თანამოკავშირეებსაც აწუხებდათ. ერთ-ერთ ინტერვიუში პერუელი მწერალი და ნობელის პრემიის ლაურეატი მარიო ვარგას ლოსა აღწერს 1960-იანი წლების ბოლოს ახალგაზრდა მწერლების შეხვედრის ლათინური ამერიკის სხვადასხვა ქვეყნიდან, სადაც გაჩნდა იდეა, დაეწერათ თითო მოთხრობა „თავიანთი“ დიქტატორის შესახებ, შემდეგ კი ეს ყველაფერი წიგნად შეკრათ: „ფუნქციონირებს სანტა ანაზე ვერდა, ვარსია მარკესი როხას პინილას შესახებ; ჩემი დიქტატორი იყო სანჩეს სერო ან შესაძლოა, ოდრიას; როა ბასტოსის „გმირი“ - დიქტორი ფრანსისა, კარპენტერის - პატისტა და ა.შ.“ - იხსენებს ლოსა მოგვიანებით.

ლაპარაკია 1967 წელს კარაკასში გამართულ კონფერენციაზე, სადაც ახალგაზრდა მწერლები, რომელთაც 1960-70 წლებში ლათინოამერიკული ლიტერატურის აღმავლობას ჩაუყარეს საფუძველი (ე.წ. „ლათინოამერიკული ბუმი“), შეთანხმდნენ, რომ არქტიკული ლათინოამერიკელი დიქტატორის შესახებ დაწერდნენ რომანს. საბოლოოდ, ეს პროექტი ვერ განხორციელდა, თუმცა ერთგვარი ბიძგი მისცა დიდ წიგნებს, მათ შორის, აუგუსტო როა ბასტოსის, ალესო კარპენტერის, მარიო ვარგას ლოსას, კარლოს ფუნტესის და, რა თქმა უნდა, გაბრიელ გარსია მარკესის ტექსტებს დიქტატურაზე. „პატრიარქის შემოდგომა“ თავისი სიღრმით და მასშტაბით ერთ-ერთი საუკეთესოა.

მიუხედავად ამისა, პუბლიკამ ნაწარმოები ერთგვარი სიფრთხილით მიიღო - მარკესის ახალი ქმნილება „მარტოობის ასი წელიწადისაგან“ სრულად განსხვავდებოდა. თუმცა ცხადია იყო, საეტაო ტექსტი შეიქმნა: მრავალმხრივი და ამასთან, შემზარავი, რომელიც თავს უყრიდა დიქტატურის თანამდევ ყველა შესაძლო კომპარს.

ქართულ თარგმანს, ცოტა არ იყოს, დაავიანდა - წიგნად აკინძული მხოლოდ 2006-ში იხილა მკითხველმა („სიესტას“ გამოცემა), თუმცა ნაწყვეტები „ლიტერატურულ საქართველოში“, „საუნჯესა“ და „განათიადში“ 2004 წელს იბეჭდებოდა. 2007 წელს საუკეთესო თარგმანის ნომინაციაში პრემია „გალა“ დაიმსახურა. 2021-ში ხელმოწერა გამოსცა „ინტელექტა“.

„დენის ქსეროასი ჩემმა მეგობარმა გამოგზავნა - მისი თარგმნა ძალიან მინდოდა. თავიდანვე ესპანურად წავიკითხე და იქ მოთხრობილმა ამბებმა შემაძრწუნა. სხვათა შორის, „მარტოობის ასი წელიწადი“ ყოველთვის უფრო პო-

პულარული რომანი იყო. სულ ცდილობდნენ მის გამოცემას, „პატრიარქის შემოდგომა“ კი უფრო ადრეობად რჩებოდა. არადა, უდიდესი ტექსტია, პირველ რიგში, მხატვრულობის თვალსაზრისით, მიუხედავად იმისა, რომ დიალოგი არ არის, სასენი ნიშნებიდან მხოლოდ წერტილი და მიძიმე გვეხვება, გვირდები ვადამდეგობით - სული გეხუთება... იმდენი პერსონაჟია, ჯერ მარტო გენერლები, ელჩები; ერთმანეთზე დამორგუნველი ამბები და ისტორია...

ვასული საუკუნის 40-იანი წლების ესპანურენოვან ლიტერატურაში ძალუმად მოიკიდა ფეხი ტრემენდიმმა, რაც სასტიკი რეალობის ნატურალიზტად გადმოცემას გულისხმობს. „პატრიარქის შემოდგომა“ („სასტიკი რომანია, მაგრამ რანაირად წერს?! აქ ხომ ისტორიული მოვლენებია ასახული, ხომ ნამდვილად არსებობდნენ ეს სახიელი პრეზიდენტები, ტარანები?!” სწორედ მათზე მოგვიხსრობს მარკესი, თუმცა ამ ყველაფერს დოკუმენტურად, ფოტოგრაფის სიზუსტით კი არ აღწერს, მხატვრულ მოდელებს ქმნის. „პატრიარქის შემოდგომაში“ ის მართლაც დილოსტაა და.

ზემოთაღნიშნული სიმძიმისა და სისასტიკის მიუხედავად, წიგნი მძაფრ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე. უპირველესად, იმ მხატვრული ხერხებისა და ოსტატობის წყალობით, რითაც ავტორი დიქტატურის შემზარაობაზე გვიყვება.

„ყველაზე მეტად რაც მაკვირვებს, როგორ განაზოგავდა დიქტატურა და ნამდვილი ამბები, მოვლენები მხატვრულ-ლიტერატურულად გადააქცია; მთავარ გმირში რამდენიმე პრეზიდენტი, რამდენიმე სახე გაერთიანდა. ამიტომაც ის ხან კარტოტი დაიდის, ხან ლითონით, ხანაც რუბენ დარეოს ლექსები ხიბლავს.“

ზოგადად, შემზარავი ნატურაა პრეზიდენტი, რომლის იგუანასებრი მზერა ირველიც მყოფთ თავზარს სცემს. მარკესს მეგობარმა მწერალმა, მარიო ბენედეტიმ უსაყვედურა კიდევ: მერჩია, ამ კაცს ჩვეულებრივი გარეგნობა ჰქონოდა, დაგვეტა ლოსას ტრუხილოს მსგავსი პერსონა, რომელიც მხოლოდ შინაგანად იქნებოდა ცხოველი. აქ კი გარეგნულადაც და შინაგანადაც მოხერხებულად იქნა. მართლაც, სამინილებაა ორას ოცდაათორმეტი წლის დიქტატორის დანახვა, რომელიც სასახლეში სპილოსავით დადის და ყველაფერს აზანზარებს, მორდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით.

ეს ამბები მასზეც მოქმედებდა - ბეირი სხვა მთარგმნელის მსგავსად, იმ პერიოდში პერსონაჟების ცხოვრებით ცხოვრობდა. „თუ „მარტოობის ასი წელიწადის“ ოთხი წელი მაკონდოში გავატარე, „პატრიარქის შემოდგომაზე“ მუშაობისას სულ მის სასახლეში, დედამისის ჩიჭებთან ერთად ვიყავი. ვასული მონაკვეთი, როდესაც ბანკეტზე გენერლის შემწვარ სხეულს შემოატანინებენ? კინალამ გამანადგურა ამ სცენამ.“

მსგავსი სცენები რომანში მრავლადაა. რეა-



ღურად, დიქტატორთა მთელი ცხოვრება ერთი ამპარზე იქნება თუ სცენარია, შემადგენელი პატარ-პატარა ეპიზოდებით, რომლებიც მარკესთან მთავარი გმირის უკეთ წარმოჩენას ემსახურება. მოვლენები დამკვირვებლის პოზიციიდანა და დანახული და მათი მიზანი ნაკლებადაა მსხვერპლის მიმართ თანაგრძნობა. ავტორისთვის გაცილებით მნიშვნელოვანია, პრეზიდენტისადმი რისხვა აღძრას. ამიტომაცაა, რომ კუნძულზე გადასახლებული და შემდეგ გემით ჩაძირული ბავშვების ამბის კითხვისას მათ ბედს კი განიცდი, მაგრამ უფრო ერთპიროვნული მმართველობის საშინელებაზე გეფიქრება. დიქტატორთა ადგილი მათსავე ქვეყანაში, ჩვეულებრივ მოქალაქეთა გვერდით არ არის. ამიტომაც აღმოჩნდება მარკესთან ერთ კუნძულზე, სხვა ყოფილი პრეზიდენტების გარემოცვაში, რომელთა წარმოდგენაშიც ეს კუნძული დროებითი თავშესაფარია. ყოფილები ბოლო წუთებამდე სამშობლოში დიდებით დაბრუნებას ელიან და ეს ილუზორული განწყობა განსაზღვრავს მთელ მათ დარჩენილ ცხოვრებას.

„პატრიარქის შემოდგომის“ სტილი სრულიად განსხვავდება „მარტოობის ასი წელიწადის“ სტილისაგან. როგორც მარკესი ამბობს, „უნდოდა დაენერა წიგნი, რომელიც „მარტოობაზე“ ბევრად უკეთესი იქნებოდა. კრიტიკამ ძალიან კარგად მიიღო რომანი, თუმცა მკითხველის დიდი ნაწილი ბუნდების საგის ერთგული დარჩა. როგორც კრიტიკოსები წერენ, „მარტოობის ასი წელიწადი“ ფართო მკითხველზე გათვლილი ტექსტია, „პატრიარქის შემოდგომა“ - უფრო ინტელექტუალებს ხიბლავთ, თუმცა ეს დაყოფაც, როგორც ბევრი რამ ლიტერატურაში, პირობითია. სინამდვილეში, სულაც არ არის გადაწყვეტი, ვის რა მოსწონს და რომელ რომანს მეტი მკითხველი ჰყავს. ამ შემთხვევაში ის უფრო მნიშვნელოვანია, რომ მარკესი, როგორც ავტორი, ახერხებს სტილისტურ-ფანოზობრივად ორი სხვადასხვა, გამორჩეული ოპუსი შექმნას. თუმცა არის მესამე, ამ ორიგან სრულიად განსხვავებული ტექსტი, სადაც მწერალი პუბლიკის წინაშე სხვა რაკურსით წარდგება. ეს არის „გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა.“

„გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა“

ნანარმოები 1981 წელს დაიწერა და ქართულად 10 წლის შემდეგ ითარგმნა. წიგნი მოგვითხრობს საზოგადოებაზე, რომელიც არაფერი გააკეთა იმისთვის, რომ მთავარი გმირი წინასწარ დაგეგმილი მკვლელობისგან ეხსნა.

რომანს საფუძვლად უდევს ნამდვილი ამბავი, რომელზეც სხვა ავტორს შესაძლოა, დანაშაულის ბანალური ისტორია დაეწერა. მარკესი კი შეეცადა, ერთი შეხედვით, დეტექტიური სიუჟეტის ფსიქოლოგიურ ნიაღვრებად გარდაექმნა და მკითხველისთვის ეჩვენებინა, თუ როგორ შეიძლება გულგრილობამ და სეირის მაყურებელი ბრზის ფენომენმა სრულიად უდანაშაულო ადამიანის სიკვდილი დააჩქაროს.

„მრავალმხრივი ტექსტია: მხატვრული, სოციალური, ფსიქოლოგიური. ერთგვარი ჟურნალისტური გამოძიებაა, როგორც ადრე ვუნოდებდით. 30 წლის შემდეგ ამ კაცმა გადაწყვიტა ვაეყო, ბოლოს და ბოლოს, რატომ მოკლეს სანტიავო ნაზარი. წიგნი ჩემთვის ჰუმანიზმის აპოთეოზია, მონოდემა თავადობის წინააღმდეგ - თითოეული ადამიანისადმი.“

ამ ყველაფერს ასცდებოდნენ, მეტი ინტერესი რომ გამოეჩინათ და მთავარი გმირი გვეფრთხილებინათ, მაგრამ რა ქნა ხალხმა? მკვლელობის ადგილისკენ გარბოდნენ და ადგილებს იკავებდნენ სეირის სანახავად. ერთი რამ მაინც საოცარია - ნანარმოები სიკვდილის ქრონიკაა და სიცოცხლეზე წერს.“

ტექსტს ხშირად „წინასწარ გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა“ მოიხსენიებენ, თუმცა მარკესმა „გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა“ უწოდა. ეს სიტყვა თითქოს თავისით მოდის: გინდა, „წინასწარ“ თქვა, რადგან იცი, რაც მოხდება.

„სტილიც სხვანაირია - დანურული, შეკუმშული, ვანსხვავებული; ამბავს ყოველთვის ბოლოდან იწყებს. რომ გვგონის, ყველაფერი იცი, პირველივე აბზაციდან გითრევს და უკანასკნელ ფრაზამდე აღარ გეხსნება. მერე რა, რომ მოკლეს სანტიავო ნაზარი - მთავარი, როგორ მოკლეს! აურელიანოსაც ხომ დასაწყისშივე ზეკენენ?! „პატრიარქის შემოდგომაშიც“ ასეა - თავიდანვე მკვდარია და სასახლეში ხალიჩებზე ძროხები დადიან. დასასრულიდან იწყებს თხრობას და ბოლომდე ახერხებს მკითხველის „ხევიანას“. ერთგვარი გამოწვევაა საკუთარი თავისა და ლიტერატურისადმი - თითქოს სურს დაამტკიცოს, რომ ლიტერატურა თხრობის ხელოვნებაა და არა მხოლოდ ამბავი.“

მარკესამდელი ამბები

მარკესამდე იყო ფრანგული ენა და ლიტერატურა. თავიდან უნივერსიტეტი სწავლას ამ მიმართულებით შეუდგა, თუმცა მალევე ესპანურის ახალგაზნის ჯგუფში გადავიდა. მესამე კურსზე

ლექსიკონებით, ალლოთი და კიდევ რალაც გზებით სესარ არკონდას „მადრიდის ღამე“ გამოქართულა, ერთობ პოლიტიკური მოთხრობა. ეს გახლდათ მოსკოვში მცხოვრები ესპანელი მწერალი, რომელიც ფრანკოს რეჟიმს გამოექცა. „ლიტერატურაშია გაზეტაში“ რუსულად ნაიკითხა, ორიგინალი გამოაგზავინა, თარგმნა და „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციაში მიიტანა. იმ პერიოდში ძირითადად გერმანულ-ინგლისურ-ფრანგულიდან თარგმნიდნენ და აღფრთოვანებულმა რედაქტორმა ეს ტექსტი სასწრაფოდ დაბეჭდა. წარმატება მეორედღესვე მოვიდა: ინსტიტუტში რექტორიდან - დამლაგებლამდე, ყველა მას ექებდა.

მოგვიანებით, პედაგოგის რჩევით, ესპანელი მწერლის, ხუან ვალერას „პეპიტა ხიმენესზე“ დაიწყო მუშაობა. დაიწყო და გაჩერდა - ენამ შეაფერხა. „სხვანაირად წერდა ხუან ვალერა - მე-19 საუკუნისთვის დამახასიათებელი სტილით და ენით. რალაც ძველი მეცა ყურში, რომელიც კარგად არ მესმოდა. არადა, მთავარი ამ სიძველის შენარჩუნებაა. ეგ შინაარსი, ხასიათი თუ ვერ გაიგე, არაფერი გამოვივა. მივხვდი, ჯერ არ იყო ამ ტექსტის დრო და გადავდე. მოგვიანებით სულ სხვანაირად ჩავუჯექი. იდიომებზე უკეთ ვიცოდი და ბევრი რამ, რაც მანამდე გაუგებარი იყო, თითქოს განათდა.“

„პეპიტა ხიმენესი“ პირველი მცდელობიდან 10 წლის შემდეგ თარგმნა. ამბობს, რომ გამოჩნეულად უყვარს ეს წიგნი. ის და „პატრიარქის შემოდგომა.“

მოგზაურობა ტექსტის პერსონაჟებთან

თუ ლიტერატურა თხრობის ხელოვნებაა, თარგმანი - მთხრობლის ნაფიქრ-ნააზრევი შეღწევისა და მისი ნაწერის გასივრძელების საშუალებაა. მთარგმნელიც ისეთივე შემოქმედია, როგორც მწერალი, რომელსაც კიდევ უფრო მეტი პასუხისმგებლობა აქვს ავტორისა და მკითხველის წინაშე. სად მთავრდება ავტორი და იწყება მთარგმნელი, ბევრისთვის გამოცანად რჩება, მისთვის კი საინტერესო თავგადასავალია, რომელიც ტექსტის პერსონაჟებთან ერთად მიემგზავრება. მოგზაურობისას სხვა ენაში გადასული წიგნის გმირები საკუთართან ერთად, ამ ენის ელფენაც იძენენ, მთარგმნელის თარგვს ერგებიან.

„მარტონის ასი წელიწადის“ დასაწყისში მელკიადესს, რომლის პორტრეტსაც აღწერს, დიდი შავი სომბრერო ახურავს. ისე ცხადად დავინახე ეს სცენა. მინდობ, ორიგინალის განწყობა რაც შეიძლება ზუსტად ვეგამომეცა და დავწერე: „თითქოს ეხურა ფართოფარფლიანი დიდი შავი ქუდი, რომელიც ვასაფრენად ფრთხვამულია ყვავს უფრო ჰვავდა.“ გვინი, გამომივიდა.“

კიდევ ერთ ეპიზოდში დიდი ხნის უნახავი ხო

სე არკადიო და მელკიადესი დასხდნენ და რაღაცას იხსენებენ. თავიანთ მოგონებებს მტკერი გადამწინდესო - ქართულად „ამბობს“ მარკესი. ასეთ დეტალები ქმნის კარგ თარგმანს და მთარგმნელის პროფესიონალიზმსაც განსაზღვრავს. შეიძლება თუ არა ამის სწავლა?

„არა, ეს ნიჭია - შემოქმედის ხარ. როგორც ლექსის წერას ვერ ასწავლი ადამიანს, ისე ვერ ასწავლი თარგმანსაც. ძალიან რთული საქმეა - მხოლოდ ენის (მათ შორის, მშობლიურისაც) კარგად ცოდნა არ კმარა. საჭიროა სხვა ალღო, მთარგმნელის ალღოს რომ ეძახიან. მე მაგალითად, „ქალბატონ პეპიტას“ არ ვიტყვი. რაღაც უცხოური უნდა ახლდეს: სენიორია, სენიორიო - რათა იგრძნო ორიგინალის სუნთქვა. ტექსტში ყოველთვის ვტოვებ „პატოს“, ოღონდ სქოლიოში მივუთითებ, რომ ესპანეთში კერძო ეზოიანი სახლებისთვის დამახასიათებელი შიდა ეზოებია. ბევრ რამეს ვტოვებ. მნიშვნელოვანია, უცხო გარემო იყოს. ჩანდეს, რომ ამბავი მე-19 საუკუნის ესპანეთში მოხდა. ყველას არ გამოუვა - ამ საქმიანობის უნდა დაიბადო. დალი ფანჯიკიძეს აქვს კარგი ნერვილი, სადაც ამბობს, რომ თარგმანი შემოქმედებაა. რამდენჯერ უშედეგოდ მიმუშავია ფრაზაზე, დამინებებია თავი და მეორე ან მესამე დღეს ამომტივტივევებია გონებაში საჭირო სიტყვა. ძალიან ბევრ შრომას მივთხოვს, მაგრამ მთლიანად ჩავერთვები ხოლმე, ისე მიყვარს!“

ამ „ჩართვას“ სხვადასხვა დრო სჭირდება - წინგს და მთარგმნელს გააჩნია: ზოგიერთზე დიდხანს უნებეს ფიქრი, ზოგი შედარებით იოლად მოწყვება. მთავარია, ზუსტად იგრძნოს იმ ეპოქის სუნთქვა და სტილი, რომელსაც მწერალი ეტება. „თანამედროვე ავტორთან რუსთაველი რომ ვაგახსენებდა და „მორჩბულს“ დანერ, რა თქმა უნდა, კონტექსტიდან ამოგლეჯილი იქნება. თქვი: „ძლევა მოსილი, გამარჯვებული, ბედნიერი“... 21-ე საუკუნეა. ეს იგივეა, ჰემინგუის თარგმნისას გამოიყენო „მუნ“ და „განარ“. ამ სიტყვების წინააღმდეგ კი არ ვარ, უბრალოდ, ყველაფერს თავისი დრო და ადგილი აქვს. სწორედ ეგ არის მთარგმნელის ნიჭი - საუკეთესოდ მთარგმნო ორიგინალს ფრაზა.“

60 წელიწადზე მეტია თარგმნის და მსგავს გადაცდომებს, კალკებს, ბარბარიზმებს საგულდაგულოდ იწერს და ინახავს: ყველას შეიძლება შეცდომა გაეპაროს, დაზღვეული არავინაა.

„ვახტანგ ჭელიძემ, გამორჩეულმა მთარგმნელმა და პიროვნებამ, სელინჯერის „თამაში ჭავჭავის ყანაში“ თარგმანს, რომლის რედაქტორი მე ვიყავი. კითხვისას რამდენიმე ადგილი არ მომიწონა. ერთგან იყო: „შემოვიდა კაცი გაბრაზებული სახით, დაჯდა“ და ა.შ. მაშინვე ვიფიქრე, „გაბრაზებული სახით“ ვერ დაჯდებოდა. უნდა ყოფილიყო - „გაბრაზებული“, ან თუ უფრო გამძლი - „სახეზე სიბრაზე ეტყობოდა.“ რასაკვირველია, ვუთხარი და დამეთანხმა.“

მსგავსი ეპიზოდები მრავლად ახსოვს გამომცემლობებში მუშაობის პერიოდთან. ყველაზე მეტი - 24 წელი „საუნჯეში“ გაატარა: პროზის განყოფილებას ხელმძღვანელობდა. ელზა ინონეს და ელზა ინუნესბსო - ხუმრობდნენ რედაქციამი. კონსტანტინე ლორთქიფანიძე იყო მისი პირველი გზის გამკვეთავი - მან მიიყვანა „ცისკარში“. თავადაც მძივივით აწყობილი ქართული ჰქონდა. ბევრი რამ ასწავლა: რედაქტორები ხართ, იცით, რამდენი შეგიძლიათო?! - ამხნევებდა ახალგაზრდებს.

იმ თაობის მწერლებს და მთარგმნელებს ენასთან სხვაგვარი დამოკიდებულება ჰქონდათ. საქმესაც ზღვრამდასული თავდადებით ეყრდნობდნენ. „ერთხელ მუშაობისას ჩარბთლიმა და სკამიდან გადმოვვარდი. მხარი სულ ჩალურჯებულ იქონდა. თავგანწირვა სჭირდება თარგმანს, სხვანაირად არ გამოდის.“

თავგანწირვა ისიც, რომ არ ჩერდება და ახალ ავტორებს ეძებს. თუმცა, მეორე მხრივ, თარგმანი მისთვის უანგაბადია, რომლის გარემეც ვერ იარსებებს.

„ამ საქმის გარეშე არ შემიძლია. თუ ისე მოხდა, რომ სათარგმნი არ მაქვს, ვეძებ. ახლა პარავგავლი მწერლის, აუგუსტო როა ბასტოსის რომის უფროსი რედაქტორი, რომელსაც „მე, უმაღლესი ხელისუფალი“ ჰქვია. მარკესის და ლიოსას მსგავსად, წამყვანი აქაც სამხრეთ ამერიკის ტირანი პრეზიდენტების თემაა. ლიტერატორები მიიჩნევენ, რომ ეს ტექსტი არაფრით ჩამოუვარდნი „პატრიარქის შემადგომას.“ სქელტანიანი წიგნია და ძალიან მინდა ვთარგმნო. თუ მოვასწარი, რასაკვირველია.“

უნდა მოასწროს, რადგან მკითხველს მისი ნიჭი და გამოცდილება სჭირდება. თუმცა, რამდენი ავტორიც უნდა თარგმნოს, ჩვენთვის კვლავაც მარკესის მთარგმნელად დარჩება, გამორჩეულად კი - „მარტოობის ასი წელიწადის“, რომელსაც უწინდელივით ხშირად არა, მაგრამ ხანდახან მაცინც უბრუნდება.

„რომანში არის ერთი მეორეხარისხოვანი პერსონაჟი, პოლოკონი ხერინელად მარკესი, რომლის პროტოტიპი მწერლის ბაბუაა. ერთად ვაზარდნენ მაკონდოში ის და აურელიანო ბუენდია. აურელიანო ომშია, საველე კარავში, ხერინელად ერთ-ერთ ბრძოლაში დაიჭრა და მაკონდოში ვაგზავნეს განსაკურნებლად. ერთხელაც აურელიანო ურეკავს 20-იანი წლების ტელეფონით, აი ისეთით, ერთი მხარე ხელში რომ გიჭირავს და მეორე - ყურთან. ურეკავს და უყვება, როგორი მძიმე ბრძოლებაა, რა საშიშელი ხოცვა-ჟლეტა, რამდენი კაცი მოკლა. ეს კი, ხერინელად, აქედან პასუხობს: აურელიანო, მაკონდოში წვიმს... თითქოს ეუბნება, რა დროს ბრძოლაა, მაკონდოში ჩამოდი. ვფიქრობ, ამ პატარა ფრაზაში იმალება ნანარქოების არსი: მოვეშვით ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტას, დაეტკბეთ თითოეული წამით.“

ლელა სამნიაშვილი

არქანგელოზებს

ჰეი, ვინ დარჩით მანდ უკვდავები -
 ამოიბრუნეთ ფრთებიდან სახე,
 ვიდრე განკითხვის მარშს დაუკრავენ
 აჩვენეთ დროის მსვლელობის მნახველ
 მრევლს - სხეულები ფანტასტიკური -
 მაგ ღმერთკაცური მიზნების მადლმა -
 მიეციტ მოკვდავ ხალხსაც სტიმული,
 გამოუღვიძეთ სიცოცხლის მადა,
 თორემ წაიღო ამ მოკვდაობამ
 თვალები, გული, სხეული, ტვინი,
 მორჩა როკი და მორჩა გალობა
 ერთი ტემბრი აქვს სცილს და ტირილს
 და მეგობრებიც ისე მიდიან,
 ან უნდა გაჰყვე და ან გაქვავდე,
 გრძნობდე - ნისქეილის ლოდად გვეკიდია,
 სიყვარული რომ ერქვა აქამდე.



საძოვრის ზანტი მერცხლები -
 მთას შეფენიან ფურები -
 მზე თავის თავთავს ძოვს

მზეს როგორ გამოეცალა
 ჩრდილები - ჩვენებურების -
 ვინც გაყოლია დროს

დროს - რა? დრო - თავის ტყავშია -
 არსად წავა და არ მოვა
 მიასრიალებს გზებს

არც სწყურია და არც შია
 არც ჩავა და არც ამოვა
 თუნდაც იცვლიდეს ზნეს

ზოგჯერ მოუვლის სიზანტე -
 ტკივილად გაინელება -
 ნერვად უტოკავს კბილს

ზოგჯერ წამია - სიზმრამდე
 გაიკლანება - ეღვევად
 ბგერის სიჩქარით რბის

ბოლოს - მთები და ტყეცილი
 გზა - ერთმანეთში ეწყობა -
 პარალელური წრფე -

არ კვეთს ერთმანეთს - ამკვეთრებს,
 და ყველა წამი ანწყობა
 და ანგარიში - ფრე.





დეჟავუ

ადვილად ვივინყებთ კატასტროფებს.
ერთი კვირა საკმარისია
და აღარც გვესურს ზედაპირზე დავინახოთ,
რაც ჩაიმაჩნა.

კატასტროფა უერთდება ძველ ლეგენდებს -
ახალ ნარღვნამდე - გველემში არის ისევ
საიმედოდ დაპურებული.
ჩვენ-ჩვენ საქმეებს ვუბრუნდებით,
ჩვენ-ჩვენ ბრძოლებს,
დამარცხებებს და გამარჯვებებს,
მდინარეებიც გუბდებიან ისევ ჭის წყლებში,
თვინიერი მხეცებივით იტრუნებიან,
ვიდრე ეყოფათ მოთმინება,
ვიდრე ყელი არ ამოუვათ ორმო, ჯებირი.

და ასე -
თვალეს ვაცლით ბოლო შემზარავ კადრებს.
ჭირისუფლებს ვუტოვებთ გლოვას.
გველემში არის ისევ საიმედოდ დაპურებული
და ახლა სხვა ზღაპრების დროა.
რაც ზაფხულისგან დარჩა -
გვესურს, რომ ჰგავდეს ახალ თავგადასავალს
სერფინგს, ალპინიზმს, ზღვარს, რომელსაც ერთად გადავალთ.

პერბარიუმიც გავაშენეთ ზღვის ნიჟარაში
გარეთ ტალღების ხმაურია, შიგნით ბაღნარი,
სამეფოები - თაროებზე - ნიგნს თუ გადაშლი -
ვერსად იქნება უკეთესი თავშესაფარი -
რომელიმეში გამოჩნდება კოჰკი მალალი,
რომელიმეში ნაპრალი და ვინრო სანგარი,
გზა არ დაგკარგავს არც უცნობი და არც ნაცნობი
და ზედ ტერფებთან გაჩერდება ყველა ღვარცოფი.

ეს უკვე იყო.
ათი, ასი, ათასი წლის და
იმის გადაღმაც - აშენებდა ადამიანი
და საკუთარ თავს გამუდმებით ძერწავდა, წვრთნიდა
და სულ ეგონა, რომ ბუნებაც სადავიანი
ბედაურია - მანქანაა - მბრუნავი საჭით.
გვეგონა, მაგრამ უხომადლო ნარღვნაში ჩავრჩით.

გვეგონა - სივრცე - მანქანაა - მბრუნავი საჭით.
გვეგონა, მაგრამ უხომადლო ნარღვნაში ჩავრჩით.

ისევ გვესიზმრა -
ტყის სარტყელი აიფოფრა,
აიშალა მიწის მერქანი,
ხმა, ქვესკნელებში ჩაბუდებული -
ზედაპირზე ამოიღვარა
გარბოდა ხალხი, ერთმანეთზე ლამაზები, ფერადები,
მთის სიმწვანით და სიმაღლით მიტყუებულნი.
დრო, რომელიც გამჭვირვალეა
და გვმარხავს ფრთხილად, უმტკივნეულოდ,
ამოივსო ბნელი სიპართლით -
ნიღაბზე წამით შეიზილა ნამდვილი სახე -
ქვა და ტალახი,
თიხა, რომლითაც ჩვენი ძვლები და სახეებიც მოზელილია,
კონცენტრირდა ერთადერთ ნაშში
და მკვდრებს და ცრცხლებს -



განურჩევლად -
გადაგვიარა.

და განცხადებაც გააკეთა -
ხელმძღვანელმა -
საგანგებო სიტუაციის სამსახურის
მართვის, ვერ მართვის -
სამყაროს არ ჰყავს ვერტმფრენები,
რომ მოგვებნოს, გადაგვარჩინოს.

ტაო

დრო წყლის ურჩხულია და ფრთები ვაშალა
ყველა ცის თალამდე, ყველა სამეფოში
და გადაუარა ძველ ტაძრებს კაშხალმა
და კაშხლებს მოუწყო მდინარემ დებოში -
ვიციტო და მონმეებს არც კი საჭიროებს,
მაგრამ მონმეები - ფართოდ გახელილი
თვალებით - ბადეში - საკუთარ ჭრილობებს -
მუნჯი ლაყურებით დავეყურებო. მნახველი -
მხოლოდ მსხვერპლი თუა. წინასწარმეტყველი
ტაოს ეკლესიის კედლიდან დასცქერის
დატბორილ სამკვიდროს, გემბანის ტყვესავით -
ჩაძირვის ლოდინში. დღეების საცერი
წვეთსაც ვერ ატარებს და ამბის მომტანიც
არ რჩება არავინ. ალბათ ლიტონია
ყველა მონაყოლი, ყალბი მეტანია
ნარღვებზე, რომელიც ხაბა ისტორიამ.

მშვიერი ზურგჩანთა

რას აღარ ნახავთ -
ფერად წიგნებს - რომ ცდილობენ თავში შეფრენას,
კოლოფს ფანქრებით -
მბზინავ ზოლს რომ თორმეტ ფერში სვამენ სქელ ფენად
ფურცელზე, ფრჩხილის ლაქსაც ნახავთ, ტუჩის საცხსაც, დაგრებილ დამტენს,
ნახავთ აი-მედს, აი-ფონს და ვინ იცის რამდენ
აი - რვეულებს, აი - სათელეს, კალკულატორს, აი - საფულეს,
თხელი თითები ნამდაუნუმ რომ ამოყრის და ჩააბრუნებს
ხურდას, დაკეცილ ბარათებსაც - ზედ გულებით,
სადეჭ რეზინას,
ყველაფერს, თვალებს რაც მოსწყურდა, რაც დაეისზმრა.

რას აღარ ნახავთ -
ნახმარ წიგნებს - ხელები რომ გამოიარეს
და მასთან მოხვდნენ, დამეგობრდნენ,
ალბათ მთელი წელი კი არა
მთელი სიცოცხლე - თან ნაიღებს
ამ ფორმულებს და ამ სტრიქონებს
უკვე ათასჯერ გადაღეჭილს
და თვითონაც გამოიგონებს
ახალს. ახლა კი - ეს კალმები,
ეს ფანქრები - წვეტნამტერული,
ეს სახაზავი, ეს საშლელი, ეს წყლის პოთილი და ეს რვეული
და საჭმლის ყუთი - ცარიელი, ერთადერთი ორცხობილათი -
მთელი ცხოვრების საგზალია
და რომც იყოს გზაზე ხიფათი,
რომ ვერ განათდეს, ისეთი გზა, ისეთი ტყე აბა სად არის,
მაღაროებსაც ანათებდა მამის ფარანი.

ყვავილს, ვარსკვლავს, ადამიანს

ზოგი მარტოობა კაშკაშაა -
თვალის მომკვრელს გააჩერებს,
აიძულებს დამახსოვრებს -
თითქოს მართლა ერთადერთია მთელ სამყაროში

ყვავილს, ვარსკვლავს, ადამიანს -
ალბათ თვალი უნდა მოკრა მარტოობაში,
რომ შეეგვივარდეს.

მერე თუნდაც მათ გარშემო გაშენდეს ბალი,
მოიჭედოს ცა, ხმების ტალღით აივსოს ქუჩა -
ვერ დაკარგავ, ვერ დატოვებ,
იქნებიათ სამუდამოდ ერთადერთები.

ზღვის კენჭსაც მაშინ გამოარჩევ,
თუ ზედ დაკრავს მარტოობის ნიშანი, ფერი -
კონტრასტული - თუნდაც უფრო მკვეთრ
ფერებთან -
მის ახლომახლოს.
ის გახდება მთავარი კენჭი -
ჩანთის ფსკერზე, თაროზე თუ აკვარიუმში.

ყვავილს, ვარსკვლავს, ადამიანს -
უნდა მიუსწრო მარტოობაში.

მაგრამ მთავარი პირობაა -
მანამდე არ ჩააცქერდე შენს მარტოობას
ისე, რომ სულმთლად გადაფაროს
სხვების ნათება.



ნინი ელიაშვილი

* * *

ყველა წიგნის გმირი ვიყავ
ყველა ფილმის თუ სპექტაკლის
უთუთრესი ღიმილი ხარ
ღიმილი უსპექტაკესი

შენ ხომ მიმიყვანე შენს სახლთან
მე შენი სახლი მეძახდა

შენ ხომ დამპირდი ამ მდინარეს
ამ რუებსა და ქვების გორებს
ჩემი თავიდან გამდინარე
ჩემს თავსაც ახლა მე ვიგონებ

არათუ გმირებს ვედრებოდი
გმირები ჩემ თავს თამაშობდნენ
რა ბედნიერად თენდებოდა
აუფ რა ნღები რა ბავშვობა

აუ რა კარგად შემირჩიეს
სასუნთქიცა და საფიქრალიც
არ ვიცი მხოლოდ შემეჩვიეს
თუ მართლა მიყვარდა სამი ქალი

სამი ცხოვრება გავიარე
ისევე მახსოვს ის ალვები
როგორც პირველი მგლოვიარე
რომ დასტიროდა მიცვალებულს


პირველად როცა შემეშინდა
შეეძლოთ ჩემი გაშვებაც
ვიფიქრე ჩიტად მერე შინდად
მოვალ ჩემ ეზოში ბავშვები

სიკვდილზე ფიქრობენ გამუდმებით
ფიქრობენ სადღაცას გაეზნენ
მერე კი გიჟის საბუთები
მერე კი გიჟის ნაშლები

მერე მონერა კლინიკაში
დასასრულისკენ მიტოპავ
არასდროს ვიყავ დიდი ბავშვი
გულით მინდოდა დიდობა

მერე დიდობასაც ვეკამათე
როგორც დაბინდულს მჩვევია
ასე უბრალოდ ვერ წამართმევ
ჩემია

ვუმეორებდი ყველაფერზე
რასაც ხელიდან მაგლეჯდა
თითქოს წყლის ნაცვლად ჩემს რბილ ფესვებს
გარემო უყრიდნენ ნაკვერჩხალს



ან იქნებ სიზმრად დამავალეს
თქვენთან ყოფნა და ცხოვრება
ჩემი თავიდან გამავალი
ჩემ თავს თუ ვემახსოვრები

ეგ კი არ ვიცი ზოგს ვცნობ ზოგს ვერც
არ მახსოვს როგორ ვიზრდებოდი
დაუნდობელი ნიჭი მომეც
რომ არაფერი მჭირდებოდას

* * *

ალარაფერი აღარ ჩანდა
ალარაფერი აღარ იყო
ჩემი ტკივილით სავსე ჩანთა
ჩანთა ეკონათ მხოლოდ ბრიყვებს
სად მენყო ყველა ქვა და რიყე
გული რამდენჯერ გამიჩერდა
რაც დაგიძალე და მოგიყევ
ყველაფრით სავსე იყო ჩანთა
სად კედელს თავით შეეჯახე
სად სკამზე მთვრალმა დავიძინე
თუ როგორ გავხდი მეოჯახე
ამაზე ყველას გაგვეცინა
ჩემი ტკივილით სავსე ჩანთა
მოკერებული გულის მხარეს
სუყველაფერი ჩემი ჩანდა
სულ მე უნდა მოვსულიყავი
რამდენჯერ გული გამიჩერდა
გაჩერებულშიც
სულ იყავი

ლილია

მე დავხატავ სამყურებს
გზიბლავს ჩემი საყურე
სუყველაფერს მივიღებ
რასაც დავიმსახურებ

რეკვა იქნებ შენყვიტო
როდესაც ვარ გასული
ბუდაპეშტზე გაზრდილი
არაბეთის ასული

მე მათ ვერ დავემსგავსე
კუტოკები ბაბლები
მე არც მითქვამს ჩემს თავზე
იყვნენ ჩემზე დაბლებიც
მაღლებიც და მე მათთან
არაფერი მემართა
მე ვიცი და ახალმა
მთვარემ რაც დამემართა

გამორკვევის ყინულთან
თუ რამდენ ხანს ვიცურე
სიცოცხე გამინულდა
სიბოროტეც სიცრუეც

მე დავხატავ სამყურებს
გზიბლავს ჩემი საყურე
სუყველაფერს მივიღებ
რასაც დავიმსახურებ

დედაჩემს

მამაჩემი გენიოსია.

მისი სიტყვები

*ყოველთვის ახერხებდნენ
ნახერტების დადებას ჩემზე
ზაზა კომკაძე*

შენ რა ჩემი ყლის ფემინისტი ხარ
ფემინისტი იყო დედაჩემი
სილურჯეებზე გადასმული პუდრით
ცისფერ ჯემპრებს რო გვიქსოვდა

შენ რა ჩემი ყლის ფემინისტი ხარ
ფემინისტი იყო დედაჩემი
მამის რომელიც არც უნახავს
ყველაზე ლამაზ ფოტოს გვაჩვენებდა
მთელი ბავშვობა
მისი არარსებული მამის

შენ რა ჩემი ყლის ფემინისტი ხარ
ფემინისტი იყო დედაჩემი
ოსი მევალეებისგან
ყველაზე საშიში მეზობლის ეზოში გვმალავდა

შენ რა ჩემი ყლის ჯადოქარი ხარ
ჯადოქარი იყო დედაჩემი
მონსტრების ეზოში

უსაფრთხო ადგილი გვიპოვა

შენ რა ჩემი ყლის ფემინისტი ხარ
ფემინისტი იყო დედაჩემი
რომელმაც ჩემი მკვდარშობილი ტყუპისცალი
ფოლოგებში დამარხა
ფოლოობა უსურვა

შენ რა ჩემი ყლის ფემინისტი ხარ
ფემინისტი იყო დედაჩემი
რომელმაც მასწავლა
რამხელა გმირია მამაჩემი

დადიოდა და არ იცოდა როა საშიში
სწორედ ამიტომ არასოდეს მისი კაციშვილს
არ ეშინოდა თუმცა მისი ვეება მზრები
მეც მაკვირვებდა რანიარად დგანან ამ ცის ქვეშ

ხშირად შემიძინა თვალთვალის დროს არც შეიმჩნია
მხოლოდ ღიმილით გააგრძელა მინის წმენდა ჩვრით
მითხრა კი არა მგონია რომ უფრო მირჩია
არ გეშინოდეს ყველა გაქრა მხოლოდ ჩვენ დავრჩით

თვლები ლურჯი სახე სანთლის გრძელი თითები
ერთი ის იყო დიდი იყო სხვებზე ძალიან
მერე ჭირები მოუგონეს მერე მითები
და ჯვარცმის მერე არაფერი მოუწერია

არ ვიცი ჩემგან რა ეწყინა მხოლოდ ველოდი
ვიფიქრე იქნებ გამიღიმოს ცივი ჯვრიდანაც
ეხლა კი ვხვდები ღიმილისთვის სულ არ ცხელოდა
და დედამისმაც საუბარი გადამიტანა

სულ სხვა თემაზე მივხვდი ჯობდა სულაც გავცლოდი
ამ ოჯახს სადაც ლურჯთვალეობა ღმერთო მოფრინდი
ღმერთობით მჯობლი ზუსტად ვიცი მარა კაცობით
გჯობნიდი



ღია სტერუა

თურმე

ვზივარ. ველოდები.
 რატომ არ მოდის ის კაცი,
 სინათლეში რომ ჩავიფიქრე?
 მეგონა, არნივი უჭამს ღვიძლს,
 თურმე, C ჰეპატიტი,
 ე. ი. სინათლესთან დაკავშირებით
 თავს ვიტყუებდი?
 მაგრამ „თურმე“ ის ყოყმანია,
 მეტაფორაში რომ გადადის,
 თურმეობითი - ჩემი სიმაართლე
 და ისიც მოვა ან მოვიყვან:
 მთიდან ჩამოვტეხავ,
 ხაესს გავუპარსავ სახეზე,
 ოჯახის მარადიულ თემაზე ვეცყვი:
 ჯერ რომ სახლი, მერე შვილები,
 მერე ხეები, უსათუოდ, ვაშლის -
 ცოდვამ ფანტომური ტკივილი იცის,
 აქედან სიტკობ, ყველაფერზე თანახმაა,
 ფინალი არ მოსწონს - ერთად სიკვდილის
 სენტემენტები, როცა არის მთა,
 არის არნივი, თუ C ჰეპატიტი, სულერთია.
 ნერვების მორიგი აქცია კი არა,
 სრულიად ტკივილი! ჰიპერბოლა!
 რაც შეეხება ქვეყანას,
 ახალდაწერილი ლექსივით ანთია
 და უკონტროლოა.



მერამდნენდ, აპოკალიფსზე

თუ არ იცი, ვინ გყავს მშობლები,
 არც უნდა ეძებო, აქვე არაა
 მზე, წვიმა, ქარი?
 მზის და მთვარის დედამამობა
 ფოლკლორში გინერია,
 ისიც ხომ იცი:
 ტვინის ნუხილი თუ არ დაემთხვა
 ტანის ჟრიალს, ბავშვი არ შედგება!
 ამას რას უშვრები?
 ამ სიწუმეებს სიტყვის და წიაღის,
 როცა ერთს კრიზისი ჭირს,
 მეორეს - სიბერნე?
 მოუვი მაქსიმებს! ბავშვი ბავშვია,
 წყალ-წყალა თავზე ტანი მიაბი კონსტრუქტორის,
 რომელიმე გიჟი იშვილებს,
 ყველაზე ალისფერტვინიანი,
 ვისაც ბავშვის მასალაც აქვს,
 ლექსის მასალაც, ისიც იცის,
 ტვინის ნუხილი რომ დაემთხვეს
 ტანის ჟრიალს, ბავშვი შედგება!
 ბავშვი, თუ, სულაც, ლექსების კრებული,
 0000 წელს გამოცემული
 საყოველთაო წარღვნის მერე...



ქალი ვაშლით

აი, ჩემი ხელი!
 ვაშლი მიჭირავს.
 ერთ ფერში ვართ შესრულებული,
 მხატვარი ცნობილია,
 ამას თუ მოყვა „გულზე ვარდი“
 და მსგავსი რამეები, პოეტი უცნობი,
 მაგრამ ხომ იყო,
 ვაშლებს და ვარდებს ეთამაშებოდა,
 ფორმის უნაკლობას, ინტენსიურ ფერებს,
 ბოლოს, მაინც, სრულყოფილებას
 ჭია შეუჩინა და ჩემს ბავშვობას
 მაგიდის ქვეშ თეთრი ფეხებით არ უვლია,
 პირდაპირ ვაშლი, სექსი, შვილები!
 უმნიშვარი ტექსტები ბრტყელი მუცლიდან...
 დედა მირეკავდა, სისხლძარღვებით
 კრეფდა ნომერს, ხელები გაუცვლდა
 ჩემი შვილის მოვლაში,
 ჩემი ნერვების აკრეფაში ცალხაზიანი რეველებიდან
 (პრინტიერი რომელიღაც მომავალში)
 და რაღა ნერვები?
 ლითონის მავთულები,
 გარჭობილი კმაყოფილ ხორცში -
 ანტიდემურესანტის დამსახურება,
 „ქალი ვაშლით“ გამოფენაზე...
 რომ ვთქვა, დავილაღე-მეთქი სიმბოლოებით
 და ვაშლი ჩამოვავდო,
 ომი დაიწყება?

სანამ კაცი მყავდა ახლოს,
 ისე ახლოს, რომ მისი მხრებიდან
 მეზრდებოდა ხელები, მეგონა,
 რომ მარტოობა მანძილით იზომება,
 ტკივილები კი თავზე მეყარა,
 მაგრამ ტონობით საღებავს აჭმევდა:
 წითელს, ალისფერს, სისხლისფერს,
 გაუთავდა და წავიდა...
 ახალ მკვდრისთვისაც, სანამ სულის
 ერთი პროცენტი უნთია,
 ეს მანძილი, ჯერ კიდევ,
 მისტიკური არაფერია,
 მერე ეზრდება ხორცი, რომ მეტკინოს...
 ტკივილსაც თავისი კანონები აქვს:
 შიში, მარტოობა, სინანული,
 რისგანაც კონსტიტუციას ვერ შეადგენ:
 მშიერ ტვინს ლოგია არ ეყოფა,
 პარლამენტს - ლირიკა.
 რომელიღაც შესწორებაში შეპარული დედა
 დუმილის უფლებით ისარგებლებს,
 გირაოთი გამომიყვანს
 და იქვე, მიწაში!
 - ცოტა ხანი მაცადა, დედა!
 ვიღაცებს კიდევ ვუყვარვარ,
 თუ მოვწონვარ, თუ ვეცოდები,
 მკაცრად კი მაფრთხილებენ:
 - იყავი, ოღონდ, თვალსაჩინოდ
 ნუ გეტკინება!



იმ იშვიათ წუთებში, როცა
 კისრიდან სიზიფეს ჩამოვიგდებ
 და წერას ვინწყებ, ანუ ცხოვრებას
 პირიქით ქვეყანაში,
 სადაც ტკივილი არ უნდა ჩანდეს,
 თუ, მაინცდამაინც, მისი კვალი -
 ნოკოკინების სახეიშო სვლა
 წვინის შემდეგ სადაფის ლილები
 და არავითარი აპელირება შთაგონებასთან!
 მით უფრო, ამ ლილებზე შეკრულთან,
 რაც ჩემი არ არის,
 არც კონვენციური მუსიკის ძალადობა!
 ჩემი ხმოვნები ისეთი მდულარე ფერებით
 ყვირიან, ვინ ჩააქრობს?
 პასტელის მოყვარულები
 რეველუციონერები ვერ იქნებიან.
 რა დიდაქტიკა? რა სადაფის ბარიკადები?
 რა ესთეტიკის მასტერკლასს მიტარებენ?
 როცა კისრიდან სიზიფე ჩამოვიგდებ
 და ვინწყებ წერას.



ლევან ზარიძე

ყველა გზა რომიდან მოვა,
გზის იქით დარჩება რომი
და ლურჯი იქნება წყალი,
ყინული - იგივე ფორმის.

ყველა მზე ამოვა ერთად,
ოკეანს აუვა ბოლი,
არც ოცდამეშვიდე ციდან
გამოჩნდა სინათლის ბოლო.

არც ნავიგატორის ნავი
ამოვა ამაზე მაღლა,
შენ იცი დუმილის ფასი,
ენას რომ აწვალებს ახლა.

ფურცელზე დაეხატე ჯოხი
და იქვე ნულები, მიჯრით
და თოვლის პაპების სახლში
მზე შუშის თვალებით იჯდა.

ყველა გზა რომიდან მოვა,
გზის იქით დარჩება რომი
და ლურჯი იქნება წყალი,
ყინული - იგივე ფორმის.

იბარებს მაკულატურას
შ.პ.ს. „პარადიგმა“,
გამოაცოცხლა სასწორი
გადაუმლეღმა ნიგნმა.


დახვეულია სამ ფენად
ნარმატებული ტექსტი
და აფრქვევს ვარდის დანამატს,
ალარაფერი ესმის.

ერთი სიცოცხლე ნავიდა იქით,
სადაც ფოთლები მიქრიან ხოლმე,
მდინარე უკვე სიგრძეზე მიდის,
სიჩუმეს ტოვებს, არაფერს ტოვებს.

ვიყიდე თეთრი მდინარის წყალი
და ვებრძვი ბოთლზე მისატულ მორევს
და მივაქციე ეს წყალი იქით,
სადაც თევზები მირბიან ხოლმე.

მქონოდა ვერტმფრენი
მეტაფიზიკური,
ხორცი, ვით პური და
ღვინო ქიზიყური.

ან ცხენი მყოლოდა,
სიზმრების ფაფარით,



სანომრე ნიშნებით
მზეს გადავფარავდი.

ეზოში ზღარბი მყავს,
ძალღვივით მსახურობს,
სახლში ვერ მივდივარ,
ზღარბს ვერა ვნახულობ.

მქონოდა ვერტმფრენი
მეტაფიზიკური,
სისხლი, ვით ღვინო და
პური ქიზიყური.

გადავწყვიტე, ვწყვიტე
მსხალი გახდეს პანტა,
არ ვიდარდო, ვიდრე
ნლები გამეფანტოს.

ვერ მოვწყვიტე, ვწყვიტე,
თვალი მაგ შენს თვალებს,
სამჯერ სამი როა
და არ არის მთვარე.

მერე ქვები ვხარჯე
და ეკალი ვგლიჯე,
შუბლის ცაზე ხაზი
გადიოდა, ლურჯი.

მომეხმარე, ეს ქვა
იქით გადავწერო,
გრაფიტაცოულო არაფერო,
ზერო.

უკიდევანოდ ჩუმი
ოკეანეში თევზი,
ვფიქრობ, როგორი იქნება
ის თევზი მაიონებით.

სიცარიელით მევესება
ათასი სისულელე,
დასასრულიდან ავფურცლავ
სინათლის ევანგელეს.



ყველა წერილი წმინდაა,
ყველა მდინარეც წმინდა,
იდგა ნაპირთან ნაპირი,
ოკეანეზე წვიმდა.

სიზმრების ლურჯი ფანჯრიდან
ჩანდა სიჩუმის ლოლო,
ცაზე გზა იყო და გზაზე
ცივი მზე იღო მხოლოდ.

უკიდევანოდ ჩუმი
ოკეანეში თევზი,
ვფიქრობ, როგორი იქნება
ის თევზი მაიონეზით.

* * *

ფრაგმენტულად მასსოვს
შენი სიზმრის გემო,
ჩიტი იშვია, სადღაც,
წაიყვანა გემმა.

გემმა ოცი აფრით
და ორასი ცხენით
და ათასი ტალღის
ცაზე დანარცხებით.

მოვლენ გზები უკან
და უკანა გზაზე
შენ იქნები ბედში
ჩადებული აზრი.

...ცხრა სიბნელე დნება
მზესთან სიახლოვით,
მომიტანენ წყალი
და სიზმარიც მოვა.

ფრაგმენტულად
მასსოვს
შენი სიზმრის ფერიც,
თვითმფრინავის ბოლის
ლურჯი პარალელი.

* * *

ეცოდინები გზას,
ეცოდინები მზეს,
დადუმებული ქვე
ესადაგება სკნელს.

ეცოდინები მას,
ეცოდინები მეს,
ეცოდინები მის
უსინანულო დღეს.

ეცოდინები ზარს,
გაისად, ანუ წელს,
ორბიტალური ხმის
ეკონომიკურ წრეს.

ეცოდინები მთას,
ეცოდინები მთებს,
მოჭრილი არის ხე
და ესიზმრება ტყე.

ეცოდინები ქვას,
ჩიტის ფრთასთან რომ დევს,
ეცოდინები ცას
ალბათ საღამომდე.

* * *

დამიმახსოვრა სიზმარმა,
დამიმახსოვრა ცხადმა,
შარშანწინ სადაც ვიდექი,
გავიარე და, არ ვარ.

არც დღეს ვიქნები, სადაც ხვალ
გავემორდები, ალბათ,
გარემოების მაღლა და
უსასრულობის დაბლა.

* * *

დასაბამიდან აქამდე,
აქედან დასასრულამდე,
დასასრულიდან სიზმრამდე
მზის ლურჯი ალილუია.

ბოლოშიც სიტყვა იქნება,
დასაწყისივით უნაკლო,
ნამი სივრცული ჩიტია,
უსასრულობას უგალობს.

მოვიდა თეთრი ამბავი,
მომავლიდან, თუ საიდან,
გავიგე, რაც ვერ გავიგე
არის მეზობელ საიტზე.

თურმე გადარჩა ქალაქი
და დილა ბატმა ახარა,
ხალისკოს მტატში ყოფილა
ქალაქი გეგადალახარა.

დასაბამიდან აქამდე,
აქედან დასასრულამდე,
დასასრულიდან სიზმრამდე
მზის ლურჯი ალილუია.

* * *

ამ სიმართლეზე მართალი
არის მეორე ზღაპარი,
ცხადის და სიზმრის გადასწვრივ
დადის მესამე სამყარო.

არსებულამდე უცნობი,
არარსებულზე იოლი,
უხილავ გზაზე გადარბის
უენო ფოსტალიონი.



ეუდრის ემცე კვადრატს და
მელანქოლიურ პანთეონს,
საუკუნეში ერთხელ ხომ
აუცილებლად თენდება.


თენდება მზის გამზირებზე
უკიდევანო თენებით,
ცაზე იწყება ჩიტების
გენეციფერული ჩვენება.

ამ სიმართლეზე მართალი
არის მეორე ზღაპარი,
ცხადის და სიზმრის გადასწვრივ
დადის მეოთხე სამყაროც.

* * *

მეტროში წასაკითხი ლექსი

- ადამიანი - ობობა
- ადამიანი - ოფოფი
- ადამიანი - თევზი
- ადამიანი - კატა.
- ადამიანი - ფოთოლი
- ადამიანი - ბუჩქი
- ადამიანი - ბოლქვი
- ადამიანი - ობი.
- ადამიანი - ქსოვილი
- ადამიანი - ძაფი
- ადამიანი - ბოჭკო
- ადამიანი - ჭია.
- ადამიანი - ტალღა
- ადამიანი - სხივი
- ადამიანი - ძალა
- ადამიანი - ომი.
- ადამიანი - პური
- ადამიანი - ყველი
- ადამიანი - წყალი
- ადამიანი - ღვინო.
- ადამიანი - თეთრი
- ადამიანი - შავი
- ადამიანი - კაცი
- ადამიანი - ქალი.
- ადამიანი - კარგი
- ადამიანი - ცუდი
- ადამიანი - ტვინი
- ადამიანი - ძვალი.
- ნუ მიეყრდნობით კარებს
- ადამიანი ამბობს
- ადამიანმა იცის
- ინგლისურადაც ამბობს.
- ადამიანი - ჩიტი
- ადამიანი - ბუდე
- ადამიანი - კვერცხი
- ადამიანი - ჭუჭყუ.
- ადამიანი - უფხო
- ადამიანი - უთმო
- ადამიანი - მუავე
- ადამიანი - ტკბილი.
- ადამიანი - ერთი
- ადამიანი - ორი
- ადამიანი - სამი
- ადამიანი - ოთხი.



ადამიანი - კენტი
ადამიანი - ლუნი
ადამიანი - ფუჭი
ადამიანი - განძი.
ადამიანი - ზარი
ადამიანი - ჩუმი
ადამიანი - წელი
ადამიანი - ჩქარი.
გაჩერებაა ბოლო
ადამიანი ამბობს
ადამიანმა იცის
ინგლისურადაც ამბობს.

* * *

წარსული ამოტივტივდა,
სიშორე მოტივირდა,
შემთხვევით უზუნაესთა
მდგომარეობა მჭირდა.

მილიარდიან ქალაქში
ყოფნა და ყვეფა მსურდა,
ცის მეფე ოკეანეში
ცხრა გემი დადასტურდა.

მამლის ციფრული ყვილი
უთანაბრდება ნამდვილს
და ორჯერ ორი ოთხია,
მზე ამოდის და ადის.

არასაბავშვო საბავშვო ლექსი

ზღარბი ზღარბთან არის,
ციყვი ციყვე ბტუნავს,
ტყეში არის ყველა,
ტყეში არის ტურაც.


ტურა არის ცუდი,
უცულოს ზრახვით,
ხეს მოსჭამოს ფეხი,
დააბრალოს თახვებს.

სად ტურა და სად ხე,
ხეზე ცხოვრობს ბელი,
მელა გახდა ბრძენი
და მქადაგებელი.

ბუ გამხდარა ბროლის,
რა, სად, როგორ, როდის,
სერზე სამი მგელი
მოდის, მიდის, მოდის.

ირემია ლურჯი,
ახლაც რქების ფუნჯით
ხატავს შემოგარენს,
ნუ გამოხვალთ გარეთ.

ადვილია ყოფნა
გალიამი ლომად,
დროს არეცს და დარეცს
დაგეგმილი კვდომა.



დააბრუნეთ ტყეში
მაიმუნის კვალი,
როგორც ყველა ერთი,
ერთი ყველა არის.

* * *

შუამავლებად სიზმრები
გამომიგზავნე მუდამ,
ნიშანი იყოს რაღაცის
და იყოს აბდაუბდა.

მეცოდინება, რომ ამით
გამოვა არაფერი,
და მაგიდაზე მედებო
ბილეთი მატარებლის.

ზღვას მოველოდი ფანჯრიდან,
გამომეცხადა ციდან,
მსურს aqua destillata
აისბერგების ცრემლის.

ტრიალებს ლურჯი გლობუსი,
მდინარისაკენ მიდის
და მიყვარს გამეორება,
რაც ალარ ვიცი, იმის.

სიზმრები შუამავლებად
გამომიგზავნო უნდა,
ნიშანი არის არაფრის,
თან არის აბდა-უბდა.

* * *

ახალქალაქი არსებობს,
ახალსოფელიც არის,
ადგილი ვიცი ისეთი,
ცხრაჯერ ჯობია პარიზს.

მივითმევეთ ყოფნის ნაპირზე
არყოფნის ბურბუშელას,
ძველი ტრაკიდან გამოვალთ
და ახალ ტრაკში შევალთ.

* * *

ნამმა, უზენაესმა,
სახელითა ძისა,
გახსნა დროის გალია
და წავიდა მზისკენ.

მეცხრე ციდან მიგზავნის
მოკლე ტექსტებს, სრულად,
ყველაფერი კარგია,
რაც არ არის ცუდი.

ახლა მინდა არყოფნა
დავაბრლო ყოფნას,
ვგუგლავ ეგზისტენციურ
წყლის მეშვიდე ფორმას.

ვეძებ უწონადობას
ნაბიჯების მიღმა
და გავიგე რა არის
გზების პარადიმი.

რომ მოგვაჯდეს მომავლის
ჩიტი, მოგალობე,
გავიზრდებით ნამებით
მე და ჩემი ლობე.

ნამმა, უზენაესმა,
სახელითა ძისა,
გახსნა დროის გალია
და გაფრინდა ცისკენ.

* * *

ჭია ფოთოლზე ზის,
ჭამს და ქანაობს თან,
დამთავრდა ფოთლის დღე,
და ჭია ცაზე დგაფ.

ან რა ლამაზად დგაფ
ან რა მშვენივრად დგაფ
ან რა საყვარლად დგაფ
ან რა საოცრად დგაფ.

ფოთლის სიზმარში უღერს
ახლა პეპელას ხმა,
სოლ, სი, ლა, სოლ, მი, სი,
მი, სოლ, რე, დო, ლა, ფა.

* * *

შორს წავიდა შენი
გამოგონებანი,
ხორცი, როგორც პური,
პური ხორციანი.

რას შექმნიდი ახლა
ცაზე სენსაციურს,
უდაბნოზე ფიქრობს
ახლა ვენეცია.

ან ეს ლურჯი ქოლგა,
ზედ მზითა და მთვარით,
გადავიდა წვიმა,
ვერ გავდივარ გარეთ.

ამან იმას ვერა,
იმან ამას სძლია,
კეთილები იყვნენ,
სინანული სცმიათ.

ხეზე იჯდა კაცი,
ეს ხე იყო ალვის,
საქმე ისე მიდის,
ბაობაბზეც ავა.

რომ მოავლოს მზერა
სივრცულ არემარეს,
მიემავრე კარგად,
არ გადმომივარდე.



ცოტნე ავსაჯანიშვილი

მერის მარადიული ახალგაზრდობა



ეს უბრალო ლოდი არ გეგონოთ. ძალიან მრავალფეროვანი ლოდია. ზაფხულობით, შუადღისას ნესვივით ყვითელია, საღამოს თითქოს ცეცხლი ეკიდება და წითელ ელფერს იძენს, ღამით კი, თუ სავსე მთვარეა და საკუთარ ჩრდილთან პაექრობით ერთობით, ძლივს, მაგრამ გაარჩევთ იმას, თუ როგორ გარდაისახება მენამულ იისფრად. საღამოს პირზე, როცა გურჯაანის რაიონის სოფლებში დამწვარი კაკლის ფოთლების და ბადაგის სურნელი აირეოდა, სწორედ ამ ლოდზე და კიდევ მის სამ ტყუპისცალზე სხდე-

ბოდნენ მერი მამისაშვილი და მისი დაქალები, ერთად, სულ რაღაც სამას ორმოცი წლისანი. გოგონები ყველას ათვალიერებდნენ, მაგრამ სულაც არ ჭორავდნენ ახალგაზრდა შეყვარებულებს, რადგან საერთოდ არ ჰქონდათ იმის შეგრძნება, რომ თავად აღარ იყვნენ ახალგაზრდა შეყვარებულები. საერთოდ, ამ სოფელში ისე ხდებოდა, რომ ახალგაზრდა შეყვარებულებს მხოლოდ ისინი ჭორავდნენ, ვინც ან ახალგაზრდა არ იყო, ან შეყვარებული. „მერიზმის“ დებულებები უარყოფდა სიბერეს, თუ ქალი არ ხდე-

ბოდა ბებია. ზრდასრულობასაც უარყოფდა, თუ ქალი არ ხდებოდა დედა და, საერთოდაც, სამუდამოდ შეყვარებულად ყოფნა, „მერიზმში“ სამუდამო ახალგაზრდობას ნიშნავდა. არ გეგონოთ, რომ მერი მამისაშვილს ძალიან მოსწონდა ის, რომ კვლავაც ახალგაზრდად გრძობდა თავს. ზოგს უყვარებდა არ უხარია. მას კი სამუდამო ახალგაზრდობა არ უხაროდა. კაცმა რომ თქვას, ახალგაზრდობა მერის მთავარი უბედურება იყო. ასე ფიქრობდნენ მისი ახალგაზრდა დაქალებიც. ერთად კვლავ იყვნენ ორას სამოცი წლისანი. დაქალები ყველაფერს უჯერებდნენ მერის და ერთგულნი იყვნენ მისი ორგანიზაციისა. ორგანიზაციისა, რომლის იდეოლოგიაც იყო სიყვარული, მაგრამ თავისუბური, მარადიული, უსიცოცხლო, განწირული ოცნებისა და მელანქოლიისთვის. მერი მამისაშვილის ორგანიზაციაში, რომელშიც მის გარდა კიდევ სამი ქალბატონი იყო განწვირნიებული, მხოლოდ სამამულო ომში დაკარგული, ანდაც მოკლული ვეჯინებულების შეყვარებულებს იღებდნენ. ორგანიზაციაში ყოფნის ერთადერთი წინაპირობა კი შეყვარებულის ერთგულება და მასთან ყოფნაზე სამარადამო ოცნება იყო... მერი აუცილებლად გააგდეტა ორგანიზაციიდან იმას, ვინც „მერიზმის“ ამ მთავარ პრინციპებს უარყოფდა. გააგედო კიდევ ნინელი მახარაშვილი, როცა გაუგო, რომ კოლმეურნეობის თავმჯდომარე აკაკო ოხანაშვილთან დაიარებოდა, ვენახების ბოლოს, ყარაულთა ქოხში. მამის ორმოცი წლისა იყო მერი, ნინელი ოცდათვრამეტისა. მამაკაცი, ტირილი ნინელი. მთელი სოფელი უყურებდა მის ვედრებას. იმ ზანჯგვლიანის საოხრზე გაცვალი სიყვარული, უკირონა და თვითონაც ტირილი. დაუწოქა ნინელიმ, იფიქრა, გული მოუღებოდა. არაფრით არ შემოირიგა მერი მამისაშვილმა ნინელი მახარაშვილი. მე თუ შემძლია ერთგულება, სხვებსაც შეუძლიათ. არავის აპატიებდა მერი იმას, რასაც საკუთარ თავს არ აპატიებდა. საკუთარ თავს კი იმიტომ არ აპატიებდა, რომ ნიკო არ ყოფილიყო მასთან მართალი. ნიკო წავიდა და მოკლეს, მკვდარი ვერ მილატებოდა. თუ არ მოუკლავო, პლენში იქნება... თუ მოზრუნდება და მეტყვის, გოგო, მერი, დავბრუნდი და მისდღემში არ მილატნია შენთვისო, მეც თუ იგივე ვერ ვუთხარი, რა იქნება ჩემი ქალობაო?... მოკლედ, თავიდან გადაარული იყო ნინელი და სინდისიც ანუხებდა. რცხვენოდა, შინაგანი ქალობა დავკარგე და გარეგანს გადავყვირო. ოცნებობდა კიდევ, ნეტა მერიმ დამაბრუნოსო. მევე და მევე ისღა ასხენდებოდა, როგორ დასცინა სოფელმა და შეიჯავნა ნინელიმ მერი. თვითონ ვერა ბედებს, გადაწყვეა ნიკოს უნახავსო და მე რო გავბედე, მაგაზე გადაირიო. ნინელი ისე დაბერდა, სულ იმას

უცდიდა, მერის რაიმეთი გული ვატკინო და გავამწარო. მაგრამ მერის რა გაამწარებდა? რთულია მკვდარზე გიჟივით შეყვარებული ქალის გამწარება. მკვდარი იყო, აბა, რა იყო, რომ არ მოკვლათ, ჰო მამოვიდოდა. ნლები გავიოდა და მერის ორგანიზაციაში მორჩილად რეკომენდნენ ერთგულების ქურუმები, ანეტა კახნიაური და დები, დოდო და ნინა შალიკაშვილები. ამით, სამივეს შეყვარებული კურსკში დაუხვერეტია ობერნშტურნფურერ ჰაინრიხ გროსმიულერს. მერის რა უჭირდა? მაგისი ნიკოს სიკვდილი კაციშვილს არ ჰქონდა გაგებული. ეგ იჯდა და უცდიდა მანც. ის სამი კი ვერც ვერავის უცდიდა და მანც იცავდა „მერიზმის“ ერთგულების და სამუდამო ახალგაზრდობის დებულებას. ორგანიზაცია ერქვა „უცნობი ჯარისკაცის შეყვარებული“. შეკრება ჰქონდათ ყოველ საღამოს, მერის სახლის სხვენზე, სადაც გოგონები სანთლებს ანთებდნენ შეყვარებულის ფოტოებთან, მემილიონედ იხსენებდნენ მათთან გატარებულ ძალიან ცოტა დროს და უსმენდნენ მუსიკას ფილმიდან, „ლექტიატ ჟურავლი“. დღისით მერი ნიკოს დასთან მიდიოდა. ნიკოს და იყო მერიზე ათი წლით უფროსი და აღარ შეეძლო ტუალეტში სიარული. ნამდვილი რძალივით უვლიდა მერი მანანა ვარსიმაშვილს. უყვარდა მული და, ეგეც რომ არ ყოფილიყო, ნიკოს რა პასუხი გაეცეო, ფიქრობდა.

* * *

ბონასერა სინიორინა ვალერია. როგორ იყო? მშვიდობით, ლამაზო... დაიხ, რა თქმა უნდა, ჩავალთ და, რა თქმა უნდა, რაც შეიძლება მალე. არც ჩვენ ვართ მოცილები. აი, ახლა გავახსენებთ, გაჩვენებთ სად ბანაობდნენ ჩვენი მეფეები და მაშინვე წავალთ. თქვენ კი არა, მეც ვერ ვითმენ. არა, რა აბაზანა... მე სხვანაირ ბანაობაზე გელაპარაკებთ. მეფურ ბანაობაზე. როგორც თქვენებური არქანჯელი ლამბერტი ამბობდა... ნუ, მოკლედ, არ ვიცი რას ამბობდა, მაგრამ აქ ვინც ყოფილა, ყველა მაგაზე ლაპარაკობდა და ეგეც იტყობა რამეს. თქვენ რატომ არ გაქვთ ნამოდგენა ამაზე? რა უინტერესო ხალხი ხართ ეს ევროპელები. აი, ახლა ვივახშმოთ და... არა, ქალბატონო, თქვენ რას გადაიხდით? სად გოგონათი თავი? გააგე რა მითხარ, ბიჭო?! მე გადავიხდით. ამ ხნის ქალია, მაგრამ დურჯაი. დურჯას არ დაეფიცება, ხო იცი? მოედ, ჭლარას ვცეთ პატივი. შედებილია კია, მაგრამ ხომ ვიცით, რომ ჭლარაა. ნახეთ, ვალერია, ჭლარა მთაწმინდა. საერთოდ არ ჰვავს თქვენს კოლეჯისთვის უღელტეხილს, მაგრამ ყველა მთას მთისაირად უნდა ვცეთ პატივი, მაგანც ცასთან იმაზე ახლოს არიან, ვიდრე ჩვენ და ზოგიერთი სულელი ჩიტი. პიცაო? პიცა და პასტა

ლომბარდიაში მიირთვით, რამდენიც გნებავთ. აქ რამე ახალს ეზიარეთ. ჩვენც არანაკლებ მძიმე საკვები გვაქვს. რა ლამაზი ხართ, ვალერია. ოცი წლით ადრე რომ დავბადებულიყავი, უეჭველად გაგეარშიყებოდით. როგორ იფიქრეთ, რომ გეეკულებოდით? მე სიმართლის მოქმელი კაცი ვარ. კამერა აქედანვე ხომ არ ჩაგვერთო. ჩანახატის ელფერი მიგეცვა ჩვენი ამბისთვის. მართალია. მაპატიეთ. რთულია კამერის წინ წამა. ხვალ უკვე ადგილზე ვიქნებით.

* * *

იცინეთ, იცინეთ მანამ, სანამ მთავარი თქვენი სიცილია და მას სილაშაზის განადგურება შეუძლია. მე კი მჯერა, რომ როგორც მდინარეს ვერ გააჩერებთ, ისე ვერ დააკლებთ ვერაფერს ნაკადულს, რომელიც პატარაა და მიუსასვარი, მაგრამ სადმე მდინარედ იქცევა და თქვენს სიცილსაც ველარასდროს გაიგებს საკუთარი ტალღების ხმაურში. მაშინ ყველა დასცინოდა ნიკო ვარსიმაშვილს, ბიბლიოთეკაში დადიოს. გიჟი ეგონათ და ზურგს უკან ენას უყოფდნენ. ზოგი ეჭყანებოდა კიდევ. ამ დროს კიდევ უფრო მახინჯი ჩანდა მათი შეუხედავი სახეები. მერის რცხვენოდა, ნიკოს ყველა რომ დასცინოდა, მაგრამ სიყვარული სირცხვილზე ძლიერი გრძნობაა, მაშინ, როცა სირცხვილის მიზეზს იდიოტები შთავაგონებენ. ხანდახან მერიც კითხულობდა წიგნებს. ეზარებოდა, მაგრამ ნიკო აძალბებდა. უზნებოდა, ბევრ ნიგს თუ წაიკითხავ, მამაყის აღარ დაუჯერებო. მერის დიდად არ უყვარდა მამა, მაგრამ ეგონა, რომ უყვარდა, რადგან წესი იყო ეგეთი. გოგონა ვერ ხვდებოდა, რატომ არ უნდა დაეჯერებინა მამისთვის, ნიკოს კი ერიოდებოდა იმის თქმა, რომ მერის მამა ამ სოფლის სხვა მამების მსგავსად, შვილებს სულელურ მომავალს უგეგმავდნენ. ნიკოს ძალიან ეშინოდა, რომ მერიც ბრმად დამჯერი არ აღმოჩენილიყო, როგორც ვეჯინის სხვა ახალგაზრდები. ამიტომ ძალიან რომანტიკულად და ცოტა მიაშიტურადაც ცდილობდა, რომ გოგონა მეამბოხე ყოფილიყო. ომი რომ დაიწყო, მერის უხაროდა, ნიკო გაიწვევენ, იქ გმირობას გამოიჩენს და რომ დაბრუნდება, ვერაინ დასცინებულს. სხვები აზრზე არ იყვნენ, მაგრამ მერი იცოდა, ნიკო რომ ძალიან უშიშარი ვინმე იყო. მერიმ ისიც იცოდა, გმირებს რომ ვერაინ ვერაფერს უბედავს, ზურგს უკანაც კი. მამასაც მოენონებოდა სასიძო, რომელსაც გულზე ოქროსფერი ლენინი ექნებოდა მინებულნი. ნიკო რომ წაიყვანეს, სექტემბრის მზე იყო. იმ დღეს ბევრმა ჩიტმა გადაიფრინა ვეჯინის თავზე. სამკუთხე- ჯეჭონდათ მრავალნი და ბრაზილიაში მიემგზავრებოდნენ. ოსადაცას მღეროდნენ კიდევ, პოლიფონიურად, ჩიტების სულელურ ენაზე.

ოლია ვარსიმაშვილმა ასი პური გამოაცხო თონები და შვილს უთხრა, სხვა სალდათებსაც აჭამეო. ნიკოს ეზარებოდა ვეროპამდე პურებით სიარული და დედის გამომცხვარი შოთები სოფლის ბოლოს დაურთავა მეზობელ ბავშვებს. ვერაინ ხვდებოდა საიდან მოიტანა ოლიამ იმდენი ფქვილი, მაგრამ კომუნისტებს მანიც არ დაუსჯიათ. ომი იყო და არ ეცალათ ანტისაბჭოთა ელემენტებისთვის. ბავშვებმა კი ძალიან გაიხარეს, რადგან არც ერთ მათგანს არ ჰქონდა სახლში საჭმელი. გიჟი კი არა, ჯივარი ყოფილაო, ამბობდა და ილუქებოდა თორმეტი წლის ფირუზა ჯამატაშვილი. ნეტა ჯერ ავთამატის სროლა ასწავლონ და შემდეგ გაუშვან ფრონტზეო, იკრიჭებოდა მენისქვილე ქარუმა. დედა ენაცვალაო, ნასკები სახში დარჩა, ფეხები არ დააძრესო, იცრმულებოდა ოლია. მერი კი სახლის სხვენზე კითხულობდა ნიკოს დატოვებულ „გრაფინია დე მონსოროს“ და ერთი სული ჰქონდა, ჰიტლერი მისი შეყვარებულის ტყვით მისიკვდილებულიყო.

* * *

*„ერთ დილას, მე გავიღვიძე...
ო, ლამაზო, მშვიდობით,
მშვენიერო, მშვიდობით,
ერთ დილას, მე გავიღვიძე,
რომ მეპოვა დამპყრობელი!
ო, პარტიზანო, წამიყვანე,
ო, ლამაზო, მშვიდობით,
მშვენიერო, მშვიდობით,
ო, პარტიზანო, წამიყვანე, რომ მოეკვდე...“*

* * *

მე ცაში ყურება მიყვარს. ჩემს სოფელში ყველაზე ნითელი ღრუბლებია. შენ არ გეცოდინება. არც მათ იციან, ჩემმა თანასოფლელებმა, რადგან ზემოთ არასდროს იყურებიან... ასე მე უზნებოდა ხოლმე. მე არ ვიცი... ახლაც არ ვიცი, რას ნიშნავს ნითელი ღრუბლები. ალბათ არც არსებობს. ჩემთვის ღრუბლები თეთრია. არა, ჩემთვის კი არა, საერთოდაც ასეა. ვერაინ იტყვის, რომ ღრუბლები თეთრი არაა. საერთოდ, ძალიან ნიჭიერი ყმაწვილი იყო. რავაცო მოლტო ჯენტილე. ბელ უომო. ვერასდროს წარმოიდგენთ, როგორ უხდებოდა გერმანელთა შავი მუნდირი, რომელიც იმიტომ ჩაიცვა, რომ გერმანელებზე მოეტყუებინა. ძალიან უხდებოდა. გერმანელებზე მეტადაც კი. ვერაფერს იტყვი, ძალიან ლამაზი ფორმები ჰქონდათ გერმანელებს. მე ვუუბნებოდი, რომ არ გადაეგდო და როცა აღარ დასჭირდებოდა, ჩემთვის ეჩუქებინა. უარი მითხრა. დამპირდა, რომ ომის შემდეგ თავად მიყიდავ საოცრად ლამაზ ტანსაცმელს და ჩექმებსაც, რომლებსაც პიცა დუომოზე ჩა-

ვიცვამდი, როცა მილანში წამიყვანდა ყავის და-სალევად. როგორ გგონიათ, რამდენი დრო სჭირ-დება ადამიანს, რომ იტალიურად ალაპარაკდეს? მე ფიქრობ, რომ ერთ წელზე მეტი უნდა დას-ჭირდეს. ალბათ თქვენც ასე ფიქრობთ. ენის შეს-ნავლა არც თუ ისე ადვილია. ის კი ორ თვეში იტალიურად მესაუბრებოდა. ტუ პუიო იმაჯინა-რე? სოლო დუე მეზი, ელუი ა პარლატო იტალი-ანო. ისე უნდოდა, ერთმანეთის გაგვეგო, რომ საოცრად სწრაფად შეისწავლა ჩვენი ენა. ნიგ-ნის ნაკითხვაც კი სცადა. ისეთ ნიგნებს მთხოვ-და, რაც საკუთარ, ანდაც რუსულ ენაზე უკვე ნაკითხული ჰქონდა. ასე კიდევ უფრო კარგად ითვისებდა იტალიურს. მახსოვს, „დეკამერონს“ კითხულობდა და მთხოვდა, რომ მეც იქ ვყოფი-ლიყავი. ეშმაკობდა. ცდილობდა ენიშნებინა ჩემ-თვის, რომ ჩემი შეცდენა უნდოდა. სულელი. მით სტუმპილი ბიბიო. მე ხომ უკვე მიყვარდა და სწო-რედ ამას ველოდი მისგან. დავინახე თუ არა, მა-შინვე საოცარმა ყრუანტელმა დამიარა და შემ-დეგ ეს ყრუანტელი სულ უფრო და უფრო ძლი-ერდებოდა. ვხვდებოდი, რომ ერიდებოდა იმის გაკეთება, რაზეც ოცნებობდა, რადგან ჩემს ძმას-თან, ჯაჩინტოსთან მეგობრობდა. ჯაჩინტო მი-სი თანამებრძოლი იყო. სხვათა შორის, ერთ-ერთ ფოტოზე ჯაჩინტო ვიტორიო ბლანდინოსთან ერთად ჩანს. ყველაზე ძლიერ პარტიზანთან, რო-მელსაც ჩრდილოეთ იტალიაში უბრძოლია. აზ-რი გამიწყდა. მგონი იმას ვიყვებოდი, რომ მას ძალიან უნდოდა ჩემთან დანოლა, მაგრამ ჯა-ჩინტოს გამო თავს იკავებდა. მივხვდი, რომ მე უნდა მიმელო გადაწყვეტილება. როცა დიდხანს ფიქრობ, სულ უფრო და უფრო გტყამს დანაშაუ-ლის შეგრძნება და ვიცოდი, რომ ისიც საბოლო-ოდ მეფიცოდა, რომ მისი ძმის და ვარ. ამიტომ, მისთვისაც დედამამივილად ვითვლები. ჩვენთან ასე არ არის, მაგრამ თქვენს კულტურაზე ბევრს მიყვებოდა და ვიცოდი, რომ ბოლოს ასე იფიქ-რებდა. იმ ღამეს ვუთხარი, რომ ომამდე მშობ-ლებთან ერთად ტურინში ვიყავი. ამორე, ინ ტემ-პო დი პაქე, იო ს ტატა ა ტორინო კონ ი ვენი-ტორი. მოვუყვები, რომ იქ, ტურინში, უამრავი ფოტოატელი იყო, ყველგან შევიარე და მიწ-დოდა ფოტოები მისთვის მეჩვენებინა. ძალიან გაუხარდა. მე კი ვუთხარი, რომ ეს ფოტოები არა სახლში, არამედ ეზოს ბოლოს, ჩემს ბავშვო-ბისდროინდელ ქოხში მქონდა შენახული. სიხა-რულით წამომყვა. როცა შევედი, ის სულელი-ვით მელოდა, როდის მოვნახავდი ალბომს. მე კი ვაკოცე. ის მიშორებდა. ამბობდა, რომ ეს არ შე-იძლება. გაფითრდა. თითქოს ის საოცრად ხში-რი, შავი უღვაშიც გაუთეთრდა. მე მაინც არ ვჩერდებოდი და ვგრძნობდი, როგორ სუსტდე-ბოდა მასში წინააღმდეგობის სურვილი და რო-გორ ძლიერდებოდა მისი მკლავები ჩემს წელზე.

ყელში ვაკოცე. გავიგონე, როგორ ცდილობდა შეეკავებინა ნეტარებისგან აღმოხდენილი ბე-რები და მეციხებოდა. შემდეგ... შემდეგ თქვენი საქმე არ არის. ერთ კვირაში აღარ მყავდა. სწო-რედ იქ, იმ ქოხიდან ასი მეტრის დაშორებით ვიტუციო ბლანდინოს სახლში დახვრიტეს გერმა-ნელებმა. ვიტუციომ თქვა, რომ იქ იყვნენ, ის, ჯა-ჩინტო, პიეტრო მოსკარდელი და ნასყიდა იმე-დაშვილი. შეეშინდა ვიტუციოს. იცოდა, რომ თუ არ ვასცემდა ბიჭებს, შემდეგ მის სახლში იპო-ვიდნენ, მასაც მათთან ერთად დახვედნენ. ერთი კვირა ენყო მათი სხეულები მარცაბოტო-ში. ასე დავგინარეს, რომ თუ მივეკარებოდი, ჩვენც დავგვოცავდნენ. ალბათ იმის ჩვენება უნ-დოდათ ყველასთვის, რომ ვინც უთი წინააღმდეგ ნავიდოდა, ისიც ასე ინებებდა, მუსიკოცხლად და დაუმარხავდა... არ მივუახლოვდით? ერთი სული მაქვს ენახო სად დაიბადა. მართლა? ანუ სადაცაა მივალთ, ხომ? ძალიან ვნერვიულობ. თითქოს ხელახლა უნდა გავიცნო.

* * *

ნუ მიყვები ოპტიმისტურ ზღაპრებს მკურნა-ლი დროის და ახალი ცხოვრების შესახებ, რ-ომელსაც ადამიანის შემგულებური ბუნება ჰქვია, რადგან მე ვაპირებ მოგიყვე გოგონაზე, რომე-ლიც ვენახებში იმალებოდა და არავის აჩვენებ-და მთლად დასველებულ ბოლო წერილს, რომე-ლიც პოლტავადან მიიღო, ათას ცხრაას ორმოც-დასამ წელს.

მერი ვერ იტანდა მამას, რომელიც თვეში ერ-თხელ ევრობოდა ახალ სასიძოსთან ერთად. ამა-ყობდა, რომ არასდროს უჯერებდა მას. ფიქრებ-და, ალბათ ნიკოს ნიგნების ბრალითა და ეტირე-ბოდა. ციციანათლებსაც სწორედ მაშინ აგრო-ვებდა, ატირებული და ოხნავ გაბრაზებული, რად-გან შემდეგ ნიკოსთვის ეჩვენებინა როგორ გაა-ნათებდნენ მისი დაბრუნების პირველ ღამეს ათა-სობით და ასეთი წინათლე, მხოლოდ მათ ექნე-ბოდათ ნანახი. მამაც ვერ იტანდა მერის, რადგან მიაჩნდა, რომ კაცი იყო. მისთვის კაცობა სიტყვის ურყეობას ნიშნავდა. მერი მამისაშვილის მამა ყო-ველ ახალ სასიძოს აღმდეგად სიტყვავს, რომ მისი კოხტა გოგონა მალე სასიძოს საძინებელს დაამ-შვენებდა, როგორც სახალწლო მოსართავები დიდი ქალაქების არც თუ დიდ ღამეშიონებს. მერი კი არ აპირებდა ლოდინის შეწყვეტას და ყველა კარს მომდგარ ყმანჯილს მარტოს უშვებდა საძი-ნებელში. მამა ქამრით სცემდა მერის. მწარდე-ბოდა, როცა დასცილიდნენ. იდგნენ სოფლის ცენ-ტრში უსაქმურები და სულ დასცილოდნენ, რად-გან მერის მესამე უარის შემდეგ, მთელი ვეჯინი გასართობად ელოდა ხოლმე ახალ სასიძოს, რ-ომელსაც პავლე მამისაშვილი აარჩევდა და სახ-ლში მიიყვანდა, რომ კიდევ ერთხელ გატეხილი-

ყო მისი სიმსუბუქეთი განთქმული სიტყვა ქალიშვილის უეჭველი გათხოვების შესახებ.

მერი ვერ იტანდა დედასაც, რომელიც საერთოდ ხმას არ იღებდა, მაგრამ ერთი ცხელი ზაფხულის ერთ ნითვად დღეს, რატომღაც ლაპარაკი და აზრების ფრქვევა მოუწდა. ქალიშვილს შავი კაბა მიაჩნია და უთხრა, რომ თუ არა თხოვდები, ეგ ჩაიცვი და ქვრივად მაინც დაუდევნი იმ ბიჭს, ეგ დიდი ხნის მკვდარია და ჩითის კაბებით ტყუილა უცდით. მაშინ მერმ რკინის სათლი ცივი წყლით აავსო, ავიანზე ავიდა და დედას თავზე გადაასხა. თან გაჰყვიროდა, ტვინი გადაგებურებია, ეგრე უნდა გიმკურნალო, თორემ შენს მეტი ვინა მყავს, დედოილო?! მაშინაც მთელმა სოფელმა გაიგო ეგ ამბავი და პაუელ მამისაშვილიც კიდევ ერთხელ შერცხვა და უმორჩილებელი მერის გამო. ამბობდნენ, მაგ დღეს პირველად იყო, პაუელმ მერის კომბლით რო სცემო. ქამარი ახალი ნაყიდი ჰქონდა გურჯაანში და დაენახა გასაცვეთადო. ტკივილებმა მალე გაურთა, მაგრამ ერთი თვე მაინც არავის ენახებოდა მერი. ბებრები ამბობდნენ, სუ დალურჯებულა და მაგისი რცხვენიყო. ზოგი თანატოლი იცინოდა, ეხლა მაინც ჰო ვერ იტყვის, რო ჩვენზე კობტაო.

მერე ყველა საბჭოთა რადიოში ერთი ხმა ისმოდა. ბერლინი ავიღეთო. გოგონები ვენახში გაიქცნენ და მერის დაეხვივნენ, რადიოში ნიკო ლაპარაკობდა და იძახდა ბერლინი დუქცაო. მერმ იკითხა, ქართულადო? გოგონებმა უშახუხეს, ისე უსწავლია რუსული, ერთი სიტყვა არ ეშლებო. მერმ გაიღიმა და კიდევ ერთხელ მიიკრა პოლტავადან გამოგ ზავნილი წერილი. უნდოდა დაჯერება და დაიჯერა. მარტვილად დასცინოდნენ სასონარკვეთი გოგოს. თან ამბობდნენ, ნიკოც ჰო გაიფი იყო და როგორ იმსგავსა შეყვარებულიო.

* * *

- საღამო მშვიდობისა, ქალბატონებო! - მიესალმა სოფლის ქალებს ჟურნალისტი.
- საღამი გენაცვ... - თქვა ერთმა მოხუცმა.
- ტელევიზია ხაართ? - იკითხა მეორემ.
- ჰო, დაახლოებით. ბებო, ნიკო ვარსიმაშვილი გახსოვთ თქვენ?
- ნიკო? რომელი ნიკო?
- აი, ომში რომ წავიდა.
- მერის ნიკოზე იძახის გო... - კისკისით გადაურჩრულა ერთმა მოხუცმა მეორეს.
- მახსოვს, როგო არ მახსოვს. - ემბაკურად იღიმოდა მოხუცი ვეჯინელი ქალბატონი.
- სახლს ვერ მიმასწავლით? - ჰკითხა ჟურნალისტი.
- რათ გინდა?
- სიუჟეტს ვაკეთებ. აი, მისი იტალიელი შეყვარებულიც გვახლავს.

- შეყვარებული?
- დიას.
- ჰაჰაჰაჰა... - სიცხლი აუტყდა მოხუც ვეჯინელ ქალბატონს.
- რა მოხდა, ბებო?
- მიგასწავლი, მა რას ვიზამ, რატო არ მიგასწავლი?
- მაღლობელი დაგრჩებით. თქვენი სახელი?
- ნინელა მახარაშვილი!
- სასიამოვნოა.
- ჩემთვისაც.

* * *

როცა აგვისტოში ლამდება და მზე კავკასიონის უკან იმალება, ამ ეზოდან ნითელი ღრუბლების დანახვას შეძლებთ. ასეთი ჯადოსნურია ეს ეზო და ის სულები, რომლებიც მასში ცხოვრობენ და თავს ინონებენ ჰუგო ბოსის შეკერილი ფორმებით, რომლებიც ქერა, ლამაზად დავარცხნილ მტრებს მოჰპარეს. ამიტომ, შენ ამ ეზოში არაფერი გესაქმება, ნინელი მახარაშვილო. იმიტომ, რომ არც ჯადოქრობის გჯერა და არც სინმინდეების. შენ დიდი ხნის წინ გაგაგდეს აქედან და ახლა რომ გამოჩნდი, ეს მხოლოდ უბედურების ნიშანია. უბედურებაა, როცა შენ იღიმი, რადგან ნახევარი საუკუნეა არავის უნახავს შენი სახე ბედნიერი. შურისმაძიებლებს კი ბედნიერი სახე მხოლოდ მაშინ აქვთ, როცა უბედურების დატრიალებებს აპირებენ.

- ამისთვის იცდიდი მთელი ცხოვრება? - ჰკითხა ნინელიმ მერის.
- თქვენ ამ ოჯახის ახლობელი ხართ? - ჟურნალისტიმაც ჰკითხა მერის.
- მეზობელი ვარ... - ხმა უკანკალებდა გოგონას, რომელიც პირველად დაბერდა ოთხმოცი წლის განმავლობაში.
- ამისთვის გამაგდე? - არ ისვენებდა ნინელი. სინიორა ვალერია ეხუტებოდა და კოცნიდა ნიკოს დას. მას წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ სხვა ქალის ცხოვრება მოიპარა.
- მერი, ვინ არი ე ფირმა ქალი? - დაბნეული კითხულობდა მანანა ვარსიმაშვილი.
- ნიკოს შეყვარებულია მანანა... - სიცხლით უთხრა ნინელიმ.
- მა, მერი ვილა? - კითხულობდა დაბნეული მანანა.

მერმ შეუმჩნევლად დატოვა მაგიდაზე ვარსიმაშვილების საგვარეულო ბეჭედი და თავდახრილი წავიდა სახლისკენ. ჭალარა რომ გაერია, მას შემდეგ თმას მხოლოდ ძილის წინ იშლიდა. იმ დღეს კი, როგორც მომიყვინ, სახლისკენ მიმავალ გზაზე თეთრი თმა სახეზე ჰქონდა ჩამოშლილი და მარჯვენა ხელით ფფერებოდა კიდევ. თვითმკვლელობა სისულელეა, რადგან სხეულის ფეთქება არანაირი კავშირი არ აქვს სიცოცხლესთან.

რამაზ გიგაური

გლახას მარყუქი

- გაქვავებული უკანალი აქვს, - ნაიბურტყუნა ვილაცამ ჩემ უკან. შესაძლოა, ელიმამ ამ სიტყვების ყური მოჰკრა, - უნდა გაეგონა ხითხითი, რომელიც ამ შენიშვნას მოჰყვა, - მაგრამ ყურადღება არ მიაქცია.

- წარმოდგინეთ, რომ ტლოვანი ან თხიერი სხეული გაქვთ, უნდა მოდუნდეთ.

როდესაც ხელები ჩემს უმანკო უკანალზე ედო, უნდა მოვდუნებულიყავი.

- რატომ იკავებთ სუთქვას?

მან ჩემ გვერდით ჩაიმუხლა და ნელა წაინაწინ, სანამ ჩვენი მხრები ერთმანეთს შეეხებოდა, თავი მიატრიალა და მისი ერთი წანწავი იატაკს შეეხო. წარმომიდგა ბავშვობა, საზარეულოს მაგივრის ქვეშ შეუჭული ორი ბავშვი, დაღვრემილი ბიჭი და გოგონა, რომელიც მას სახეში შესციცინებდა.



- გიხსარიტ, ტალა-მეთქი, არ მითქვამს, რომ ტალიტის ქვეშ უნდა ჩაყენითო. ჩაისუნთქეთ, მამაო... ჩაისუნთქეთ.

ზურგზე ხელი მსუბუქად დამარტყა და მეორე მონაფესთან მივიდა. ჩხრიალი გავიგონე, შემდეგ კი თვალი მოკარი სამაჯურებს მის გამზდარ ფეხებზე. ფეხშიშველი იყო. ჩაისუნთქე.

უსუფთაო ხალიჩას ყურადღებით დავაკვირდი. ნამცხვრების ნამცეცები, მკვდარი ჭიაშიაიები, ცხვირტყეპლა ხოჭოები, უცნაური, ფსორიაზისმაგვარი ლაქები გაცილებით მეტი იყო, ვიდრე უნდა ყოფილიყო. რა თქმა უნდა, ჩვენი მრევლი ამ დარბაზში ხშირად იკრიბება ხოლმე და ამით ვამაყობ, მაგრამ არ მსიამოვნება აზრი, რომ აქ შიშობლებოდა ბავშვებს ეცოცათ ან მოზრდილებს ევარჯიშათ.

მარტოხელა დედას, რომელიც გარკვეული გასაზრჯლოს სანაცვლოდ აქაურობას ალაგვდა და მტკუნასარტით ასუფთავებდა, ვერ ვუსაყვედურებდი, რომ უფრო გულმოდგინედ უნდა ემუშავა. ერთხელ უკვე ვუსაყვედურე, რომ მუშაობის დროს სიგარეტს ეწეოდა. ერთ-ერთი თაროს ქვეშ თვალი მოკარი ნახევრად შეჭმულ ფუნთუშას. იქვე ეგდო პლასტმასის კომპასი, რომელიც ბავშვებს საბავშვო ჯაბაგების დროს დაუვრდებდა.

აზრები მეფანტებოდა. სიუზი უელჩს შევხედე. ინსტრუქტორის გარდა, ის ერთადერთი ადამიანი იყო, რომელსაც სავარჯიშო ფორმა ეცვა და თან მოეტანა დახვეული ნოზი, პირსახოცი და წყლის ბოთლი. ნარბები ასწია და გამიღიმა, თითქოს მეუბნებოდა, განა ყველაფერი ეს მშვენიერი არ არისო? მეც გავუღიმიე და თავი დავუქუნიე, სანამ მომდგნო პოზას მივიღებდი და ხალიჩის თვალღერებას განვაგრძობდი.

* * *

მეცადინეობის დამთავრების შემდეგ ჩემი კაბინეტისკენ გავენიე, თითქოს იმ მიზნით, რომ შემემოწმებინა ფოსტით მიღებული წერილები, მაგრამ, ძირითადად, იმისთვის, რომ ელიმას ჩემ გარეშე, თავისუფლად ელაპარაკა თავის მონაწევებთან. მიწოდდა ისიც შემემოწმებინა, როგორი განწყობილება მექნებოდა ერთი საათის განმავლობაში გაგრძელებული სუნიტებით და ფიზიკური ვარჯიშების შემდეგ, რომელთა წყალობით ჩემი სულიერი და ფიზიკური მდგომარეობა უნდა შეცვლილიყო.

იმისთვის, რომ მიხვდეთ, რას ნარმოადგენს რელიგიური ორგანიზაცია, უკეთესს ვერაფერს მოიმოქმედებთ, ვიდრე საეკლესიო ფოსტის გადახედვა. თუ არ ჩავთვლით იმეოთ პირად წერილებს ან შემთხვევით შენაჩის, რომელიც ხაზინანრობისთვის არ იყო განკუთვნილი და, ამგვარად, უშუალოდ მე მიგზავნიდნენ, ეს, მთლიანობაში, იყო ნაგავი, რომლის შეხედვისას გული მერეოდა ხოლმე: ულაზათო ბროშურები არანაკლებ ულაზათო საეკლესიო ავეჯის რეკლამებით, საკვირაო სკოლის ვულგარული მასალები, რომლებიც სახარებას სულგლერი ანიმაციური სურათების ანალოგიით განმარტავდა, მემარჯვენე ქრისტიანთა საინფორმაციო ბოულეტენები - „ილოცეთ გეებისთვის“, სადაზღვევო კომპანიებისა და ფირმების შეთავაზებები, ნივთიერი

თალღი შემინორსული ისტორიები და ფულადი შეზღოვებების მოთხოვნები, იაფფასიანი სანთლების, ფლუორესცენტული პლასტმასის ფიგურების, სხვადასხვა ზომისა და ფორმის ჯვრების რეკლამები, ჯინსის ქსოვილით ან ხნოს ტყავით გაფორმებული ბიბლიების თვალაგებები, კომპლექტისკები სატელევიზიო დოკუმენტური ფილმისა ნოეს კოდობნის შესახებ, რომელიც თითქოსდა ახლახან აღმოაჩინეს და მისი ნამდვილობა მეცნიერულად დამაბტკიცეს, სახელმძღვანელოები მღვდლებისთვის და ა.შ.

კარი გაიღო. ელიმა შემოვიდა.
- მეცადინეობამ საკმაოდ კარგად ჩაიარა, ხომ ასეა? - მითხრა მან.

- ძალიან კარგად ჩაიარა.
- ვეშობოდა, რომ არავინ მოვიდოდა.
სავარჯიშო კოსტუმზე მადრასული მარფო ჰქონდა მოხვეული და თმას იწნიდა.

- მეც ვშიშობდი, მაგრამ კარგი მრევლი გვყავს. თოთხმეტი ადამიანი მოვიდა. დიდ პარასკევს აშდენი ხალხი არ მოსულა.

- ოდესმე ამიხსენით, რატომ უწოდებენ მას „დიდს“? ახლა არა, როცა მოიცლით.

- ოდესმე იყოს. - და ელიმას გადავეცი ვნების კვირის წინგადა განრიგი, რომელიც დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ უნდა დამეგზავნა. - იწებ, დაეცნოთ.

- გამაღობოთ.
ელიმამ თვალი შეავლო ფურცელს. - არ ვიცოდი, რომ ქრისტიანები ღამეს ათევენ ხოლმე. უფრო სწორად, ორ ღამეს ათევენ. ინდოეთშიც ასე იქცევიან.

- ჩვენს ეკლესიაში კი ინდურ იოგას ეუფლებიან.

- სწორია დღეს მრევლის ნევრები მეცადინეობდნენ?


- დაახლოებით, სამი მეოთხედი მრევლის ნევრები იყვნენ, დანარჩენები - მათი ნაცნობები, მათ შორის, ჩვენი მორჩილი ვაგონას, ნიკოლის მეგობარი. ორნი მოვიდნენ იმის გამო, რომ წაიკითხეს ვახუშტი ჩემ მიერ გამოქვეყნებული განცხადება. სამი ადამიანის გარდა, ყველაწი ქალბერი იყვნენ.

- ნამასტე არ მოგწონათ?
დუნდულებში ყრუანტელმა დამიარა.
- ოჰ, ეს იყო... არა, რატომაც არ მომწონა. რატომ არ უნდა მომწონებოდა?

ელიმამ ამიხსნა, რომ ნამასტე არ მოსწონათ რეგიონულ საშუალო სკოლაში, სადაც ის კლასგარეშე მეცადინეობებს ატარებდა. სკოლის დირექტორის პროტესტის შემდეგ ქალმა მეცადინეობათა ამ ნაწილზე უარი თქვა.

- სახელმწიფო სკოლაში კრძალავენ ყველაფერს, რაც რელიგიას უკავშირდება. ამას სრულიად ვეთანხმები. მაგრამ მეგონა, რომ აქ ნამასტეს სანინა-აღმდეგო არაფერი ექნებოდათ.

შემდეგ ელიმამ მითხრა, ჩემი წასვლის დრო არისო. მისი სამი და ექვსი წლის ბავშვები არ იძინებდნენ, სანამ დედა მინ არ დაბრუნდებოდა. ხელის-გულები ერთმანეთზე მივაბტყუე და თავი დაუუკარი.



- ნამასტი! - ვუთხარი მე-
ელიმამ ჩაიცინა, შემდეგ სერიოზული გამო-
მეტყველება მიიღო და მისალმებაზე მიპასუხა. კვლავ
ილიმბოდა. მგონი, განითლდა კიდევ. გული ამი-
ჩუსდა.

* * *

მომდევნო მეცადინეობა გამოვტოვე, რადგან
საავადმყოფოში, უფრო სწორად კი, სასწრაფო დახ-
მარების განყოფილებაში უნდა მივსულიყავი, მაგ-
რამ შინ დაბრუნებულმა, ვივარჯიშე. ელიმამ დაგ-
ვირიგა იმ პოზების გამოსახულებები, რომლებიც
პირველ საღამოს გეასწავლა, ასევე - მოძრაობები-
სა და სუნთქვების ინსტრუქციები. ვცდილობდი,
ყველაფერი ნებისამებრ შემესრულებინა. როდესაც
ტელეფონი ანკრიალდა, გადავწყვიტე, ყურმილი არ
ამელო, რათა პოზა არ დამერღვია. მაგრამ მესამე
ზარი როცა გაისმა - ერთი ზართი უფრო ადრე, ვიდ-
რე ავტომობილსავე ამუშავებოდა - უკვე გამოვერ-
კვიე. საღამოს ათი საათის შემდეგ დარეკვისას, აღ-
ბათ, რაიმე მნიშვნელოვანი ამბის შეტყობინება სურ-
და. შესაძლოა, საავადმყოფოდან მირეკავდნენ.
მაგრამ არავინ მიპასუხა, როდესაც „ალო“ ყურმილ-
ში ორჯერ ჩაქაბე. ყურმილის დაკიდების შემდეგ
ვარჯიში აღარ გამიგრძელებია.

მესამე მეცადინეობაზე თითქმის ოცი ადამიანი
მოვიდა. ელიმას შევატყვე, რომ ჩემმა მისვლამ გაა-
ხარა. გუთხოვა, თითოეულ ჩვენგანს თავისი ვინაო-
ბა დაესახელებინა, რათა ახალ მონაწევებს თავი ში-
ნაურულად ეგრძნოთ.

გამიკვირდა, როდესაც დავინახე მოხუცი მთიე-
ლი კაცი, რომელმაც სავარჯიშო ნოხი ოთახის წინა
ნაწილში, ინსტრუქტორის გვერდით დააფინა იატაკ-
ზე და იქვე დაანყო თავისი სამუშაო ფეხსაცმელე-
ბი. თურმე, აქ იმისთვის მოვიდა, რათა შეემცირე-
ბინა სამედიცინო დაზღვევის ხარჯები. რეჯი დამი-
ძახეთო, თქვა მან. ნიკოლის მეგობარ ყმაწვილს შე-
უერთდა იმავე ასაკის კიდევ ერთი ბიჭი, რომელიც
ივინებოდა ხოლმე და ყოველთვის ამონებდა ჩემს
რეაქციას, როდესაც უწმანურ სიტყვებს წარმოთ-
ქვამდა.

ყველაზე უფრო საოცარი იყო რონდა დარლინ-
გის შენიშვნა, აქ იმიტომ მოვედი, რომ მენახა, რო-
გორ გამოიყურება ნოხზე მჯდარი მამა რეიო. რო-
დესაც შევედი, რონდა უკვე იქ იჯდა. მსუქანი ფე-
ხები მოეკეცა. უკვე ვიცოდი, რომ კეთილსურნელე-
ბისგან სული ეხუთებოდა ხოლმე (ვეჭვობ, რომ ამის
მიზეზი უფრო ლიტურგიისადმი უარყოფითი დამო-
კიდებულება იყო, ვიდრე - სუნთქვის უქმარისობა),
ამიტომ ვფიქრობდი, რომ არ ესიამონა, როდესაც
ელიმამ ორ სურნელოვანი ჩხირს ცეცხლი მოუკი-
და. რონდას არაფერი უთქვამს, თუმცა ხელით გა-
ფანტა კვამლი, როდესაც ჩხირები აბოლდა.

ელიმას სიმშვიდე ამას არ დაურღვევია. ჩუმად
წაილაპარაკა, „ბოდიშო“. აღერსიანად ჰკითხა რე-
ჯის, „აბა, როგორ უნდა დაანყოთ ფეხები, რეჯი?“
და თავი გაუსწორა. როდესაც რონდას ხველება
აუტყვია, ელიმამ არ ჰკითხა, კვამლი ხომ არ განუ-
ხებთო (კვამლი კი იმ დროისთვის იმდენი იყო, რომ
მორწმუნე ინგლისელ კათოლიკესაც კი შეაწუხებ-



და), არამედ სურნელოვანი ჩხირები მბოლავი ბოლოებით სუვეილებს ქოთნის მიწაში ჩაარჭო. როდესაც სიუზიმ უთხრა, კეთილსურნელება მომეწონათ, ელიმამ აშოაძორ ჩხირები, სულის შებერვით მოაცილა მინის ნამცეცები და სიუზის ნოხზე დაანყო.

ისევე, როგორც პირველ საღამოს, მეცადინეობის შემდეგ ჩემს კაბინეტში შევედი. ელიმამ წასვლის წინ მომინახულა. ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს უნდოდა, ჩემთვის კითხვა დეუსა, მაგრამ ვერ შეძლო. როგორც კი ოფისში შემოვიდა, ფეხდაფეხ შემოჰყენენ სიუზი და რონდა, რომლის მაისურზე დახატულ თევზის გამოსახულებაში ჩანერლიო იყო JESUS. სიუზის უნდოდა, რომ ელიმას შეეფასებინა, როგორ ასრულებდა ის ერთ-ერთ რთულ პოზას, რომელიც იოვას სხვა კურსებზე შეისწავლა. რონდაც კი, როგორც ჩანს, რაღაც სათქმელი ჰქონდა.

* * *

ალბათ, საეკისკოპოსო ეკლესიაში ნებისმიერ სხვა ქრისტიანულ კონფესიას უფრო ხშირად გვხვდებიან ადამიანები, რომლებსაც სურთ, სადაც სხვაგან აღმოჩნდნენ. ეს არიან ეკლესიისგან განდგომილი კათოლიკეები, რომლებსაც აღარ ძალუბთ დაემორჩილონ თავიანთი ეკლესიის შეხედულებებს სექსუალობის შესახებ, ყოფილი ევანგელისტები, რომლებიც დარწმუნებულნი ერთგულნი არიან ან არ სურთ დღითიღ თავიანთი შემოსავლების მეათედნი, იმედგაცრუებული უნიტარიები, რომლებსაც აღარ აკმაყოფილებთ „პროგრესული“ ბანალური ჭეშმარიტებების დიეტა და რელიგიის მეტაფიზიკურ საფუძვლში გარკვევა სურთ, - ვგვლა ეს ადამიანი აქ თავშესაფარს პოულობს, მაგრამ ცოტანი თუ განიცდიან კმაყოფილების გრძობას. იმიგრანტებისა და დევნილთა უმრავლესობის მსგავსად, მათ თავიანთი ტრადიციები აქვთ და ფიქრობენ, რომ, ალბათ, ახალი სამყარო ძველზე უკეთესია, თუმცა ყოველწინიად ცდილობენ, ეს სამყარო ძველს მიამსგავსონ.

ერთი მხრივ, ამგვარი ეკლესიური ექსპატრიანტები ამიდრებენ ჩვენს ტრადიციებს და თვითკმაყოფილების ჭაობში ჩაიძირვის საშუალებას არ გვაძლევენ. მეორე მხრივ, მათ, ვინც აირჩია ჩვენი ტრადიციები, გარდაუვალად ემუქრებათ საფრთხე იმ ადამიანების სახით, რომლებიც სიამოვნებით ჩაატარებენ ლატინიას „კოლუმბოს რაინდებს“¹ სასარგებლოდ ან ფანჯრების რაფებზე დადგამენ ქვის პატარა განუმების ან პატარა ოლივერ კრომველების ფიგურებს.

რონდა დარღინგს სურდა, სწორედ განემას შესახებ დამლაპარაკებოდა. როგორც ჩანს, მან ჩემი პირველი პასუხები მიკიბულ-მოკიბულად ან გაუგებრად მიიწინა. რონდა განუწყვეტილ იმეორებდა, კეთილსურნელებათა წინააღმდეგ არ ვარო, ამიტომ არ მესმოდა, რა ანუხებდა. გარდა ამისა, იოვას ვარჯიშების წინ სათვალეს ვისხნიდი ხოლმე და ვერ შევამჩნიე ის, რამაც რონდა ასე აღაშოოდა. ვიცო-

დი, რომ სარდაფის კედელზე დაკიდებული იყო რელიგიური შინაარსის მქონე სურათი, მაგრამ ვვარულდობდი, რომ ეს რომელიმე ცნობილი იოვას პორტრეტი ან ჩაკრების სქემა იყო. არაო, მითხრა რონდამ, ეს ინდუსიტური, ცხოველისთავიანი ღვთაება არიო.

რონდას თქმით, მას სხვა ადამიანთა რწმენების სანინააღმდეგო არაფერი ჰქონდა და არ ემხრობოდა იელოვას მოწმეებს, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ ამგვარი გამოსახულებების მეშვეობით ჩვენს სულს დემონები ეუფლებიან. მაგრამ რონდას სწამდა (და ვარაუდობდა, რომ მეც ასე ვფიქრობდი), რომ „ეკლესიის ერთადერთი საფუძველი უფალი იესო ქრისტეა“. ამიტომ ჩვენი გარემოც შესაბამისი უნდა ყოფილიყო, განსაკუთრებით, იმის გათვალისწინებით, რომ იოვას მეცადინეობებში მონაწილეობდნენ ჩვენი ეკლესიის მიმართ გარემუ ადამიანები.

შემდეგისდაგვარად ყურადღებით ვუსმენდი და მსურდა, რომ იოვას გაეუმჯობესებინა ჩემი კონცენტრირების უნარი. პრობლემა ის კი არ იყო, რომ ადამიანებს უფურადღებოდ ვუსმენ სოლმე, არამედ ის, რომ იმდენად ვამახვილებ ყურადღებას თანამოსაუბრის მიერ ნათქვამ პირველივე ფრაზაზე, რომ, როდესაც ის მეუბრება ამ მეხუთე წინადადებას ამბობს, შეიძლება, უფრო ანად, ვერ გავუგო.

ამჯერად წარმომიდგა არა ინდოეთი, არამედ ათონის მთის ფერდობები, სადაც ბერების თავყენისცემა ღვთისმშობლისადმი იმდენად ძლიერია, რომ არც ერთ მდებარეობით სექსის არსებას, კრუსხაც კი, უფლება არა აქვს, მიუახლოვდეს ამ ადგილებს. ეს თითქოს ფანატიზმი (და, შესაძლოა, გინოფობიის ერთგვარი გამართლება), მაგრამ სიყვარულს რადიკალურობა სჩვევია. „არ არსებობს ღმერთი, გარდა ალაჰისა“ - ესაა მორწმუნისთვის დამახასიათებელი თემა, თუმცა დარბაისელი ლიბერალი იტყვოდა: „ჩემთვის არ არსებობს ღმერთი, ალაჰის გარდა“. ვცდილობდი გამეზარებინა რონდას პროტესტი მორწმუნის პოზიციიდან. ისევე, როგორც სინაგოგაში არ დაკიდებენ ჯვარცმას, დაუმეხებული იყო, რომ ქრისტიანულ ეკლესიაში დაეკიდათ განცმას გამოსახულება.

- სწორედ ასეა, - თქვა რონდამ. - ამ აზრს უკეთ ვერ გამოთქვამდი. თუმცა მომიყვენა, რომ თქვენ რაღაც სხვაზე ფიქრობდით.

- სწორედ ამაზე ვფიქრობდი.

პირადად მე სპილოსთავიანი ღვთაების სანინააღმდეგო არაფერი მქონდა. ბოლოს და ბოლოს, ეს სურათი სარდაფში ეკიდა და არა ზევით, და ის ჩვენს სტუმარს ეკუთვნის. ვეთანხმებო პაულე მოციქულის დებულების ფართო გაგებას იმასთან დაკავშირებით, რომ ქრისტიანისთვის ყველაფერი წმინდაა, თვით „ქერპების სამსხვერპლო საქმელიც“, იმ პირობით, რომ ეს არ გამოირჩებას ეჭვებს უფრო სუსტი „კრავების“ სულში. სახარების ეს ფრაგმენტი რონდას ნავეუიხებ, მაგრამ შევატყვე, რომ არ დაფიქრებულა ამაზე.

- ეს ჩემი თვალსაზრისია. უნდა ვიზრუნო უფ-

1 „კოლუმბოს რაინდები“ - რომის კათოლიკური ეკლესიის მოძრაობა. ის მიზნად ისახავს, გააგრძელოს საქმიანობა ქრისტიანული კოლუმბისა, რომელმაც ქრისტიანობა შეიტანა ამერიკაში.



რო სუსტ კრავებზე.

დავაკვირდი, მაგრამ სახეზე ირონიის ნიშან-წყალიც არ ეტყობოდა.

- ალბათ, არ შეეცდები, თუ ვიტყვი, რომ სიუზი გაცილებით უფრო სუსტი კრავია. არც კი ვიცოდი, რა ერქვა სპილოსთავიან ღვთაებას. მან კი იცოდა.

* * *

თუკი რაიმე ეჭვი მქონდა - ვალიარებ, რომ მქონდა, - რომ ელიმა ცდილობდა ცოტათი გაეფართოებინა ჩვენი სარწმუნოების საზღვრები, ეს ეჭვი გამიქრა მის პასუხთან ერთად, როდესაც მოკრძალებით აიფხსენი, რატომ ვაალიზიანებდა განემას გამოსახულება ჩვენი მრევლის ზოგიერთ წევრს. ლამის იყო, ეტირა. არ სურდა, რომ მისი ცრემლები შენახა, ამიტომ სწრაფად შეტრიალდა და ჩემი კაბინეტიდან გავიდა. უკან გავყვი და დავინახე, რომ სურათს კედლიდან ხსნიდა.

- სამწუხაროა, - მითხრა მან. - აღარ მოვიდე?
- უნდა მოვიდე თხომე! ეფიქრობ, თქვენი მონაფეხებიც ასე ფიქრობენ.

ელიმამ სურათი მოჭმუჭნა და ნავის ვედროში ჩააგდო. ნერწყვი გადაყალბა.

სურათი ამოვიღე და შეეცაღე, გამესწორებინა.
- მგონი, განემა დაკარგული ნივთების ღმერთია, ხომ?

ელიმამ თავი გააქინა.
- არ ვიცი. ვილაცამ მითხრა, რომ ის იოგას ღვთაებაა. ამიტომაც დავკიდე კედელზე. რელიგიური ადამიანი არა ვარ.

- მაგრამ ძალიან ამაღლებული სული გაქვით.
- სიუზის ელაპარაკეთ?

- დიახ.
განემას ფართო თვალებს დახედე.

- თუ სანინალმდეგო არაფერი გაქვით, ამ სურათის ჩემს კაბინეტში დავეიდებ. გამახსენებს იმას, რის დავიწყებაც არ მსურს. გამომყვიდე, დამეხმარე.

ჩემს კაბინეტში შევბრუნდი და ფოტოსურათი მივამაგრე განცხადებათა დაფაზე, კარადების გვერდით. იქვე ეკიდა წმინდა ფრანცისკეს გამოსახულება, რომელიც კათოლიკე კოლეგამ მარჯუა, ასევე - ლია ბარათები მერი ჯონსისა და სოჯორნერ თრუსის გამოსახულებები. ელიმამ მკითხა, ამის გამო რაიმე უპატივცემუბანო ხომ არ შეგმთხვევიათო. ვუპასუხე, რომ ეს არ მოხდებოდა. სამრევლო დარბაზში დაკიდებული განემას გამოსახულება სხვადასხვაგვარად შეიძლება განემარტათ, მაგრამ ჩემს კაბინეტში არავის არაფერი ესაქმებოდა და ჩემი თვალსაზრისი - რომელსაც ყველას ვაუზიარებდი - ის იყო, რომ ღმერთი მეტია, ვიდრე ჩვენი ნებისმიერი რელიგია. ამიტომ შემეძლო კაბინეტი ჩემი ნება-სურვილის შესაბამისად მომეწყო.

- თუ ნებას მომცემთ, გკითხავთ, რატომ აქვს განემას სპილოს თავი? ცხოველისთავიანი ღმერთები ეგვიპტურ ფრესკებს წააგავს. ინდოეთში ამას განსაკუთრებული სიმბოლური დატვირთვა აქვს? შეგიძლიათ, რომ ამხსნათ?

- ალბათ, აქვს. ჩემთვის ცნობილია ეს მითი.
- ძალიან კარგი.

- განემა ღმერთისა და ქალღმერთის გაუი იყო. სახელები კარგად არ მახსოვს - მგონი, განემას მამა შიგა უნდა ყოფილიყო. დედა იყო... დედა-ქალღმერთი. ერთხელ დედამ სთხოვა განემას, ყყარაშა, სანამ თვითონ იბნანებდა. მაგრამ როდესაც მამამ ამის შესახებ შეიტყო, განარისხდა და განემას თავი მოკვითა.

- რომელიც ამის შემდეგ ფროიდისეულ ანალიზს ეწევა.

- რა ბრძანეთ?
- არაფერი. ბოლომდე მიამბეთ ეს მითი.

- ქალღმერთი ძალიან შეწუხდა და განუწყვეტელივ ციროდა.

ელიმას გაეცინა. შესაძლოა, გაახსენდა, რომ ახლახან თვითონაც იტირა.

- ღმერთი დადარდინდა იმის გამო, რომ ცოლი ასე წუხდა და დაპირდა, რომ განემას მიაკერებდა ნებისმიერი ცხოველის თავს, რომელსაც პირველად დინახავდა.

- ძველ თავს ვერ მიაკერებდა?
- არა მგონია. პირველი ცხოველი, რომელიც ამის შემდეგ შივამ დინახა, სპილო იყო. შივამ მისი თავი საკუთარ ვაჟს მიაკერა. არ ვიცი, რა დაემართა საბრალო სპილოს.

- ძნელია ზარალი აუნაზღაურო ადამიანს, ხომ ასეა?

ელიმა ხუმრობას კვლავ ვერ მიმიხვდა. საკმაოდ სულელური ხუმრობა იყო. იოგას მომდევნო გაკვეთილის დაწყების წინ იქ, სადაც განემას გამოსახულება ეკიდა, ყვაილებიანი ღარნაკი დადგა.

* * *

გაკვეთილის დაწყებამდე ელიმამ იკითხა, ვინ ჩანს ანკო ყვაილები ღარნაკში. პასუხი ვერავინ გასცა. „ძალიან ლამაზი ყვაილებია!“, - თქვა ქალმა, ხელისგულები ერთმანეთს მიატყუბა და ყვაილებს თავი დაუკრა.

- როგორც ჩანს, ფარული თაყვანისცემელი გავიჩნდათ. - შენიშნა რეჯიმ. - სანაძლეოს დადებ, რომ ასეთ ლამაზ ქალს უამრავი თაყვანისცემელი ეყოლება.

- საკუთარ თავსაც მათ რიცხვს მიაკუთვნებთ? - იკითხა ვილაცამ. მგონი, რონდა იყო, მაგრამ დარწმუნებული არა ვარ.

- არაფერი გეტყვით, - თქვა რეჯიმ და ხელი ასწინა, თითქოს იფიცებდა.

- ადამიანი-სპილო სად გაქრა? - იკითხა ერთერთმა ყმანვილმა. - ლამაზი სურათი იყო.

- მეგობარს ვაჩუქე, - უპასუხა ელიმამ.

- იქნებ, ეს ყვაილები მეგობარმა მოგიძღვნათ?
- ვისაც არ უნდა მოეძღვნა, მისი მადლიერი ვარ. კურთხეულ იყოს ეს წმინდა ადგილი და ჩვენ ყველანი.

- ამინ! - წარმოთქვა რონდამ.

- აბა, დავიწყეთ...

გაკვეთილის შემდეგ ელიმა ჩემს კაბინეტში არ შემოსულა. ვიმოდუნებდი, რომ ყვაილების ხილვამ არ შეატყუნა. შესაძლოა, კაბინეტში შემოიხედა, დანახა, რომ დაკავებული ვიყავი და წავიდა. თან ხომ რონდა შემომყვა. ქალს მრგვალი სახე ვარჯიშის შემ-

დევ განსითლებოდა. ლოყაზე თმის რამდენიმე სველი კულულები მისწებებოდა.

- მიწოდდა მადლობა გადაუმხადა იმის გამო, რომ წინა კვირას მომისმინეთ.

- კარგია, რომ თქვენი აზრები გამოიზარეთ.

- შევამჩნიე, რომ სურათი მოხსენით.

ვერ შეამჩნია, რომ განეშას გამოსახულება ახლა ჩემს კაბინეტში ეკოდა. ეს არც დასჭირვებია. მის უკან სიუზი იდგა.

- მიწოდდა მეკითხა, სად შეინახეთ ჩემი განეშა. როგორც ჩანს, ელიმამ ეს გამოსახულება იმას გადასცა, ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდება. აი, ამას უწოდებენ სულელებს.

* * *

დიდმარხვის ბოლოს და ჩვენი მეცადინეობების დასასრულს შევიტყვე, რომ მრევლის წევრებს შორის ორი თუ სამი ჭორი გავრცელებულიყო. ერთი შეხედვით, სასაცილო იყო, მაგრამ, არსებითად - არც ისე სასაცილო.

პირველ ყოვლისა, იოგას ვარჯიშების საზღაურს თურმე შემოწირულებების ხარჯზე (და არა ჩემი კუთვნილი ფონდიდან) ვიხდიდი. მრევლის ნებისმიერ წევრს შეეძლო გაეფანტა ეს ჭორი, მაგრამ ის მრევლის წევრებისგან როდი შევიტყვე. მიწოდდა ეკლესიაში შესაბამისი განცხადება გამოიქვრა, მაგრამ გავიქრე, ხომ არ გავგიჟდი-მეთქი.

მეორე ჭორის თანახმად, ელიმასთვის თურმე ორი ათასი დოლარი გადამიხდია. სინამდვილეში კი ხუთასი დოლარი გადაუხადე - ას დოლარზე ნაკლებით თითო გაკვეთილის სანაცვლოდ. ნებისმიერი მღვდელი, რომელიც მენაცვლება ხოლმე ჩემი შევლებების დროს, ასზე მეტ დოლარს იღებს და, ასევე, უფასო სადილითაც უმასპინძლებიან. ამ ჭორსაც ყურადღება არ მივაქცია.

მესამე ჭორი, შესაძლოა, ჭორი არ იყო. ყოველ შემთხვევაში, ჩემამდე არ მოუღწევია. დიდმარხვის ბოლო შაბათს ჩემს მაგიდაზე კონვერტი ვიპოვე. მასში იდო ელიმას ფოტოსურათი, რომელიც, როგორც ჩანს, მისი საიტიდან ამოებეჭდათ. ელიმა ცალ მუხლზე ჩაჩოქილიყო და ხელები მაღლა აეწია. მის გვერდით, ლოტოსის პოზაში, განეშა იჯდა. ღმერთს ხორთუმი ელიმას კისერზე მოეხვია და გვირილების თავი უღულს მუქუბებს შორის სწრიდა. გადმოკარკული თვალებით ქალის მკერდს მისჩერებოდა.

ფოტო იმდენად საოცარი, იმდენად ბიზიერი და ბოროტი იყო, რომ რამდენიმე წუთი დამჭირდა, სანამ შევამჩნიედი: განეშა ხელში ლოცვანი ეჭირა და კისერზე სასულიერო პირის საყელი ეკვთა.

თავდაპირველად მიწოდდა, ფოტოსურათი ხელით მიმეჭმუჭნა, მაგრამ გადავიფიქრე. არსებობს ორი მნიშვნელოვანი შეცდომა, რომლებსაც ადამიანი ასეთ შემთხვევებში უშვებს ხოლმე. პირველ შემთხვევაში შეიძლება ხმაშავლა გამოითქვას ალშოფობა, იმ იმედით, რომ დამნაშავეს შერცხვება (თუმცა, კი არ შერცხვება, არამედ გაუხარდება). მეორე - კიდევ უფრო უარესი - შეცდომა იქნება შეურაცხყოფის მდუმარედ ატანა. ასე შეიძლება მოიქცეს სტიოკოსი ან აბსოლუტური იდიოტი, რადგან დუმილი ამგვარ შემთხვევაში საკუთარი დანაშაულის აღიარე-

ბას ნიშნავს.

მომემდ ავირჩიე სიუზი, რომელიც თავიდანვე იღებდა მონაწილეობას იოგას ვარჯიშებში. ვერწინობდი, რომ სანდო ადამიანი იყო. არასოდეს ინტერესდებოდა ჩვეულებრივი ჭორებით და ვფიქრობდი, რომ ახლაც ასევე მოიქცეოდა. აღმოჩნდა, რომ ინტერესდებოდა. უფრო მეტიც, ის გახლდათ წყარო დანარჩენი ორი ჭორის, რომლებიც მანამ გამოიზარა, სანამ ფოტოსურათს ვაჩვენებდი.

- აი, რა ვიპოვე ჩემს მაგიდაზე გუშინ. - ვუთხარი და კონვერტი გადავეცი.

ისევე, როგორც მე, სუზიცაც რამდენიმე წუთი დასჭირდა, რათა ყველაფერი გაეაზრებინა. როდესაც თვალები ასწია, შევატყვე, რომ ძალზე ალშოფოთებული იყო.

- აქ სასაცილო არაფერია, - მკაცრი კილოთი წარმოთქვა მან.

- მეც ასე მგონია.

იქნებ, სიუზი ფიქრობდა, რომ ეს ჩემი ნახელავი იყო. მაშინვე თავში გამიელვა აბსურდულმა აზრმა, რომ ეს ფოტოსურათი, შესაძლოა, მისი ნახელავი ყოფილიყო.

სიუზიმ კვლავ დახედა ფოტოსურათს.

- საშინელებაა.

- ეს რელიგიაა. - ნამოცდა უნებურად.

იმას გულისხმობდი, რომ ყოველივე ამას რელიგია იტანს. აი, რა უნდა ვებრძოლოთ, თუკი გადავწყვეტთ, გავყვეთ იესოს და შევაბიჯოთ ცხოვრების სიბიძხურესა და სისაძველეში. საქმე მხოლოდ თანაბარი სუთნება და ცნობიერების განვითარებაა. ნამოცდა, ეს რელიგია-მეთქი და ეჭვი მეპარება, რომ სიუზის ეს სიტყვები ისე გაეგო, როგორც მე მესმოდა. ალბათ, სრულიად სხვა რამ იგულისხმა, როდესაც თქვა, საშინელებაა.

იოგას ბოლო გაკვეთილი იმ ოთხშაბათს ჩატარდა. არ დაესწრებოვარ.

* * *

ვნების კვირაში კარგი ისაა, რომ ქადაგების დროს შეიძლება ილაპარაკოთ ყოველგვარი ცხოვრებისეული უსიამოვნებების: ღალატის, ეჭვების, შიშის, მარცხის, თავზარდაცემვი მარტოობის შესახებ. ყოველივე ამის შესახებ შეიძლება ილაპარაკოთ, განსაკუთრებით, ხუთშაბათსა და პარასკევს. უმნიშვნელოვანესი ვნების კვირა დაემთხვა ჩემს განქორწინებას. ამ წლის ვნების კვირა განსაკუთრებულობით მეორე იყო.

განუწყვეტილ ვფიქრობდი არა მარტო უზამსი სურათის, არამედ ნერილის შესახებაც, რომელიც მალევე მივიდე. ის ზობის ნირვის შემდეგ ვიპოვე ერთ-ერთი პალმის ქვეშ.

„ძვირფასო რეიმონდ!

წელს არ დავესწრები ვნების კვირის წირვებს და მიწა, რომ ჩემი საქციელი სწორად შეაფასოთ. არც ნაწყენი ვარ და არც შეუძლოდ გახლავართ. პირიქით, ასეთი ვანზნობი არასოდეს ყოფილავარ. უბრალოდ, მივხვდი, რომ არც ქრისტიანობა და არც ორგანიზებული რელიგიის რომელიმე სხვა ტიპი არ მომწონს.

ფიქრობ, უცნაურია ამგვარი დასკვნამდე მის-

ვლა მას შემდეგ, რაც თქვენ იკისრეთ იოგას ვაკე-თილების ჩატარება დიდმარხვის დროს, რაც ახლაც შესანიშნავ ინიციატივად მიმაჩნია. ეს ჩემი ჩანაფიქრი იყო. თქვენ გულწრფელად მოიწონეთ ის.

რატომ ვაკერიდებო? სინამდვილეში თქვენ ამასში ბრალი არ მიგიძღვით - უნდა იცოდეთ, რომ თქვენ გამომ ჩემი ვადაწყვეტილება უფრო გვიან ვაქციე საქმედ, ვიდრე მინდოდა.

როდესაც პირველად დაეწიე მეცადინეობა ელიმას სტუდიაში, ერთმანეთისგან მკვეთრად ვმიჯნავდი იმას, რასაც იქ სამშაბათს და ხუთშაბათს ვაკეთებდი და იმას, რასაც ვაკეთებდი წმინდა თომას ეკლესიაში კვირადღეობით. ცხოვრების ამ ორ წესს შორის ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ ვგრძნობდი და ველოდი, რომ ჰარმონიის შეგრძნება გამიჩნდებოდა, მაგრამ ის არ გამიჩნდა.

ყველაზე უფრო უარესი იყო ის, რომ შინაგან სიცარიელეს ვგრძნობდი, საშინელ სიცარიელეს. ალბათ, ასეთი სიცარიელე არავის ვახუცვლია. შესაძლოა, ვახუცვლია კიდევ. საქმე ისაა, რომ არ მსურდა ასე მეგრძნო თავი.

ამგვარად, მივდივარ, მაგრამ დიდი მადლიერებით ვიხსენებ, რამდენი სიკეთე გამოიჩინეთ ჩემ მიმართ, ასევე - მომაკვდავი დედაჩემისა და ჯერემის მიმართ, როდესაც მას სკოლაში პრობლემები შეექმნა (მოხარული ვარ შევატყობინოთ, რომ ახლა იქ ყველაფერი მოგვარდა). ვიმედოვნებ, ჩემი წასვლა უსიამოვნო განცდებს არ ვაგრძნობინებთ.

ყველაზე მეტად იმის იბედი მაქვს, რომ ელიმა მიყვება არ გავიცრუებთ. ჩემი ვადაწყვეტილება მისი ზეგავლენით როდი მივლავ. არსებითად, ვფიქრობ, როდესაც ჩემი ვადაწყვეტილების შესახებ ვაცნობ, თავი ცოტათი უხერხულად იგრძნობ, ასე რომ, როდესაც ნახავთ, რადგან ვამჯივდით. ვიცო - ნამდვილად დაამშვიდებთ, რადგან ყოველთვის ასე იქცევით.

მშვიდობით,
სიოზი.

უსამართლო იქნებოდა ამ საქციელისთვის ღალატი მენოდებინა და სწორი არ იქნება ვთქვა, რომ სიოზი მოღალატედ მივიჩნიე. მიტოვებულობას ვგრძნობდი... „ჰრქუა იესუ ათორმეტთა მათ: ნუუკუე თქუნცა გენბავს ნარსლის?“ სიოზი ჩემი ისეთი მონინააღმდეგე იყო, რომელსაც შეიძლება დავყრდნობოდა. ახლა ის აღარ მყავდა. მისი წასვლის შემდეგ ამაოების გრძნობა დამეფულა; სიოზიმ ეს თვითონვე იგრძნო და აღნიშნა თავის წერილში. მაგრამ თუკი წასვლა სურდა, ვნების კვირა ყველაზე უფრო შესაბამისი დრო იყო საამისოდ.

ვნების კვირის - ისევე, როგორც მთელი წლის - ყველაზე საყვარელი დღე ჩემთვის სუფთა ხუთშაბათია. თუკი შესაბამისი განწყობილება ვაქვით, ხუთშაბათის ლიტურგია საიდუმლო სერობას მოგვანებთ, რომელიც ამ დღეს აღინიშნება. მრევლის სიმცირე საერთო ეფექტს ხელს უწყობს. საკურთხევლის ვასუფთავება, შუქის ჩაქრობა, გეთიმანიანი მყოფი ქრისტეს განცდების შესახებ კთხვა აუცილებლად აიძულებს ნებისმიერ ადამიანს, გაიცნობიეროს საკუთარი სიკვდილის გარდაუვალობა. თუკი პოლიტიკატიმრები ან მკაცრი ასკეტები არა ვართ,

ვნების პარასკევს თავს ჩვეულებრივ მაცურებლებად ვიგრძნობთ, მაგრამ სუფთა ხუთშაბათის ჩვენ ყველანი მსახიობთა დასის წევრები ვართ. სული გულს-მოდგინე არს, ხოლო ზორცნი უძღურ. ასეთები ვართ.

ასევე, სუფთა ხუთშაბათის მღვდელი ფეხებს ბანს ყველა მსურველს, ხოლო წმინდა თომას ეკლესიაში - ხოლოდ რამდენიმე ადამიანს. მრევლის იმ წევრებმა, რომლებიც წინა წლებში ფეხების დაბანის რიტუალს ესწრებოდნენ, შესაძლოა, შეამჩნიეს, რომ როდესაც ემბაზის წინ დავიჩოქე, ზურგი და მხრები უფრო გამართული მქონდა. უფრო ღალად ვხსენიქავდი. რიტუალის დაწყებამდე, როგორც ყოველთვის, სათვალე მოვიხსენი.

რამდენიმე წუთში ყველაფერი დასრულდა. დავბანე დაახლოებით ათეკაციანი ჯგუფის ოთხი წყვილი ფეხი: ორი ქალის, ერთი მამაკაცის და ბავშვისა. დაახლოებით ვხვდებოდი, ვისი ფეხები იყო, მაგრამ დაწმინდებული არ ვიყავი.

გულწრფელად რომ ვითხრათ, იმ დამეს დაჟინებით არავის ვუყურებდი. არ მინდოდა, რომ ვინმეს ჩემი დარდი შეემჩნია, არ მინდოდა, რომ ვინმეს ეგრძნო, თითქოს მდუმარედ ვეკითხებოდი, „ეს შენ ხარ?“

წირვის შემდეგ, ჩვეულებრივ, იწყება ღამისთევა, რომელიც დიდი პარასკევის დღიამდე გრძელდება. ზოგიერთი ადამიანი - ხშირად ერთი და იგივე ადამიანები - მოდის ადრე საღამოს ან გათენებამდე ნახევარი საათით ადრე. სიოზის წასვლის შემდეგ ერთი ადამიანი ნაკლები შეხვდებოდა ვარსებაუს.

უეცრად გამახსენდა, რომ არც ერთხელ არ მიცვლია, გასულ კვირას გამოტოვებული ვარჯიში ამენახვალეოვინა - ვაკვეთილი, რომლის დროს აუხსნიდი ელიმას, რატომ უწოდებთ ვნების პარასკევს - დიდს. ესეც ჩემი კეთილი ზრახვები! ყოველ შემთხვევაში, შემეძლო გამეგრძელებინა იოგას ვაკე-თილები.

მას შემდეგ, რაც კოშკზე საათმა თორმეტჯერ დარეკა, ვავიგონე, რომ კარი ჯერ უჩუმრად გაიღო, შემდეგ კი დაიხურა და მიხვდი, რომ მრევლის უკანასკნელი წევრი წავიდა. საწილის შუქი ორპირი ქარისგან აციმციმდა და შემდეგ ჩაქრა. ნახვე მოვიკვალათე, ფეხსაცმელები გავიხადე, სათვალე მოვიხსენი და ჩემი პირველი პოზა მივიღე.

კარის გაღების ხმამ გამოიწვიებინა. თითქმის ერთი საათის განმავლობაში ვვარჯიშობდი. არ მსურდა დავენახე იმას, ვინც შემოვიდა. არც ის მინდოდა, რომ უხერხულბა მეგრძნო. ამიტომ, უბრალოდ, ლოტოსის პოზა მივიღე. შემოსულ ადამიანი სკამზე დაჯდა. მომესმა მისი სამკაულების თუ გასაღებების წყარუნის ღრმად ჩავისუნთქე და ლოცვა დავინიყე.

როცა გრილი, მკვირივი ხელების შეხება ვიგრძენი, გამოვერკვე. შემოსულმა ადამიანმა ერთი ხელი შუბლზე დამადო, მეორე კი კუდვეუსუნზე. როგორც ჩანს, დაღლილობისგან ძირს დავეცი და მადლობელი ვიყავი, რომ ვილაცამ წამომამყენა.

ქეთევან ჯერვალიძე

კუდიგორა/კუდიანთა გორა, ანუ უარყოფილი მთები!



მთა, ღმერთების დავანების ადგილი - საკრა-
ლური მეცნიერების უდიდესი სიმბოლოა.

კუდიგორა, დაბალი სერი კახეთის კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, კაკო ბლაჭიაშვილის საყუდელი, რომლის კალთები შემოსილია მუხის, რცხილისა და ნიფლის ტყით. **კუდიგორა** კუდიანთა გორის შემოკლებული სახელწოდებაა. ამ მთის თავი მოსწორებულია. ძველად, მთას, რომლის თავიც მაღალი ხეებით არ იყო შემოსილი, კეთილი თვალთ ვერ უყურებდნენ. ღვთისგან უარყოფილად და ბოროტი სულების სამყოფელად მიიჩნეოდნენ. კუდიგორის გაშლილი სახელია **კუდიანთა გორა**.

კუდი. თვითონ სიტყვა კუდი ბერძნული წარმომავლობის სიტყვაა და სახელოვანს ნიშნავს. აქედან უნდა მომდინარეობდეს, ჩემი აზრით, სახელი ქუჯი - სახელოვანი, ბაკმიანი. გვარებიც გვაქვს: კუდავა, კუდაშვილი. ქართულში გამოთქმა რომ გვაქვს, კუდამოძუებული ნავიდაო, ანუ შერცხვენილიო, ესეც კი საერთო გვაქვს ბერძნებთან. აი, მათი ზმნა: **სუნძა** - კიცხვა, ლანძღვა, შერცხვენა. ქართულად კი სასწაული გვაქვს, კუ-

დი ჯერ, მერე ქართული ზმნისწინი ამო, მერე ძუა, კუდის აღმნიშვნელი, საწყისში თემის ნიშანი - ებ და მერე მიმღობის მანარმოებელი - ულ, ბოლოს კი სახელობითი ბრუნვის ნიშანი ი: კუდ-ამო-ძუ-ებ-ულ-ი. ერთხელ ახალგაზრდამ მკითხა, აი, ვთქვათ, მე მაქვს კუდი, როგორ უნდა ამოვიძუო? განა ეს ჩვენი ქალბატონი გრამატიკის საკვირველება არ არის? აი როგორ არის ეს სიტყვა ჩვენში განმარტებული: 1. რამაც კუდი დაუშვა და ფეხქვეშ მოიქცია. 2. (გადატანით) სირცხვილნაჭამი, განზილებული.

ხედავთ, ბერძნული სემანტიკა ქართულ ენაში მერეო ადგილზე გადმოსულა.

ისე ჩანს, თითქოს კუდთან და ძუსთან გვექონდეს მართლაც საქმე. ამ დროს კუდი და ძუა ერთი და იგივეა. ძუა მხოლოდ ერთადერთი პირუტყვის - ცხენისთვისაა ნიშანდობლივი. ასე იცვლება სიტყვა, სიდადის, ბაკმის, შარავანდელის სიმბოლო კუდი მერე უმაღლესი რეგისტრიდან უდაბლესში გადადის და კუდად იქცევა, იმად, რაც ცხოველებს დასთრევს. ალბათ ამიტომაც გვაქვს გრძელ კუდიანი ცხოველების აღსანიშნავად „სერაპიონ



ზარზმელის ცხოვრებაში“ სიტყვა **ქუეშორევე-ლი**. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი იგულისხმება ამ სიტყვაში. ბოლოს კი კუდი უარყოფითი ენერჯის მატარებლისა და ბორცვმზარხველის სინონიმად გვევლინება - კუდიანი.

კუდიანი - ქართველთა მითოლოგიურ წარმოდგენებსა და ფოლკლორში არის ადამიანი, უმეტესად ქალი, რომელსაც კუდი აქვს, მაგრამ მისი არსებობა სხვა ადამიანებისგან დაფარულია. თუ ის გაცხადდა, მის კუდიანობას ძალი ეკარგება. კუდიანი გადაადგილდება კატაზე, ძაღლზე ან ცოცხელ ამხედრებულზე. კუდიანივე იკრიბებიან კუდიანთა და აესულთა შეკრებებზე. კუდიანს შეუძლია უწმინდურ ცხოვლად ან მწერად გადაქცევა - მაქციობა. კუდიანს შეუძლია კარის ჭუჭრუტანაში გაძრომა. კუდიანს ორი სული და ორი გული აქვს: ერთი წმინდა, მეორე უწმინდური. ღამით ის ტოვებს წმინდა სულს და გულს და მიდის უწმინდურ საქმეზე (ზურაბ კიკნაძე).

კუდიან **ქუდი** მივიღეთ, ეგრე კი არაა საქმე და ის სინდის-ნამუსის სიმბოლო იყო.

სინდის-ნამუსი კი ბერძნულ-არაბული სიტყვებისგან შემდგარი კომპოზიტია, **სინდისი - συνιδης** ბერძნულად მამხილებელ გონებას ნიშნავს და ეს „მამხილებელი გონება“ გვაქვს გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“. ვაჟაც იყენებდა ამ სიტყვას, ლექსიც კი აქვს „სინდისის სიმღერა“; **ნამუსი** კი არაბული წარმომავლობის სიტყვაა და კანონის დამცველს, ზნეობის დამცველს ნიშნავს - ანუ სახეზეა ორი ერისა და მათი ენების გავლენა ჩვენს წინაპრებსა და ჩვენს ენაზე, რაც კარგი ყოფის ნიშანი სულაც არ არის... სინდის-ნამუსს ქართულად **პირისწყალი** რქმევია - ასეა სულხანთან...

უძველეს ხანაში არათუ მთების სიმიშველ, ადამიანის სიქარლევ კი სამარცხვინოდ ითვლებოდა. ასეთებს საზოგადოება არ სწყალობდა; თმანობა იქებოდა. გავისენეთ ილიას „კაცია-ადამიანი?“ და დაცინვით თქმული. ქართველები იტყვიან: „ვი-საც ზალანი ბლომად აქვს ტანზედ მოდებული, ის ბედნიერიო“. აი აღექსანდრე ჭავჭავაძე კი გულწრფელად აქებს ხშირ თმას: „ვაქებ თავსა, თმა მდიდარსა“; გვაქვს კიდევაც უფრო ძველი თქმა ქართულად: ხარი - რქითა და ქალი - თმითაო. ქალი თმით სიმადლებზეც კი ადიოდა ადამიანი: **„ცხრაჯერ ჩაეშალე ნაწნავი**, ერთხელ არავინ ამამყვა“; სვანურ მითებში დალს ოქროს ნაწნავებით აპყავს შვილი კლდის წვერზე... წმინდა ნინოს ჯვარცხ ამიტომ არის თმით შეკრული, ანუ ღვთიურობის დამადასტურებელი ნიშნით...

კუდიანთა გორაზე ჰქონდა საყუდელი საზოგადოებრივი ცხოვრებიდან გაქცეულთა კაკო ბლაჭიაშვილს, ილიას პოემა „კაკო ყაჩაღის“ გმირს და მერე მას შეუერთდა მისსავე მდგომარეობაში აღმოჩენილი ზაქროც. ანუ საზოგადოებისგან განდგომილი თუ განყენებულნი, პროტესტის ნიშნად, სწორედ კუდიანთა გორას აფარებენ თავს, ხოლო „ურმოვლის“ მოლიდინე მეურმე შენატრის

მათ, ანუ ახალი ეპოქის სული შემოიტანა მწერალმა. ჩვენ ვერ ვიტყვი, ილიამ გაცნობიერებულად დაუდო ბინა ზღაჭიაშვილსა და ზაქროს კულდორაზე, თუ ხეშმაგონებით მოხდა პოეტის მიერ ინფორმაციის შემოტანა მეტაფიზიკურის სფეროდან.

ზვავისგან ნაგალი გორა

ზვავისგან ნაგალ (დავაკებულ, გაბრტყელებულ) გორაზე იკრიბებიან ჯოყოლა, ალაზა და ზვიადური. რატომ ასეთ გორაზე? იმიტომ რომ ჯოყოლა და ალაზა მოკვეთილი არიან, სასაფლაოც არ ეკუთვნით სოფლისა. ამ განკვეთის მიზეზი თემის ორ სასოფლო ნესს შორის წინააღმდეგობაში მოსვლაა. ზვიადურიც მტერი, ანუ ბოროტია ქისტებისთვის და აი ხდება „უწმინდურ“ გორაზე მათი, მეგობრების - ჯოყოლა, ზვიადური, ალაზა - „უწმინდურთა“ თავშესაფარი. ვაჟა კი სულ სხვანაირად ხედავს და ჩვენც სხვანაირად, ზემადლებით წარმოგვიდგენს ამ სამებას. ნაგალი გორა, მეგობრობის მაღლი, წმინდა გორა ხდება, იდუმალი ადგილი, შეუთავსებელი შეთავსების ადგილი, სასწაული ამბის ადგილი, რასაც ხანდახან, მცირე ხნით, სანამ წერამწერლის ხელით კვლავ დაიბურებოდეს, ანუ გასაადრუტოვებდებოდა, განსაკუთრებულად ადამიანებზეც შეასწრებენ ხოლმე თვალს და რიგით ადამიანებამდე მოაქვთ ინფორმაცია. სამი მეგობრის წმინდა სული და სისხლი აპატიოსნებს „ნაგალ გორას“:

იმ კლდის თავს, საცა ჯოყოლა მოჰკლეს ხეცსურთა ბრძოლაში, ღამ-ღამ ჰხედავენ სურათსა ზვავისგან ნაგალს გორაში: კლდის თავს წადგება ჯოყოლა, სასაფლაოს კე იძახებს:

„ზვიადურო, ძმობილო, რად არ მარვენებ შენს სახეს?“
სასაფლაოდამ წამოვა
არდილი ფარ-ხმალიანი,
გულზე უწყვია დაკრეფით
მკლავები სამკლავიანი.
მივა და მიესალმება
თავის ძმობილსა მდუმარედ.
იქვე ალაზაც ამოდის
სახე მოწყენით, მწუხარედ.
ენტება ცეცხლი მათს გვერდით,
მკრთალადა ბუღტავს მთაზედა;
იმით ჰმასპინძლობს ალაზა,
ჯიხვის მწვადს უწყავს ალზედა.
ვაჟკაცობისას ამბობენ,
ერთურთის დანდობისას,
სტუმარ-მასპინძლის წესზედა
ცნობის და და-ძმობისას.
**როცა მათ ჰხედავს ერთადა
კაცი, ვერ ძლება ცქერითა;**
მაგრამ გაჩნდება ჯანლი რამ
კურუმად შავის ფერთა,
დაეფარება სანახავს
წერა-მწერელის წერითა.

ზედ აწევს ჯადოსავითა,
არ დაიმტვრევა კვერითა,
ვერც შუულოცავს მლოცვი,
არც ახიდება ხელითა.
მხოლოდ მდინარის ხმა ისმის,
დაბლა მიქანავს ხველითა
და უფსკრულს დასცქერს პირიმზე
მოღერებულის ყელითა

ხედავთ, სახარებისეული გოლგოთის პასაჟის როგორი გადააზრება და ალუზია შემოგვთავაზა ვაჟამ? მე ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მკვლევარი არ ვარ, ანუ ძირითადად ამ სფეროში რომ მუშაობენ, ამიტომაც არ ვიცი, ასე თუ დაინახა ვინმემ ეს ეპიზოდი ჩემამდე. რაც აქ ვერ გაახარებს პოემის გმირებმა, იმას იქ ახარებენ ოთარაანთ ქვრივის გიორგისა არ იყოს და იქიდან საუკუნეებს გადაანთებენ... ასეთია დიდი ქართველი და არა მხოლოდ ქართველი მწერლების დიდი ლიტერატურა და მისტიკაც, ცხადია, ქრისტიანული ჩვენს შემთხვევაში...

გოლგოთა

გადავხედოთ ახლა ბიბლიას ისე, ზედაპირულად: ადამიანის სიქაჩლე იქაც სამარცხვინოდ ითვლებოდა (4. მეფე: 2, 23), ქალების სამკაულს იქაც სწორედ ლამაზი ნაწნავები წარმოადგენდა, როგორც ნიშანი ღვთისუფლისა; ბიბლიურ სამყაროშიც მხოლოდ ადამიანის კი არა, მთის მოსწორებული თავიც კი, ხეების ვარემუ, სამარცხვინოდ მიაჩნდათ. ასეთი უხეგობა ყოფილა გოლგოთაც ძვ. ბერძნ. Γολγοθά, ახ. ბერძნ. Γολγοθά; იგრ. 101718, არამეულიდან *gulgaltā*, - სიტყვა სიტყვით „თხემის ადგილი“, ძვ. ბერძნ. Κρανίου τόπος, ლათ. *Calvariae locus*. თავის ქალასთან გარეგნული მსგავსების გამო, სიმრგვალის გამო უწოდეს ამ მთას გოლგოთა და არა იმის გამო, რომ იქ დასჯილთა თავის ქალები იყო მიმოფანტული. ამ სიტყვას ლათინურში სიქაჩლის, სიმელოტის მნიშვნელობაც აქვს: *l calva, ae f (calvus)* - თავის ქალა; *ll calvarius a, un[calvus]* - გაქაჩლებული, გამელოტებული, შიშველი, გამომეღებული.

გოლგოთის ასეთი განმარტება, როგორც დამნაშავეთა დასჯის ადგილისა, ნეტარ იერონიმედან (+420) იღებოს სათავეს (*Hieron. In Matth. 27 // PL. 26. Col. 209*)... მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მაცხოვარი, როგორც განკვეთილი და ებრაელების აზრით, ერესიარქი, სწორედ იქ დასაჯეს სხვა ორ დამნაშავესთან, ზელოტებთან (ბერძნ.), სიკარებთან (ლათ.) - „ადინანებთან“ ერთან და მისი, მაცხოვრის, სისხლი, წმინდა ტრადიციის გადმოცემით, სამოთხიდან გამოქვედებული და ღვთის მიერ დასჯილი ადამის თავის ქალას ეწვეთებოდაო - ამიტომაც არის ქრისტე ახალი ადამი. გოლგოთა - დამნაშავეთა დასჯის ადგილი, ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ გამხდარა წმინდა მთა, სამი სკნელის შემაერთებული - ზესკნელის, ქვესკნელისა და შუა სკნელის. ასეა თუ ისე, მიხეილ ბულგაკოვი რო-

მანში „ოსტატი და მარგარიტა“ გოლგოთას „ქაჩალ გორას უწოდებ“. ასეთი სახელწოდება კი მთელი სლავურული სამყაროსთვის იყო ნაცნობი, მიღებული და ავი სულეზის, კუდიანთა მესაკრებელს ნიშნავდა...

და აი, თქვენ წარმოიდგინეთ, ქართულ ხალხურ პოეზიაში გადავწყდომივარ თურმე ტომის ნიშნ სახელწოდებით ქაჩალგორა და ახლა, ვეძებდი რა შრომით ლექსებს, ჩემს მწიწერებს ნაგავნად: „ქაჩალი გორა“? და კითხვის ნიშანი დამისვამს:

ვაჰმე, რარვიგად შევეწუხდი
ოხერო, ქაჩალგორაო,
რად არ მოგეყინდა, ოხერო,
ადენი ქარის ქოროლაო?

(პირველი ხალხური საუნჯე, I, თბ., 1991, 348)
ანუ ასეთი მთები, ხეების ურგაობისა გამო მოკლებული იყო დამცავი ზოდის ფუნქციას. ლექსის მიხედვით, ქარს ვერ აკავებდა. როდესაც პავლე ციცინავოს (1754-1806) მთაწმინდის ტყე გადაუნვაგს, ყაჩაღები აფარებენო თავს, დამცავი ზოდის გარემუ დარჩენილა თბლისი და დიდი პრობლემები შექმნია ქალაქის მოსახლეობას (აღარ მახსოვს ინფორმაცია საიდან მაქვს ან რამდენად მართალია).

ტაბაკონი

კუდიანთა გორას დასავლეთ საქართველოში ტაბაკონს ეძახდნენ და ეძახიან. ტაბაკონის მთა მდებარეობს სამეგრელოში, მარტვილის რაიონში. ტრადიციით ის გახლავთ წელიწადში ერთხელ კუდიანთა, ავი სულეზისა და ჭინკების მთავარი თავშესაფარი მათივე კრებებისა თუ ზეიმების დროს.

ვინმემ შეიძლება იფიქროს, რომ სიტყვა ტაბაკონი მხოლოდ მეგრულის კუთვნილებაა. არა, ეს მხოლოდ უფულისყურად ვგონიათ. აღმოსავლეთ საქართველოში გვაქვს სიტყვა ტავ-ობ-ი, სომხურშიც ყოფილა ეს სიტყვა - ჩავარდნილი, ანუ სწორი ადგილის აღსანიშნავად. ტაბაკონ-ი; ონი ქონაყოლის აღმნიშვნელი სუფიქსია ორონიმში. ტაბაჩანს დასავლურ ტაბაკასა (ტაბაკად შემწვარი ქათამი) და აღმოსავლურ საერო ტაფასა და ტაბლაში. ტაბლა - მოკლებუბა ბრტყელი და მოცრო, საკუთნისთვის განკუთვნილი მაგიდა, ამოფენენ ვითა ტაბლას წმინდასაო - ბართათაჟილმა. მე მინახავს ის ტაბლა, განყობილი საკურთხით, დღევანდელი უფრანლების მაგიდის მსგავსი იყო. ისე, რომ ვიცოდეთ, სიტყვა მაგადა **μαγίς-ιδός** ძველ ბერძნულ სამყაროში მხოლოდ მინისქვედა ქალღმერთ ჰეკატესთან იყო დაკავშირებული. აღნიშნავდა ჰეკატესთვის განკუთვნილ საკულტო ნამცხვარს (არისტოფანე), და საკულტო მაგიდას (სოფოკლე).

ჩვენი წინაპრებისთვის კი ტაბლის ნაბილწვა მძიმე ცოდვად ითვლებოდა, ამიტომ ლოცვის, ლანძღვა-გინებისა და წყევლა კრულების ფორმულაშიც დაუკავშირდა მას. მაგის ტაბლას ასე და ისე... წმინდა ტაბლა არ მოჰკლებოდესო...

ჩვენი ტოპონიმი **ტაბანყური** სწორედ ამას ნიშნავს, წყალი, სიღრმეში ჩამდგარი, **ტაბახმელა** წყალ ამომპრალი სივრცე, გამხმარი ფსკერით. მეგრულ ტობასაც ამასთან აქვს კავშირი, თუმცა თ-ში ორონი ტობათანაც, ეფსა რომ ახსენებს პოემა „ბახტირონი“: „და გადმოვლახეთ საფშაოდ **ტაბათანა** ნათოვარია“; ქართულ გვარ ტაბიძესაც, ტაბლიაშვილს და შესაძლოა, ტაბატაძესაც. მთელი ამდენი სიტყვა კი ენათმეცნიერებამდე სიტყვას **თაფაც** - სამარხი, საფლავი.

რა არის სამარხი? სიღრმეზე ამოღებული მიწა, ჩასვენებული ცხედრით; ტაბაც არის მიწა ამოღებული სიღრმე, წყლით სავსე... თუ ფონეტიკის მსოფლიოში მიღებული კანონებიდან ამოვალთ, ტაბა-დან ჩანს **ტობა** მიღებული: ტაბა, ტობა, ტბა; **თაფაც**-ის წარმომავლობაზე კი მეცნიერებს არ აქვთ საბოლოო აზრი და ჩვენც, ვერ დაგიუხიბებთ, რომ ის მაინცადამაინც ჩვენგან არის წასული. თუ ჩვენგან არის, მაშინ ფუძე ქართულიდან არის წასული, ვინაიდან ქართულსა და ბერძნულს სწორედ ეს ა ხმოვანი აქვთ ფუძეში; თუ შემოსულია, მაინც ფუძექართულის დაშლამდე უნდა იყოს შემოსული...

გამოდის, რომ ჩვენი მეგრული **ტაბაკონი** ეს იგივე ქაჩაღგორა, შიშველმთა, ნაგალი გორა, კუდიანთა გორაა. ტაბა/ტობაში **ა/ო** ხმოვნების გრადიამ ერთი სიტყვა მომიჯნავე სემანტიკურ ველში გადაიყვანა: შიშველი, თავდაუკებელი მთა გაზრდა ჩავარდნილ, ამოღებულ, წყლით სავსე მიწამოცლილ სივრცედაც.

ტაბაკინი

იმერეთის მხარეში, ზესტაფონის მუნიციპალიტეტში კი მდებარეობს სოფელი ტაბაკინი VII-VIII ს-ის ტაბაკინის მონასტრით, რომელსაც დიდი როლი ჰქონია ქვეყნის ცხოვრებაში. როგორც ჩანს, ადრე წარმართული სალოცავის ადგილის ქრისტიანული აუშენებიათ... ხალხური ეტიმოლოგია ასეთია: სოფლის მოსახლეობას მონასტრის მშენებლებისთვის სადილი ტაბაკზე დანყობილი მიჰქონდათ და გაჩნდა გამოთქმა „ტაბაკი მოაქვთო“ და სოფელსაც ეს სახელი დაერქვაო.

გოლა გოთე!

ორი ათეული წლის წინ ერთი ნწოროწყული/ცხრაწაროელი ქალბატონის შვილს ვეხმარებოდი და აი გოლგოთაზე რომ ვესაუბრებოდი მას, მონაფის დედამ, იქვე რომ იჯდა, შვილზე უკეთ რომ სწავლობდა გაკვეთილებს და ყრმობის დანაკლისს იხსებდა, მითხრა, **გოლა გოთე-ს** ჩვენში შიშველ, უხეობ მთას ეძახიან (გოლა- მთა/ქართ გორა; გოთე - შიშველი) და ნეტავ რაიმე კავშირი ხომ არ არის მასსა და გოლგოთას შორისო? მივუყვ, რომ ცხადია, გარეგნულად ძალიან ჰგავდა ეს ორი სიტყვა, მაგრამ ეს ეტიმოლოგიისტიკის საქმეა-მეთქი. მე მაშინ ამ სფეროში ჯერ კიდევ არ ვმუშაობდი და ვერც წარმოვიდგენდი, ოდესმე თუ

ვიმუშაებდი. ახლა ეს ამბავი, მოწაფე თარაში და მისი შესანიშნავი დედა ორონიმმა გოლგოთამ გამახსენა. ცალ-ცალკე სიტყვები ვნახე ცხოვრებული ოთარ ქაჯაიას ლექსიკონში, სინტაგმად ვერ ვიპოვე. ზუგდიდის უნივერსიტეტის პროფესორმა ქალბატონმა ხათუნა გოგიამ კი მითხრა, რომ შეიძლება, **გოთე**-ს მთასთან გამოყენებო. თუმცე იმის თქმა, რამდენად არის დაკავშირებული ერთმანეთთან ებრაული **გოლგოთა** და მეგრული **გოლა გოთე**, არც ახლა შემიძლია ვთქვა, რადგან ამის კვლევა ძალიან რთული საქმეა და ჰიპოპარაღდ არ ეგებოს. ერთი კია, მეგრ. **გოლა** ეს იგივე ქართული **გორაა**, რ/ლ პროცესის ამსახველი (ჩუხუხა). აღმოსავლეთ საქართველოში კი გოლა გვხვდება კაცის სახელად და ილიას „თარაანთ ქერივში“ აქვს გამოყენებული: „თედოს მანასანთ გოლასათვის ქამრის ილიები წაერთმია“. გვაქვს გვარ გოლიაძეც, გოლუა. მოკლედ, ბევრი საკვლევეა. რაც შეეხება სიტყვას **გოთე**, ის ნიშნავს სწორ, თავისუფლად ადგობს, ტყისპარსო. გამზისი მისადაგება შიშველმთასაც. ჩხორჩხუყს სოფელი გაზრდილ მშენიერ ქალბატონს ეს არ შეემუღებოდა.

ბრუტსაბძელა


შიდა ქართლსა და ზემო იმერეთში კუდიანთა შესაკრებელს ბრუტსაბძელასაც ეძახიან და მას თეიმურაზ ბატონიშვილი (1782-1846) იხსენიებს. „ხოლო მთა? ესე ბრუტ-საბზელი თქმულ-არს საბზელად ციკლოპისა ბრუნტოსისად (ეს ბრუნტოსი მეთამტყორცნელს ნიშნავს ძველბერძნულად, ზევისი ეპითეტია, ქ. ჯ.). იტყვიან ჯაჭვითა დაბმულსა მუნ ტარტაროზსა, რომელსა თანაცა შეკრებოდეს წლიით-წლად დღესა ერისა აღნიშნულსა დემონნი და გრძელდენი კაცნი ყოვლისა კიდით ქუყყანისა და ჰყოფდენ მისთანა დღესასწაულეზასა და შეხსნივიდნენ მას მსხვერპლსა და მიიღებდენ სხვალსა საგრძნეულოსა ხელოვნებისა მათისდას მისგან“

შესაძლოა, **ბრუტსაბძელა** გაუქმებულ სალოცავსაც ნიშნავდეს ბელის საპირისპიროდ...

წარმართული ქართული სამყაროსთვის ეს მთები წმინდა ადგილები იყო, საკრალური, ღმერთების დავანების ადგილები სამი სკნელის შემაერთებულნი ისევე, როგორც ბაბილონი, რომელიც მერე ბოროტების განსახიერებდა და „მეძავთა დედად“ იქცა ებრაელებისთვის. წმინდა ადგილების დაკარგვა-გაუჩინარება ადამიანთა ცოდვის გამო ბიბლიურ პარადიგმასაც წარმოადგენს. ჩვენთან ფშავი იტყვიდნენ ხოლმე, სალოცავი არ გამიზრეულდესო, ანუ ხატმა არ მიგვაცოცაო...

თვითონ სიტყვა ბრუტსაბძელა ასეა განმარტებული ქველ-ში: **ზ. იმერ.** ქათმის ნაწილი კისრისა და კურტუმის შუა; 2. მაღალი მთა, სადაც ცრურწმენით, კუდიანები იკრიბებოდნენ (ბ. ნერეთ.).(ქველ)..

ვისაც ქათმის ეს ნაწილი უნახავს და რა თქმა უნდა, ბევრს უნახავს, დამერწმუნება, რომ ის საოცრად ანუ კავკასიონის ქედს. ნეტავ ქედის სა-



ხელი გადავიდა ქათმის ამ ნაწილზე, თუ ქათმის ამ ნაწილის სახელი ქედისაზე? რა ხატოვანი აზროვნების პატრონი უნდა ყოფილიყო ამის ასე დამნახავი, პირველმთქმელი და გამავრცელებელი?

ცალკე საკვლევია ორონიმის პირველი ნაწილი ბრუტ/ბრუცი, რომელიც ერთი შეხედვით ლათინური წარმომავლობისა ჩანს და ნიშნავს ბრძას. გამოდის დაბრმავებული, სინათლე დაცხილი, ნათელიერ შემოძარცვული სალოცავი.

იალბუზი

ბოროტი სულების, კუდიანთა შესაკრებლად ხალხურ ლექსში, რომელშიც ვახტანგ გორგასლის დიდა ჩამწებზეა საუბარი, იგულისხმება მისი ლაშქრობა საქმელოეთ კავკასიაში, ნახსენებია იალბუზიც. ხალხური გამომავლობით, ვნების ყვირის ორშაბათს კუდიანები ტოვებდნენ იალბუზის მთას და სოფლებს ესტუმრებოდნენ ხოლმე ზიანის მისაყენებლად. მათგან დაცვა ესმასხურებოდა სწორედ ჭიაკოკონობა...

გეოგრაფიული კანონებით იალბუზი - ყველაზე მაღალი მწვერვალია (5642 მ.) ევროპაში. ამიტომ უწყის დონის დანევისა სწორედ პირველს ნოეს უნდა დაედგა თავისი წმინდა ფეხი მასზე. ნესით, აქ უნდა გაჩერებულიყო მისი კიბობანი. არარატი ეს მთელი კავკასიის სახელია ბიბლიაში და არა კავკასიის ერთი მთისა მხოლოდ. **op-oz** - ძველბერძნულად ნიშნავს მთას, **ar** კი - ებრაულად. ხოლო ბიბლიური კაცობრიობის ამ გამარჯვების მთაზე (**mons victoralis**) შემდეგ ჩვენს მეფე ვახტანგს, ვარან-ხოსრო-ტანგს, ფეხებიდგურად ხოსროთი შემოსილს - **husraw, xusrav** (**hwslwb**-სახელიანს, ავესტურად კი ***hu-srauyah** - სახელმოხვეჭილს და სახელვანთქმულს თავისი ქრისტიანობის და მეფური ფეხის დადგმით ჩრდილო კავკასიაში, ეს მთაც განუწმენდია მავნე სულთაგან და როგორც ხალხური ლექსი გვამცნობს, ღვთის ნებით მომხდარა მისი ქრისტიანული ოიკუმენეში მოქცევა:

*„ვახტანგ მეფე დემროს უყვარდა,
ციდან ჩამოესმა რეკა,
იალბუზზე ფეხი შედგა,
დღმა მათებმა იწყეს დრეკა,
იალბუზის ეშმაკები
ცხრა მთას იქით გადარეკა“.*


როდესაც უარყოფილ მთებსა და იქ კუდიანთა შესაკრებელზე ვსაუბრობთ, გვინდა თუ არ გვინდა, აი აქ დიდი ესპანელი მხატვრის ფრანცისკო გოიას (1746-1828) მიერ 1823 წელს შესრულებული „კუდიანთა შაბაძი“ შეიძლება გავახსენდეს და ანა სულხანიშვილის ლექსიც - „ყოველდღიური გარდამოსხნა გოიას „კუდიანთა შაბაძის“ ფონზე“...ვალბურგის ღამეც, ჩვენში ჭიაკოკონობას რომ ეძახიან და ბროკენის მთაც ჰარცის ქედზე, ჩვენი შიშველგორის, კუდიანთა გორის მსგავსი, ისიც უხეებო, კუდიანთა შესაკრებელი ყოველი წლის პირველ მაისს, ევროპაში უც-

ნობილესი მთა ამ თელსაზრისითაც, მის წიაღი-სულს რომ დავანებობთ თავი. **მეჩვენებოდა ხალხურ კუნეში გერმანელი სასულიერო პირები ბაბლს ბროკენის მწვერვალზე ასვლას უშლიდნენ, რადგან იქ მთელი უწმინდურება იყრიდაო თავს. ალბათ ისე იყო, როგორც ბასილი ზარზმელის „მთარაპიონ ზარზმელის“ ცხოვრებაშია აღწერილი მთა ბაკთა და იქვე ახლოს სათახვის ტბა - „დედად შოფთთა და ბრძოლათა?“ ... გოეთე ბროკენზე სამჯერ ასულა. ლექსიც ხომ მიუძღვანა გოეთემ მას (1749-1832) „Harzreise im Winter -ჰარცზე მგზავრობა ზამთარში“ (1777), „ფაუსტშიც“ ხომ საკმაოდ დიდი ადგილი დაუთმო მასზე ასვლას?.. მძებმა ჯორჯანელი მძებმა თარგმნეს „ფაუსტის“. დწერედიანმაც. ცნობილ გერმანელ პოეტს, ჰაინესსაც (1797-1856) უმოგზაურია ჰარცის მთებში, ბროკენზეც ასულა და ლექსებიც აქვს ჩართული ამ მოგზაურობაში „Aus der Harzreise“ და ჩვენსა საბედნიეროდ, ქართულადაც გვაქვს ესეც, მძები ჯორჯანელების წყალობით, შიგნართული ლექსებით თარგმნილი ვეებერთელა მოგზაურობა, სტილით ილიას „მგზავრის წერილებს“ რომ ენათესავება ალაგ-ალაგ...**

ბროკენის მწვერვალის ხსენების გარეშე, ვერ ჩავივლი ვერც ბულგაკოვის (1891-1940) „ოსტატსა და მარგალიტაში“ აღწერილი ფოლანდისა და მისი გარემოცვის მეჯლისი. მასში ნახსენებია დაგვიანებული დელეგაცია **ბროკენიდან...**

ერთი რამ ცხადია, თუ გერმანელთა კუდიგორაზე - ბროკენზე - გოეთე და ჰაინე ადიან და ჩვენც გვაზიარებენ ამ საოცრებას, პირველი დრამატიზმით, მეორე სატირულად. ქართულ ლიტერატურაში **კუდიგორა** ეს კაკოსა და ზაქროს თავშესაფარი ხდება, სოციალურად დამარცხების, წრიდან გასულების, სამართლის ვერ მპოვნელებისა, რომელნიც თავიდან ძალიან კარგი ადამიანები იყვნენ; ასეც, **ნავალი გორაც** ჯოყოლას, თუკი ჯოყოლა მართალია ჩვენური გოგონის (ირან). **მარგალიტი** ქართული ვარიანტია, ალაზასა - („ეკერებოდა გულ-მკერდზე ქმარს მარგალიტის ღილადა“; მარგალიტი ღვთივრჩეულების სიმბოლოა) და ზვიადურის („ტიტ ჩამოსული სვეტადა“) შეყრის ადგილად იქცევა. ხდება უწმინდური მთების განწმინდადება, როგორც ახალადთქმისეულ ტრადიციაშია. დიდ გერმანელ მწერლებთან **ბროკენს** ვრცელად ავადი უკავია, დიდ ქართველ მწერლებთან კუდიგორას და ნავალი გორას - მცირე, მხოლოდ ნახსენებია, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ დროში მეტ-ნაკლებად მაინც ემთხვევა ერთმანეთს უარყოფილი მთებით დაიწებურესბა ესპანელი მხატვრისა, გერმანელი და ქართველი მწერლებისა. მსოფლიო ლიტერატურაში თემას ვერ ვხედავთ, „გილგამეშანიდან“ დაწყებული, ქართულ მწერლობაში ცნობიერად თუ ქვეცნობიერად არ ასახულიყო. განა ეს საკვირველება არ არის?! წარმოიდგინეთ, მეც ახლა დავაკავშირე ეს ყველაფერი უარყოფილი მთების შესახებ ერთმანეთთან და გიზარებთ თქვენც...

ლუკა ბაქანიძე რომელი ხარ სარდაფსა შინა



„... მე არასდროს მითევზავია, მაგრამ თვალწინ მიდგას ამ კრებულის ყველა მეთევზე. არც ის მგონია, ბევრი მეთევზე მწერალი დააბიჯებდეს დედამინაზე. არც ის ვიცი, როგორია მეთევზისთვის საუკეთესო ამინდი, მაგრამ ვიცი, როგორი ამინდია ბაქანიძის ტექსტებში – სევდის, სიყვარულის და პანია დეტალების – საუკეთესო ამინდი სიცოცხლის შესაგრძნობად“.

თამთა მელაშვილი




www.palitra.ge

facebook.com/Palitra.L.Publishing


წიგნის სანახავოდ
დაასკანერეთ QR კოდი



პრემია „საბა“ 2023-ის ლაურეატები



წლის საუკეთესო
რომანი



წლის საუკეთესო
ქართული თარგმანი



სულაკაურის
გამომცემლობა



საბა
SABA